

Georgian Scientists

ქართველი მეცნიერები

ასოციაცია მეცნიერებისათვის

Association for Science

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gs>

<https://journals.4science.ge/index.php/GS/index>

სარედაქციო საბჭო

თამარ ხახუტაშვილი: მთავარი რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი, ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი <https://orcid.org/0000-0003-0953-2073>

ნინო ბერიანიძე: მთავარი რედაქტორის მოადგილე, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის აღმასრულებელი დირექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი

მარიეტა სულაბერიძე: რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის თანადამფუძნებელი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების, მთავარი სპეციალისტი

გიორგი გოროშიძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის განყოფილება; <https://orcid.org/0000-0002-6244-2942>

ომარ ლანჩავა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკური მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი; <https://orcid.org/0000-0003-4249-9404>

ვახტანგ კვაჭაძე: ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. <https://orcid.org/0000-0002-3875-505X>

ლელა ბახტაძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. <https://orcid.org/0000-0003-0482-0711>

ავთანდილ ამირანაშვილი: მ.ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი <https://orcid.org/0000-0001-6152-2214>

აგაევ რაუფ მაგსუდ ოღლუ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოს მ. თოფჩუბაშევის სახელობის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი, კათედრის გამგე (ბაქო, აზერბაიჯანი)

ირაკლი ნადირაძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პათოლოგიისა და კანის სიმსივნეების ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო ისრაელის ერთობლივი კლინიკა GIDMEDI: თბილისი, საქართველო <https://orcid.org/0000-0002-4764-655X>

ელი კაკიაშვილი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, გალილეის სამედიცინო ცენტრი, ნაჰარია, ისრაელი; მედიცინის ფაკულტეტი გალილეაში, ბარ ილანის უნივერსიტეტი, საფადი, (ისრაელი) <https://orcid.org/0000-0002-8796-9724>

ლუის მ. ალედორტი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მერი ვაინფელდი კლინიკური კვლევის პროფესორი ჰემოფილიაში, მოუნთ სინაის მედიცინის სკოლა, ნიუ იორკი, შშ

ნადეი ჰაკიმი: GCSJ, MD, PhD, FRCS, FRCSI, FACS, FICS(Hon), FASMBS, FIMSA(Hon) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტრანსპლანტაციის ქირურგი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; ზოგადი ქირურგი, კლივლენდის კლინიკა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); <http://orcid.org/0000-0001-9442-7950>

მამუკა ზოკუჩავა: პროფესორი, სისხლძარღვთა ქირურგი, ანგიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორის მოადგილე. <https://orcid.org/0000-0002-6719-1302>

მერაბ კილაძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აშშ-ს, საერთაშორისო, ევროპის და რუსეთის ქირურგთა ასოციაციების წევრი, ქირურგი, კლინიკა გიდმედის ქირურგიული სამსახურის უფროსი.

გოგი (გიორგი) ბოჭორიშვილი: პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უროლოგი, თბილისი, საქართველო

ნინო კიკნაძე: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს გარემოს დაცვის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამერიკის ქიმიის საზოგადოების (ACS) წევრი, ბათუმი, საქართველო <https://orcid.org/0000-0001-7864-3899>

ტექსტის რედაქტორი:

მარიამ ჩაჩანიძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის სპეციალისტი

მიხეილ ერგემლიძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინფორმატიკის ბაკალავრი.

ვებ რედაქტორი:

გიორგი ბანეთიშვილი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

სარჩევი

დურმიშხან ტურაბელიძე, ცისანა სულაქველიძე, მარიამ მალანია, ბელა კიკალიშვილი -საქართველოში გავრცელებული <i>Phytolacca americana</i> L. ნაყოფის ლიპიდები-----	1-5
ქეთევან მჭედლიძე, მარიამ ბენიძე, ნათია საყვარელიძე, ჯემალ ანელი- <i>Solanum nigrum</i> L. -ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულება-----	6-15
მაია ლომსაძე-კუჭავა, ხათუნა გიორგაძე, სალომე ჯანელიძე - საინვესტიციო პროექტები, განვითარების ფაზები და საინვესტიციო აქტივობა-----	16-24
ნათია კახნიაშვილი - გადასახადების როლი სიღარიბის დაძლევაში-----	25-31
ზურაბ ქემოკლიძე, მარინე სულაქველიძე, ჟანა ნოვიკოვა, კარენ მულკიჯანიანი - საქართველოში მოზარდი ზოგიერთი მცენარის ტრიტერპენული საპონინები და მათი ბიოლოგიური აქტივობა-----	32-40
გიორგი დარსაველიძე, ავთანდილ სიჭინავა, კახაბერ შამათავა, მარინა ქადარია, რომან აბრამიშვილი - ელექტრონებით დასხივების გავლენა სტრუქტურულ ფაზურ გარდაქმნებზე n-Si-ის მიკროინდენტირების პროცესში-----	41-48
პაატა მეშველიანი, გია დიდავა, გია თომაძე, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე - ბარეტის საყლაპავის სიმსივნისწინარე და სიმსივნური პროცესების პროლიფერაციული აქტივობის შეფასება AGNOR-ის ტექნოლოგიის გამოყენებით-----	49-62
ია ყურაშვილი, კახაბერ შამათავა, კვატერინე სანაია, გიორგი ჩუბინიძე, გიორგი დარსაველიძე - ალფა ნაწილაკებით დასხივების გავლენა p-SiGe შენადნობების ფუძემდებების დინამიურ მექანიკურ თვისებებზე-----	63-70
გიგი გორგაძე, მარინა გიორგობიანი, თინათინ ჯიქურაშვილი, მზია ფირცხალაიშვილი - გარემოს მავნე ფაქტორთა გავლენა მხედველობის სისტემაზე-----	71-81
ზურაბ ქემოკლიძე, ქეთევან მჭედლიძე, მანანა ჭურაძე, ჯემალ ანელი - <i>Fatsia japonica</i> (Thunb.) Decne. et Planch. იაპონური ფაცია ფოთლის მიკროსტრუქტურული თავისებურებანი (Araliaceae)-----	81-91
ნუგზარ ყოჩიაშვილი, იოსები ქართველიშვილი - მონაცემთა ცენტრის მომავალი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები-----	92-99

ნია ნათბილაძე, ლია ლურსმანაშვილი, ოლღა რუხაძე - უქსოვი ქსოვილის	
შემჭიდროებისა და მოსწორების მოწყობილობა-----	100-103
ოლღა რუხაძე - საქართველოში ნაბდის დამზადების ტრადიციული მეთოდები-	
-----	104-108
ბიძინა კულუმბეგოვი, მაია გოთუა, თინათინ ჩიქოვანი - I და IIb ტიპის	
აუტოიმუნურობა ქრონიკული სპონტანური ურტიკარიით პაციენტებში:	
ომალიზუმაბით მკურნალობის ეფექტურობის შეფასება-----	109-116
ნიკა თოდუა, დავით ჭინჭარაძე, ნინა ვაჩნაძე, მალხაზ გეთია - საქართველოში	
კულტივირებული Mahonia bealei (Fort.) Carr. ალკალოიდების შესწავლა-----	117-122
ლალი ბარბაქაძე, ნიკოლოზ კინტრია, გიორგი ბურკაძე, შოთა კეპულაძე -	
ენდომეტრიუმის სტრომული სიმსივნეების პროლიფერაციული აქტივობის	
შეფასება AgNOR ტექნოლოგიის გამოყენებით-----	123-133
შოთა კეპულაძე, ირაკლი კოხრეიძე, გიორგი ბურკაძე - ეპითელური-	
მეზენქიმული ტრანსფორმაციის მასახიათებლების შედარებითი ანალიზი	
ბუძუს HER2 პოზიტიური მოლეკულური ქვეტიპის ინვაზიური სადინროვანი	
კარცინომის პირველად კერას, სიმსივნურ "ბადებსა" და მეტასტაზურ ლიმფურ	
კვანძებში-----	134-149
მზია კახეთელიძე, ბელა კიკალიშვილი, მარგარიტა გაბელაია, პაველ იავიჩი,	
ლაშა მსხილაძე - საკვების წარმოების ნარჩენი პროდუქტების გამოყენების	
პოტენციური შესაძლებლობა სამედიცინო და კოსმეტიკური პროდუქტების	
მისაღებად-----	150-163
რევაზ ზაზაძე, გულნარა მიქაია, ლაშა ბაკურიძე, დიმიტრი ლაგაზიძე, მანანა	
ორჯონიკიძე, ია წურწუმია, ალიოშა ბაკურიძე - რაბეპრაზოლის ნაწლავში	
ხსნადი და ქაფწარმომქმნელი ტაბლეტების ფორმულაცია და ტექნოლოგია-----	164-171
ნათელა ტეტემაძე, იზოლდა მაჭუტაძე - კოლხეთის დაბლობის გვარი Sphagnum	
სახეობის S. austinii –ის და S. Papillosum შედარებითი ანატომიური აღწერა-----	172-177
ირინე კორინთელი, ირმა კორინთელი - ანტიბიოტიკების გამოყენების	
ზოგიერთი სოციალური ასპექტი საქართველოში-----	178-182
ირინე კორინთელი, ირმა კორინთელი, ანა დარსაძე - COVID 19 -თან	
დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური შეზღუდვების გავლენა ბავშვთა	
ჯანმრთელობის მდგომარეობაზე-----	183-186

მაგდა მეცხვარიშვილი, იამზე კალანდაძე, კახა გორგაძე, მანანა ბერიძე - იდეალური აირის მდგომარეობის განტოლების შესწავლის გზები (მეთოდური მასალა)-----	187-193
ირინა მეგრელიშვილი, მარინა ფაილოძე, ნათია კვესიტაძე, მანანა არაბული- ჭლიკაძე, სოფიკო კანდელაკი, ევგენი ასათიანი, ცისანა ხომერიკი, ლალი ალადაშვილი, ანზორ გოგობერიძე - ექსტრაცელულური მატრიქსი და ანგიოგენეზი მოპროლიფერაციე, მცირე ზომის ლეიომიომებში რეპროდუქციულ პერიოდში ასაკობრივ ასპექტში-----	194-199
ირინა მეგრელიშვილი, მარინა ფაილოძე, ანზორ გოგობერიძე, ნათია კვესიტაძე, ნიკოლოზ ვაჩაძე, ელენე შვანგირაძე, ნინო ნიკურაძე, მაია ხარაბაძე - კორელაციური კავშირი ექსტრაცელულურ მატრიქსსა და ანგიოგენეზს შორის მოპროლიფერაციე, მცირე ზომის (2სმ-მდე და 4სმ-მდე) ლეიომიომებს შორის რეპროდუქციული პერიოდის პაციენტებში ასაკის გათვალისწინებით-----	200-205
ზურაბ ქემოკლიძე - იაპონური ფაციადან ტრიტერპენული გლიკოზიდების ჯამის ექსტრაციის ოპტიმალური პირობების დადგენა-----	206-211
ირმა კორინთელი, ირინე კორინთელი, ანა დარსაძე - COVID 19 - უმაღლესი სამედიცინო განათლების თანამედროვე გამოწვევა-----	212-215
Giorgi Durglishvili, Nato Durglishvili, Maia Gogashvili, Veriko Berulava, Manana Machitidze, Sofo Saparidze, Inga Ozelashvili - A REVIEW OF NEW TECHNOLOGIES IN ANATOMY TEACHING METHODS-----	216-219
ლია წიკლაური, ვალენტინა ვაჩნაძე, ანდრეას ბერნკოპ-შნურხი - ვინკას ალკალოიდების Caco-2 უჯრედებში შეღწევადობა და ემანაცია-----	220-228
ნანა წეროძე, ნინო ქარქაშაძე, ლეილა ტატიაშვილი, ნინო ქავთარაძე, რუსუდან ურიდია, ხათუნა წეროძე - ამინომჟავების მნიშვნელობა-----	229-233
ლია წიკლაური, გუოჰუა ან, მერი ალანია, ეთერ კემერტელიძე, მერილინ ე. მორისი - ბიოფლავონოიდ რობინინის ურთიერთქმედება მემბრანულ ტრანსპორტერებთან BCRP-სა და P-გლიკოპროტეინთან-----	234-252
ხათუნა ბარბაქაძე, ნატო კაკაშვილი - კორპორატიული მართვის ეფექტიანობა: არსებული პრობლემები და პერსპექტივები-----	253-260

ბელა კიკალიშვილი, თამარ ჩიკვილაძე, მარიამ ფულაძე - საქართველოში მოზარდი <i>Cupressus sempervirens</i> L. <i>Verticalis</i> შესწავლა ლიპიდების და ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობაზე-----	261-266
დimitრი ლაგაზიძე, გიორგი ქუთათელაძე, მანანა ორჯონიკიძე, მალხაზ გეთია, ალიოშა ბაკურიძე - ქაცვის ზეთის სუპოზიტორიების შემუშავება და სტანდარტიზაცია-----	267-274
თამარ სვანაძე, შოთა კეკელიძე, ნინო თევზაძე, გიორგი ბურკაძე - ცერვიქსის სხვადასხვა ტიპის ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზიის პროლიფერაციული აქტივობის შეფასება AgNor ტექნოლოგიის გამოყენებით-----	275-287
ჯამბულ ბიწაძე, ნანა ბენიძე, თამთა ჩაგანავა - საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის არსებული პრობლემები და განვითარების გზები-----	288-295
ირაკლი ტაბატაძე, ია ყურაშვილი, ინგა ჯანელიძე, გიორგი დარსაველიძე - წრთობის გავლენა პოლიკრისტალური ვანადიუმის დინამიურ მექანიკურ თვისებებზე-----	296-302
ირინე კორინთელი, ირმა კორინთელი - ჰოსპიტალიზირებულ პედიატრიულ პაციენტებში ხშირად მოავადე ბავშვების დაავადებების სპექტრი-----	303-306
ალიოშა ბაკურიძე, ირაკლი ნადირაძე, ნოდარ ჩიგოგიძე - ამფიცეზინის ლიპოსომური და პოლიმერული ნანონაწილაკების ტექნოლოგია-----	307-311
ნინო დოლიძე - შედუღებითი ნაკერის სიმტკიცის პარამეტრების კვლევა-----	312-316
მარიამ ნერსეიშვილი, დალი ბერაშვილი, მალხაზ ჯოხაძე, სოფიო გოქაძე, ანა ბოჭაძე - გვარი დიყის (<i>Heracleum</i>) სახეობების ქიმიური შემადგენლობა და ბიოლოგიური აქტივობა -----	317-340
თეონა კორკოტაძე, ვახტანგ მშვილდაძე, მალხაზ ჯოხაძე, სოფიო გოქაძე, დალი ბერაშვილი - საქართველოში გავრცელებული შალამანდილის - <i>Salvia glutinosa</i> L. მიწისზედა ნაწილების ქიმიური შემადგენლობა და ბიოლოგიური აქტივობა-----	341-349
თეონა კორკოტაძე, დალი ბერაშვილი, მალხაზ ჯოხაძე, სოფიო გოქაძე, ვახტანგ მშვილდაძე - საქართველოში გავრცელებული დაჯირას - <i>Salvia verticillata</i> L. მიწისზედა ნაწილების ქიმიური შემადგენლობა და ბიოლოგიური აქტივობა-----	350-358

საქართველოში გავრცელებული *Phytolacca americana* L. ნაყოფის ლიპიდები

დურმიშხან, ტურაბელიძე¹, ცისანა სულაქველიძე¹, მარიამ მალანია², ბელა კიკალიშვილი³*

¹ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; ²ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; ³ქიმიის მაგისტრი, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი; ³ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

აბსტრაქტი

კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დადგენილია დასავლეთ საქართველოში მოზარდი ჭიაფერას *Phytolacca americana* L. ნაყოფის ლიპიდები და თანმხლები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები. საკვლევო ობიექტიდან მიღებულია ნეიტრალური და პოლარული ლიპიდების ჯამები 9% და 1,5%. დადგენილია მათში შემავალი ძირითადი კლასები, განსაზღვრულია ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მახასიათებელი, გაზურ-ქრომატოგრაფიული მეთოდით ნ/ლ ჯამში თვისობრივად და რაოდენობრივად დადგენილია ნაჯერი, უჯერი და პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, ზოგიერთი მათგანის მაღალი პროცენტული შემცველობით 9,12 ოქტადეკადიენი 30,99%, 9,12,15 ოქტადეკატრიენი 31,56%, ჰექსადეკანი 15,56%. პოლარულ ჯამში თვისობრივად დადგენილია და რაოდენობრივად განსაზღვრულია ფოსფოლიპიდები საერთო შემცველობით 0,1%. აღნიშნულ ობიექტში კაროტინოიდების შემცველობაა 33,0 მგ%. დადგენილია ნაყოფში ამინომჟავების არსებობა. *Phytolacca americana* L ნაყოფიდან მიღებული მცენარეული ზეთი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით, რაც სამომავლოდ გვამძლევს შესაძლებლობას, რომ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე შეიქმნას იაფი და ეფექტური სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები, რომელსაც პრაქტიკული გამოყენება ექნება ფარმაციაში, მედიცინაში და კოსმეტოლოგიაში.

საკვანძო სიტყვები: ცხიმოვანი მჟავები, ფოსფოლიპიდები, კაროტინოიდები.

ლიპიდები წარმოადგენს მაღალმოლეკულურ ჰიდროფობურ ნაერთებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებში. მათ გააჩნიათ შემდეგი ფუნქციები: სტრუქტურული, ენერგეტიკული, დაცვითი, რეგულატორული. ლიპიდები წარმოადგენს ბიოლოგიური მემბრანის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს, განაპირობებს უჯრედის განვლადობას, მოქმედებს მრავალი ფერმენტის აქტივობაზე, მონაწილეობს ნერვული იმპულსების გადაცემაში, კუნთის შეკუმშვაში, იმუნოქიმიურ

პროცესებში, ორგანიზმიდან გამოყავს რადიონუკლიდები, შლაკები, მძიმე მეტალთა მარილები. გააჩნია მრავალმხრივი მოქმედება: ჰეპატოპროტექტორული, ანთების საწინააღმდეგო, იმუნოტროპული, ანტიბაქტერიული, ციტოტოქსიკური და სხვა [2,4,11].

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია საქართველოში მოზარდი ჭიაფერას *Phytolacca americana* L. ნაყოფის შესწავლა ლიპიდების და თანმხლები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობაზე შემდგომში მედიცინაში გამოყენების მიზნით.

Phytolacca americana L. ჭიაფერა - ოჯახი *Phytolaccaceae* ფართოდ გავრცელებული მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 35-მდე სახეობაა გავრცელებული ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებში, ძირითადად ამერიკაში. კავკასიაში შემოტანილია ჩრდილოეთ ამერიკიდან [1] სარეველად, იზრდება გზების და ტყის პირებზე, კულტურულ ნარგავ-ნათესებში, 1-3 მ. სიმაღლის. საბაღე კულტურაში კი დეკორატიული მცენარეა. აქვს ღია მწვანე, დიდი ზომის ფოთლები, ყვავილები მცირე ზომის თეთრი ფერის, ნაყოფი იისფერ-შავი შეფერილობის, მწიფდება ივლის-აგვისტოში. მედიცინაში გამოიყენება ჭიაფერას ფესვები, ნაყოფი, ფოთლები, ღეროები ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მცენარე შეიცავს: ტრიტერპენულ საპონინებს, ალკალოიდებს, ფლავანოიდებს, ეთერ-ზეთებს, ცხიმოვან მჟავებს, ანტოციანებს, ამინომჟავებს, მიკროელემენტებს. ნაყოფი მდიდარია C, B და PP ვიტამინებით[12]. გააჩნია მაღალი ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი, ანტირევმატიული, ანტიპარაზიტიული და ანტიბაქტერიული მოქმედება. მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, ართრიტის, რადიკულიტის, კანის დაავადებების, დამწვრობის, ჭრილობების, ფურუნკულების სამკურნალოდ [11].

ობიექტი და მეთოდები:

საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა: *Phytolacca americana* L. ჭიაფერა (ნაყოფი) შეგროვებული იყო 2021წ. ხონის რ/ნ სოფელ ხიდში. ობიექტი იდენტიფიცირებულია თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის ს/კ დეპარტამენტის ფარმაცობოტანიკის მიმართულების მეცნიერ თანამშრომელთა მიერ, ნიმუშის ვაუჩერი #21693 ინახება ამავე ინსტიტუტის ჰერბარიუმში.

ნეიტრალური ლიპიდების ექსტრაქცია. *Phytolacca americana* L. ჭიაფერას ჰაერმშრალი ნედლეულიდან ნ/ჰექსანით ოთახის ტემპერატურაზე 1:5 შეფარდებით, ოთხჯერადი ექსტრაქციით და შემდგომი შესქელებით ვაკუუმ-როტაციულ აპარატზე (60 C) მიღებულია ყვითელი ფერის, ზეთისებრი კონსისტენციის ნეიტრალური ლიპიდების (ნ/ლ) ჯამი.

პოლარული ლიპიდების ექსტრაქცია. ნეიტრალური ლიპიდების გამოყოფის შემდეგ დარჩენილი მცენარეული შროტიდან ქლოროფორმ-მეთანოლის (2:1) ნარევით, ოთახის ტემპერატურაზე 1:4 შეფარდებით ოთხჯერადი ექსტრაქციით და შემდგომი შესქელებით ვაკუუმ-როტაციულ აპარატზე (60 C) მიღებულია სქელი კონსისტენციის მუქი ყავისფერი შეფერილობის პოლარული ლიპიდების (პ/ლ) ჯამი.

ნეიტრალური ლიპიდების ანალიზი. ნ/ლ თვისობრივი ანალიზი განხორციელდა თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდით [8].

ნეიტრალური ლიპიდების GC-MS ანალიზი.

ცხიმოვანი მჟავის გაზურ-ქრომატოგრაფიული ანალიზი ჩატარდა გაზურ ქრომატოგრაფზე Agilent technologies 7890B; ინსტრუმენტი აღჭურვილია split/spillless ინჟექტორით. აუტოსამპლერი მიერთებულია კაპილარულ სვეტთან HP-5ms Ultra Inert (30m x 250m x 25m) და მასს სპექტრომეტრულ დეტექტორთან Agilent ინჟექტორის ტემპ. 280 C, დეტექტორის ტემპ. 280° C სვეტის საწყისი ტემპ. 60 C 2წთ, 60° 100° C (2,5 C/წთ); 100° C 2წთ; 100° 280° C (7C/წთ), 280° C 2წთ. ტრანსფერლანის ტემპერატურა 280° C. მიღებული შედეგები დამუშავდა და კომპონენტების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულ იქნა NIST-ის მონაცემთა ბაზა [5,6,7].

პოლარული ლიპიდების ჯამის თვისობრივი ანალიზი. პ/ლ ჯამის თვისობრივი ანალიზი განხორციელდა ორმხრივი თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით [3].

ფოსფოლიპიდების რაოდენობრივი განსაზღვრა. *Phytolacca americana* L. ნაყოფის პოლარული ლიპიდების ჯამში ფოსფოლიპიდების რაოდენობრივ შემცველობას ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრული მეთოდით (Jasco V-730), ტალღის სიგრძე 620ნმ, არაორგანული ფოსფორის მიხედვით [9].

ამინომჟავების ანალიზი. საკვლევ ობიექტში თვისობრივად ამინომჟავების არსებობა დადგენილია თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით. 80% ეთანოლიანი ექსტრაქტის დაყოფას ვახდენდით გამხსნელთა სისტემაში: ბუთანოლი - ძმარმჟავა - წყალი (6 :2:2). უძრავი ფაზა სილიკაგელის ფირფიტა TLC Silikagel 60 F 254 (20cmX20cm, Merck, Darmstadt, Germany). გამჟღავნება, 1% ნინჰიდრინის ხსნარით, დადგენას ვახდენდით Rf სიდიდით, ფერადი რეაქციებით და მოწმეების გამოყენებით [13].

კაროტინოიდების ანალიზი. საკვლევ ობიექტის ნ/ლ ჯამში თვისობრივად დადგენილია და რაოდენობრივად განსაზღვრულია კაროტინოიდები სპექტროფოტომეტრული მეთოდით, ტალღის სიგრძე 451ნმ [10].

კვლევის შედეგი. *Phytolacca americana* L. ნაყოფიდან მიღებულია ნ/ლ ჯამი გამოსავლით 9%. თვისობრივად დადგენილია მასში შემავალი შემდეგი კლასის ნაერთები: ნახშირწყალბადები, ცხიმოვანი მჟავას ეთერები, ტრიგლიცერიდები, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები და სტერინები. სტანდარტული მეთოდების გამოყენებით განსაზღვრულია ჭიაფერას ნაყოფიდან მიღებული ნ/ლ ჯამის ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მახასიათებელი: ხვედრითი წონა d - 0,924; გარდატეხის მაჩვენებელი n -1,471; მჟავობის რიცხვი - 2,7; იოდის რიცხვი I - 93,0 ; გასაპნის რიცხვი - 207.

გაზურ-სითხური ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით თვისობრივად და რაოდენობრივად იდენტიფიცირებულია ჭიაფერას ნაყოფის ზეთში ნაჯერი, უჯერი და პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები: ტეტრადეკანი 0,2%, 9 ჰექსადეკანი 0,22%, ჰექსადეკანი 15,56%, 9,12 ოქტადეკადიენი 30,99%, 9,12,15 ოქტადეკატრიენი 31,56%, ოქტადეკანი 3,78%, ჰექსადეკადიენი 0,19%, ეიკოზანი 0,39%, დოკოზანი 0,39%, ეიკოზადიენი 0,54%, ტეტრაკოზანი 0,51%, დოკოზადიენი 0,35%, ჰექსაკოზანი 0,4%, ოქტაკოზანი 0,24%.

ნ/ლ ჯამის გამოყოფის შემდეგ დარჩენილი მცენარეული შროტიდან მიღებულია პ/ლ ჯამი გამოსავლით 1,5%. აღნიშნულ ჯამში თვისობრივად დადგენილია ექვსი ფოსფოლიპიდი: ლიზოფოსფატიდილქოლინი, ფოსფატიდილინოზიტი, ფოსფატიდილქოლინი, ლიზოფოსფატიდილეთანოლამინი, ფოსფატიდილეთანოლამინი და N-

აცილფოსფატიდილეთანოლამინი. პოლარულ ჯამში ფოსფოლიპიდების საერთო შემცველობა შეადგენს 0,1%, ზეთში (ნ/ლ) კაროტინოიდების შემცველობა 33მგ%.

ამავე მცენარის ნაყოფში თვისობრივად დადგენილია ექვსი ამინომჟავა: ცისტეინი, სერინი, ალანინი, მეთიონინი, ლეიცილინი, ვალინი.

დასკვნა. მიღებული შედეგებით და ლიტერატურული მონაცემებით *Phytolacca americana L.* ნაყოფი და მისგან მიღებული ლიპიდები მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით, რაც იძლევა შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობას სამედიცინო პრაქტიკაში და კოსმეტოლოგიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Revaz Gagnidze. Vascular plants of Georgia a nomenclatural checklist.2005.p.50.
2. Advances in lipid methodology-Two,pp.69-111(1993) (Ed.www.Christie, olily press, du ndee)
3. B Kikalishvili*, Ts Sulakvelidze, M Getia, M Malania, D Turabelid. Study of lipids and some biologically active compounds of Sambucus ebulus L. spread in Georgia.Journal of Pharmacognosy and Phytochemistry.2022; Vol. 11(4) 33-35, E-ISSN: 2278-4136, P-ISSN: 2349-8234, Impact Factor: RJIF 5.52 <http://www.phytojournal.com/>
4. Никонов Г.К., Мануилов Б.М. Основы современной фармакотерапии. М.Медицина. 2005.стр.107.
5. Darrin L. Smith. Mass Spectrometry Applications in Forensic Science, Encyclopedia of Analytical Chemistry, John Wiley & Sons Ltd, New York City. 2010. <https://doi.org/10.1002/9780470027318.a9121>
6. Sukhija PS, Palmquist D. Rapid method for determination of total fatty acid content and composition of feedstuffs and feces. J Agric. Food Chem. 1988; 36:1202-1206.
7. Sponngord R.Y. Sun M. Enhancement of an analytical method for the determination oils in viecine adsorbed formualtions. J. Parmm. / biomed.Anal. 2008; 52;554-564
8. T. Giligashvili¹, G. Moshiashvili¹, B. Kikalishvili^{1*}. Phytochemical study of lipids of *Prunus domestica L.* seeds cultivated in Georgia. Journal of Medicinal Plants Studies 2023; 11(2): 01-03. DOI: <https://doi.org/10.22271/plants.2023.v11.i2a.1531>
9. Russian Pharmakopeia XIII 1;2;3.0020.15.1.2.4 G method(quantitative determination of phosphorus with an Eiconogenin
10. British Pharmacopeia volume V; London: The Stationery Office. 2017. pp.202-203.
11. Raju A.B.,Venugopal Y. Phitolacca americana: a review. Int.Journ.of research in Pharmaceutical and Biomed. Science. 2011.,2(3). 942-946.
12. А.С.Алексеева, И.А.Самылина, Н.В.Бобкова. Растения рода лаконос, произрастающие в России: химический состав, применение, стандартизация. Фармация. N4. Стр.52-56.
13. Kotova E.E., Kotov S.A., Gontova T.M., Kotov A.G. Study of qualitative and quantitative content of amino acids in pumpkin seeds for further standardization of the herbal drug. Eur. Pharm. J. 2019, 67(1), 27-32. DOI: 10.2478/afpuc-2020-0001

Lipids of the Fruit of *Phytolacca americana L.* Common in Georgia

Durmishkhan Turabelidze¹, Tsisana Sulakvelidze¹, Mariam Malania², Bela Kikalishvili³

¹Doctor of Pharmacy, Senior Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia; ¹Doctor of Pharmacy, Senior Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia; ²Master of Chemistry, Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia; ³Doctor of Pharmacy, Principal Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

Abstract

The content of lipids and associated biologically active compounds in fruits of young pokeweed (*Phytolacca americana L.*) commonly growing in West Georgia was analyzed. The sum of neutral and polar lipids (9% and 15%) was obtained from the object of study. Their main classes, and some physico-chemical characteristics were determined; saturated, unsaturated and polyunsaturated fatty acids were identified qualitatively and quantitatively by the gas chromatography, and high percentages of some of them were identified: 9,12-octadecadiene: 30.99%, 9,12,15-octadecatriene: 31.56%, and hexadecane: 15.56%. Phospholipids were determined qualitatively and quantitatively in the polar sum with a total content of 0.1%. The content of carotenoids in the product above is 33.0 mg%. The presence of amino acids in the fruits has been proved. Vegetable oil obtained from the fruits of *Phytolacca americana L.* is rich in biologically active compounds, what, in the future gives an opportunity to produce inexpensive and efficient therapeutic and preventive agents using local raw materials, which may find practical use in pharmacy, medicine and cosmetology.

Keywords: *fatty acids, phospholipids, carotenoids.*

Solanum nigrum L. -ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულება

ქეთევან მჭედლიძე, მარიამ ბენიძე, ნათია საყვარელიძე, ჯემალ ანელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი

აბსტრაქტი

შესწავლილია საქართველოს ფლორის, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მდიდარი წყაროს *Solanum nigrum* L.-ის, ძალყურძენას მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოების შინაგანი აგებულების თავისებურებანი. მიკროტექნიკაში მიღებული კამერალური მეთოდებით კვლევის შედეგად გამოვლენილია პერსპექტიული მცენარის ანატომიური აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლები.

S. nigrum-ის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოები შეზუსტულია კონუსური, მრავალუჯრედიანი, მოკაუჭებული ბუსუსებითა და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით. ვეგეტატიურ ორგანოთა მფარავ ქსოვილში დიფერენცირებულია უპირატესად ანისოციტური ბაგის აპარატი, ამასთანავე ფიქსირდება ანომოციტური ბაგეების არსებობაც. *S. nigrum*-ის ყლორტის ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია, მერქანში წარმოდგენილია მერქნის ტრაქეიდულ, მცირედკალიბრიან სანათურთა ბადისებრი ქსოვილი და გამტარ ჭურჭელთა სპირალურად გარსგასქელებული დიდკალიბრიანი სანათურები. *S. nigrum*-ის ფოთოლი ბიფაციალურია, მეზოფილი დორზოვენტრალური, ამფისტომატური სტრუქტურის, გამტარი კონა უკუ-კოლატერალური ტიპის. ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი აღნაგობისაა. ფოთლის ყუნწში აისახება შერეული ტიპის კოლენქიმა; ყუნწში ასახული ტრანზიტორული ქსოვილის მოხაზულობა რკალისებრია; გამტარი ქსოვილი კოლატერალური აღნაგობის.

საკვანძო სიტყვები: *Solanum nigrum* L.; ფოთოლი; ანატომია; სადიაგნოსტიკო მახასიათებლები; საქართველოს ფლორა.

მაღლყურძენასებრთა, *Solanaceae* Juss. -ის ოჯახი 1230-მდე სახეობის ბალახოვან, ბუჩქოვან, ზოგჯერ ეკლიან და შხამიან, ალკალოიდების შემცველ მცენარეს აერთიანებს და ფართოდაა გავრცელებული აფრიკის, ავსტრალიის და აზიის კონტინენტებზე [7] .

საქართველოს ფლორა მოიცავს მაღლყურძენისებრთა ოჯახის 10 გვარში გაერთიანებულ 26 სახეობას [4,11]. *Solanum nigrum* L.-ი გვარი *Solanum* L. -ის სარეველა ბალახოვანი მცენარეა, რომელიც რუდერალურ ადგილებში, ბაღებში, ბოსტნებსა და საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს, ასევე ტყის პირებსა და ბუჩქბარებშია გავრცელებული[4].

S. nigrum-ი საერთო გავრცელება მოიცავს სკანდინავიას, აღ. ევროპას, ციმბირს, შუა აზიას, ხმელთაშუაზღვეთის მხარეს, აღმოსავლეთ აზიასა და ამერიკას. საქართველოში კი იგი აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში ქართლსა და თრიალეთშია გავრცელებული[4].

Solanum-ის სახეობები ცნობილია, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მდიდარი წყარო. მათგან ბოლო 30 წლის განმავლობაში იზოლირებული და იდენტიფიცირებულია 670 - მდე ნივთიერება, მათ შორის : 134 სტეროიდული საპონინი, 63 სტეროიდული ალკალოიდი, 13 პრეგნანული გლიკოზიდი, 75 ფლავონოიდი, 31 ლიგნანი და სხვა. სტეროიდული საპონინები ძირითადად წარმოდგენილია ტიგოგენინის - (25 R) - 5 α - სპიროსტან - 3 β -ოლი, დიოსგენინის - (25 R)- 5 - ენ -სპიროსტან - 3 β - ოლი , ქლოროგენინის - (25 R) - 5 α - სპიროსტან -3 β ,6 α - დიოლი, ნეოქლოროგენინის - (25 S) - 5 α - სპიროსტან - 3 β , 6 α - დიოლის ნაწარმებით. მათგან მიღებული სტეროიდული გლიკოზიდებისათვის დადგენილია შემდეგი ფარმაკოლოგიური მოქმედებები: ანთების საწინააღმდეგო, სიცხის დამწვევი, ჰიპოტენზური, ჰიპოგლიკემიური, ანტიფუნგალური, აფროდიზიატური, ჰიპოქოლესტერინემული, სიმსივნის საწინააღმდეგო და სხვა [6,8,9,10]. ძველი ქართული ტრადიციული მედიცინის მონაცემებით სამკურნალოდ გამოიყენებოდა ძალღურძენას ფოთლებიდან და ყვავილებიდან მომზადებული საშუალებები ნერვული დაავადებების დროს, ასევე ტკივილგამაყუჩებლად [1,2,3]. საქართველოში გავრცელებული *S. nigrum* - ის მიწისზედა ნაწილებიდან მიღებულია სტეროიდული გლიკოზიდების ჯამი 2 % -ის რაოდენობით, საიდანაც სვეტური ქრომატოგრაფირების მეთოდით იზოლირებული და იდენტიფიცირებულია ტიგოგენინის და დიოსგენინის ნაწარმი სპიროსტანოლური გლიკოზიდები ქიმიური სტრუქტურით: უტრონინი A - (25 R) - 5 α - სპიროსტან - 3 β -ოლ 3 - O - β - D - გლუკოპირანოზილ (1 \rightarrow 2) - [O - β -D - ქსილოპირანოზილ (1 \rightarrow 3) - O - β - D - გლუკოპირანოზილ (1 \rightarrow 4)] - O - β -D - გალაქტოპირანოზიდი და უტრონინი B - (25 R) - სპიროსტან - 5 ენ - 3 β -ოლ 3-O - β - D - გლუკოპირანოზილ (1 \rightarrow 4) - O - α -L - რამნოპირანოზიდი][5]. მცენარიდან მიღებული სტეროიდული გლიკოზიდებისათვის დადგენილია ანტიოქსიდანტური, ფუნგიციდური და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებები.

მცენარის შინაგანი აგებულება სასიცოცხლო პროცესების შედეგია და თუ გვინდა მისი გამომსახველობითი ხასიათის დანახვა იგი უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ჭრილში, ამდენად კვლევის მიზანს პერსპექტიული მცენარის *S. nigrum*-ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა

ანატომიური აგებულების შესწავლა წარმოადგენდა, რათა კვლევის შედეგები საფუძვლად დაედოს ფუნდამენტური ცნობარების, სამეცნიერო ნაშრომების შედგენას.

მასალა და მეთოდიკა.

S. nigrum-ი ერთწლოვანი 15-70 სმ სიმაღლის მცენარეა; სწორმდგომი, დატოტვილი, წიბოებიანი, მოფენილია გაფანტული, მიტკეცილი ბეწვით ან შიშველია; მისი ფოთლები სქელი, თითქმის სამკუთხა, კვერცხისებრი ფორმისაა, ამოკვეთილ-დაკბილული ან კიდემთლიანი. ყვავილები პატარა ზომის ახასიათებს, ყვავილის ყუნწები ზედა ნაწილში გამსხვილებულია; ჯამი კვერცხისებრი ნაკვეთითაა; გვირგვინი თეთრია, შებუსუსული, 5-ნაკვეთიანი, ჯამს ორჯერ აღემატება; მისი ნაყოფი შავი ფერისაა, პრიალა, სფეროსებრი[4].

პერსპექტიული სამკურნალო მცენარის *S. nigrum*-ს საკვლევი ნიმუში მოპოვებულია ქართლის ფლორისტულ რაიონში - N41.91686° E044.09811°, H-720m-ზე, 2022 წელს. საექსპერიმენტო ნედლეულის ნიმუში დაცულია თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ჰერბარიუმში TBPH-22333 (სურ. 1). საანალიზო მცენარის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოების ცენტრალური არეებიდან აღებული საპრეპარატო ნიმუშთა განივი, სიგრძივი და ზედაპირული ანათლები დამზადდა ცოცხალი დაუფიქსირებელი მასალიდან ბასრი სამართებლის საშუალებით, საკვლევი მასალა შეიღება საფრანგის ხსნარში 24 სთ-ის განმავლობაში და მოთავსდა გლიცერინიან გარემოში სასაგნე მინაზე. კვლევის ობიექტთა მიკროტექნიკური კვლევა წარმოებდა სინათლის Carl Zeiss, Jeneval-ის მიკროსკოპზე; ფოტოდოკუმენტალური მასალა დაფიქსირდა ციფრული ფოტოაპარატის (Canon Digital IXUS75) საშუალებით და გრაფიკულად დამუშავდა Adobe Photoshop CS5 -ის პროგრამაში.




სურათი 1. *S. nigrum* L. ჰერბარიუმის ნიმუში

კვლევის შედეგი.

ყლორტი. *S. nigrum*-ის ყლორტის განაკვეთზე აღიბეჭდა აქტიური, მაგრამ მცირე მოცულობის ქერქის პარენქიმა და ასევე აქტიური გამტარი სისტემის სარტყელი და დიდი

მოცულობის მედულარული ქსოვილი. ძაღლყურძენას მფარავი ქსოვილის ღრმა მიკროსტრუქტურული კვლევისას აისახება სწორხაზოვანი, მწყობრად დაგვირისტებული არქიტექტონიკის ფუმემდებარე უჯრედთა პერიკლინალური კედლების სწორი ან ირიბი დახრა. ყლორტის მფარავ ქსოვილში მცირე რაოდენობით შეინიშნება სავენტოლაციო აპარატის არსებობა, ბაგე ანისოციტურია, სატელიტთა გარსი სწორხაზოვანი, ბლაგვკუთხოვანი, ბაგის მკეტავი უჯრედები თანაბრად გარსგასქელებული, ბაგეთშორისი ხვრელი მომცრო ზომის, თითისტარისებრი მოხაზულობის (სურ. 2 C).

S. nigrum-ის ყლორტი შებუსვის მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება, ბუსუსები უპირატესად მრავალუჯრედიანი კონუსური სახისაა. ერთეულობით ფიქსირდება ჯირკვლოვანი სფეროსებრთავიანი ტრიქომების არსებობა. ყლორტის ეპიდერმისის ქსოვილი ერთრიგიანია, სუსტად კუტინიზირებული(სურ. 2 A,B); მფარავი ქსოვილის უჯრედები მომცრო ზომისაა და მჭიდრო ურთიერთგანწყობა აღენიშნება. ეპიდერმულ ქსოვილს ჯერ ქლორენქიმის ერთრიგიანი შრე მოსდევს, ხოლო შემდგომ შერეული ტიპის კოლენქიმური უჯრედები. ქერქის პარენქიმა წარმოდგენილია თხელგარსიანი, ბლაგვკუთხოვანი, დიდი ზომის მჭიდროდ ურთიერთმიჯრილი უჯრედებისაგან (სურ. 2 A,C). ძაღლყურძენას ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია, ფიქსირდება ლაფნის, კამბიუმისა და მერქნის ერთიანი ცილინდრი. ლაფნის თავზე აღიბეჭდება თხელგარსიანი ლაფნის ბოჭკოების ერთ რიგად, რადიალურად მწყობრი განლაგება(სურ. 2 A,B). გამტარი ქსოვილის მერქანში უმეტესწილად დიფერენცირებულია მერქნის ტრაქეიდულ, მცირედკალიბრიან სანათურთა ბადისებრი ქსოვილი, ასევე აისახება კომპაქტურად ოთხ არეში განლაგებული გამტარ ჭურჭელთა დიდკალიბრიანი სანათურები. ტრაქეიდების სანათურთა მოხაზულობა უმეტესწილად სფეროსებრია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა სანათურები ოვალური და მათი ურთიერთგანლაგება ქაოტურად ჯგუფური ან სიგრძეზე მწყობრი(სურ. 2 A,D). ტრაქეიდების გარსის გასქელება მორიგეობით ფოროვანია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა - სპირალური (სურ. 2 B). მერქანში ტრაქეალური ქსოვილის გარდა დიფერენცირებულია მერქნის პარენქიმული და კოლენქიმური უჯრედებისაგან შექმნილი არე, რომელიც ცენტრალური ცილინდრის პერიმედულარულ ქსოვილს ესაზღვრება. ძაღლყურძენას მედულა აღიბეჭდება თხელგარსიანი, მეტ-ნაკლებად მჭიდრო სტრუქტურის პოლიგონალური პარენქიმით (სურ. 2 B,D).



სურათი 2. *S. nigrum*-ის ყლორტის ანატომიური აგებულება


A. ყლორტის სტრუქტურის ფრაგმენტი განივ და B. სიგრძივ ექსპოზიციაში; C. ყლორტის ეპიდერმისის ფუძემდებარე ქსოვილის ფრაგმენტი ანისოციტური ბაგის აპარატით; D. ცენტრალური ცილინდრის ფრაგმენტი.

1. ეპიდერმისი; 2. ქლორენქიმა; 3. კოლენქიმა; 4. ქერქის პარენქიმა; 5. ლაფნის თხელგარსიანი ბოჭკოები; 6. ლაფანი; 7. კამბიუმი; 8. მერქანი; 9. ტრაქეიდისა და 10. გამტარ ჭურჭელთა სანათურები; 11. მერქნის პარენქიმური და 12. სკლერენქიმური უჯრედები; 13. პერიმედულარული და 14. მედულარული უჯრედები 15. სპირალურად გარსგასქელებული გამტარი ჭურჭლები; 16. ფოროვანი ტრაქეიდები.

ფოტოლი. *S. nigrum*-ის ფოტოლი სუსტად შებუსულია კონუსური, მრავალუჯრედიანი, მოკაუჭებული ბუსუსებით (სურ. 3 B), ასევე ერთეულობით ფიქსირდება სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომების არსებობაც. ფოტლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია; ბაგის აპარატი როგორც ანომოციტური ასევე ანისოციტურია, მათი მკეტავი უჯრედები თანაბრად

გარსგასქელებული, ბაგეთშორისი ხვრელი კი თითისტარისებრია (სურ. 3 C, D). ძალეურმენას ფოთოლი ბიფაციალურია, მეზოფილი დორზოვენტრალური სტრუქტურის, ბაგეების განლაგების მიხედვით კი ამფისტომატური (სურ. 3 A). ფოთლის ეპიდერმისის ქსოვილი ერთრიგიანი და თხელგარსიანია, ბაგეთა განწყობა ეპიდერმულ ქსოვილთან მიმართებაში თანაბარი ან მცირედად წამოწეული. მესრისებური პარენქიმა ერთრიგიანია, მაგრამ მისი უჯრედების ანტიკლინარული კედლები მნიშვნელოვნად წაგრძელებულია და ფოთლის რბილობის მოცულობის მნიშვნელოვან არეს მოიცავს; ღრუბლისებური უჯრედები 3-4 რიგადაა განლაგებული და თხელგარსიანი, სიგანეზე გადაჭიმული, ფაშარი ურთიერთგანლაგებით აისახებიან. ფოთლის გამტარი ქსოვილი უკუ-კოლატერალურია, მერქნის ანასტომოზებში ფიქსირდება გარსის სპირალური გასქელება(სურ. 3 A).


S. nigrum-ის ფოთლის ყუნწი (მეზოპეციოლი) რადიალურად ოვალური მოხაზულობისაა, მისი მფარავი ქსოვილი ერთრიგიანი, თხელგარსიანი და მომცრო ზომის უჯრედებით ხასიათდება, მფარავ ქსოვილს ქლორენქიმის ერთრიგიანი უჯრედები მოსდევს, ხოლო შემდგომ შერეული ტიპის კოლენქიმური უჯრედების ერთი ან ორი წყება (სურ. 4 A). ფოთლის ყუნწის ძირითადი ქსოვილი თხელგარსიანი, პოლიგონალური სტრუქტურისაა, ტრანზიტორული ქსოვილის მოხაზულობა რკალისებრია (სურ. 4 A); წარმოდგენილია კოლატერალური გამტარი ქსოვილის სტრუქტურული ელემენტები. აისახება თხელგარსიანი ლაფნის ბოჭკოების დიფერენცირება; მერქნის გამტარი ჭურჭლების სანათურები კუთხოვანია, ახასიათებთ სიგრძეზე მწყობრ მწკრივებად განლაგება და მათი გარსის გასქელება სპირალურია. ფოთლის ყუნწის გამტარ ქსოვილში წარმოდგენილია მერქნის პარენქიმული და მექანიკური ტიპის უჯრედების თანაპოვნირება (სურ. 4 B).



სურათი 3. *S. nigrum*-ის ფოთლის ანატომიური აგებულება

A. დორზოვენტრალური მეზოფილის ფრაგმენტი; B. კონუსური ბუსუსი; C. ფოთლის ზედა და D. ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე ქსოვილის ფრაგმენტი.

1. კონუსური ბუსუსი; 2. ეპიდერმისი; 3. მესრისებური და 4. ღრუბლისებური პარენქიმა; 5. ანასტომოზი; 6. ეპიდერმისის მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი ფუძემდებარე უჯრედები; 7. ანომოციტური და 8. ანისოციტური ბაგე.



სურათი 4. *S. nigrum*-ის ფოთლის ყუნწის (მეზოპეციოლი) ანატომიური აგებულება

A. ყუნწის სტრუქტურის პანორამა; B. გამტარი ქსოვილის ფრაგმენტი.

1. ეპიდერმისი; 2. ქლორენქიმა; 3. კოლენქიმა; 4. ძირითადი პოლიგონალური პარენქიმა; 5. ლაფანი; 6. ლაფნის ბოჭკოები; 7. მერქნის გამტარ ჭურჭელთა სანათურები; 8. მერქნის პარენქიმული და 9. სკლერენქიმული უჯრედები.

დასკვნა.

შესწავლილია საქართველოს ფლორის *S. nigrum*-ის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოების შინაგანი აგებულების თავისებურებანი და დადგენილია მისი მიკროსტრუქტურული აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლების შემდეგი ერთობლიობა:

➤ *S. nigrum*-ის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოები შებუსულია კონუსური, მრავალუჯრედიანი, მოკაუჭებული ბუსუსებით და მცირე რაოდენობით სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით;

➤ *S. nigrum*-ის ყლორტის ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები მწყობრად დაგვირისტებული, სწორხაზოვანია;

➤ ყლორტის მფარავ ქსოვილში დიფერენცირებული ბაგე ანისოციტურია, ბაგეთშორისი ხვრელი მომცრო ზომის, თითისტარისებრი მოხაზულობის;

➤ *S. nigrum*-ის ყლორტის ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია, მერქანში დიფერენცირებულია მერქნის ტრაქეიდულ, მცირედკალიბრიან სანათურთა ბადისებრი ქსოვილი და კომპაქტურად განწყობილ გამტარ ჭურჭელთა დიდკალიბრიანი სანათურები;

➤ ძალყურძენას ყლორტის მერქანში გამტარ ჭურჭელთა ურთიერთგანლაგება ქაოტურად ჯგუფური ან სიგრძეზე მწყობრია;

➤ ყლორტის მერქანში ტრაქეიდების გარსის გასქელება მორიგეობით ფოროვანია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა - სპირალური;

- *S. nigrum*-ის ფოთოლი ბიფაციალურია, მეზოფილი დორზოვენტრალური, ამფისტომატური სტრუქტურის, გამტარი კონა უკუ-კოლატერალური ტიპის;
- *S. nigrum*-ის ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია;
- ფოთლის მფარავ ქსოვილში დიფერენცირებულია ანომოციტური და ანისოციტური ბაგის აპარატი, ბაგეთა ბაგეთშორისი ხვრელი თითისტარისებრია;
- ბაგეთა განწყობა ეპიდერმულ ქსოვილთან მიმართებაში თანაბარი ან მცირედად წამოწეულია;
- *S. nigrum*-ის ფოთლის ყუნწის მეზოპეციოლის ზონაში შერეული ტიპის კოლენქიმა წარმოდგენილი;
- ყუნწში ასახული ტრანზიტორული ქსოვილის მოხაზულობა რკალისებრია;
- ძალღყურძენას ფოთლის ყუნწში არსებული გამტარი ქსოვილი კოლატერალური სტრუქტურისაა;
- ყუნწის მერქანში გამტარი ჭურჭლების სანათურები კუთხოვანია, ახასიათებთ სიგრძეზე მწყობრ მწკრივებად განლაგება და მათი გარსის გასქელება სპირალურია;
- ფოთლის ყუნწის გამტარ ქსოვილში წარმოდგენილია მერქნის პარენქიმული და მექანიკური ტიპის უჯრედთა თანაპოვნირება.

ლიტერატურა:

1. დავით ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი. „საბჭოთა საქართველო“ 1985, 741გვ.;
2. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. სამკურნალო წიგნი - კარაბადინი. თბილისი, „მეცნიერება“, 1986წ.,ტ.1,259გვ.;ტ. 2, 1006 გვ.;
3. ნ. წუწუნავა. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. „საბჭოთა საქართველო“, 1960, 260გვ.;
4. საქართველოს ფლორა ტ.XII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1999; გვ.35-38;
5. М.М. Бенидзе. Стероидные гликозиды Solanum nigrum. Химия природных соединений, 1994, 5, с.683-684;
6. Demisse Dakone, Awoke Guide. A review on ethnomedicinal use, nutritional value, phytochemistry and pharmacological characteristics of Solanum incanum L. – an important medicinal plant. International Journal of Scientific Technology Research. 2016, vol.5, issue 06, p.350-354;
7. <http://theplantlist.org/tpl1.1/search?q=Solanum> ;
8. Ikeda Ts., Tsumagari H., Honku T., Nohara T. Cytotoxic activity of steroidal glycosides from Solanum plants. Biological Pharmaceutical Bulletin. 2003, 26, 8, p. 1198 – 1201;
9. Joseph Sakah Kaunda, Ying – Jun Zhang. The genus Solanum: an ethnopharmacological, phytochemical and biological properties. Review. Natural Products and Bioprospecting. 2019, 9, p.77-137;
10. Limin Xiang, Yihai Wang, Xiaomin Yi, Xiangjiu He. Anti-inflammatory steroidal glycosides from the berries of Solanum nigrum L. Phytochemistry, 2018, 148, Apr. p.87-96;
11. R. Gagnidze- Vascular plants of Georgia a nomenclatural checklist; Tbilisi 2005, p. 141

The anatomical structure of the aboveground vegetative organs of *Solanum nigrum* L.

K. Mchedlidze, M. Benidze, N. Sakvarelidze, J. Aneli

Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry

Abstract

The internal anatomical structure of the above-ground vegetative organs of *S. nigrum* from Georgian flora - a rich source of physiologically active compounds, has been examined using conventional laboratory methods used in microtechnics. The study revealed diagnostic markers in the anatomical structure of a prospective medicinal plant. *S. nigrum*'s aboveground vegetative organs are covered with conical, multicellular, hooked villis and rare spheroidal glandular trichomes. Anisocytic type stomata apparatus is distinguished in the covering tissue of the vegetative organs, though anomocytic stomata are also observed.

The conductive system of *S. nigrum* shoots is monocyclic. Xylem contains a network of tracheidal small-caliber and spirally thickened large-caliber openings of conductive vessels. *S. nigrum* has bifacial leaves with dorsoventral mesophyll, an amphistomatic structure, and a reverse-collateral type conducting bundles. The basal cells of the leaf's upper and lower epidermis are curvilinear and have concave walls. A mixed form of collenchyma is observed in petiole. The outline of the transitional tissue is arcuate; conductive tissue has collateral structure.

Keywords: *Solanum nigrum* L.; leaves; anatomy; diagnostic markers; flora of Georgia.

საინვესტიციო პროექტები, განვითარების ფაზები და საინვესტიციო აქტივობა

მაია ლომსაძე-კუჭავა¹, ხათუნა გიორგაძე², სალომე ჯანელიძე³

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი; ²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; ³საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საინვესტიციო პროექტის მასშტაბები, რეალიზაციის ვადები, საინვესტიციო პროექტის სახეები, განვითარების ფაზები. საინვესტიციო პროექტის სრული განხილვის შემდეგ, შედგენილია საინვესტიციო პროექტის ოპტიმალური მეთოდი, გამოთვლილია ენერგოობიექტისათვის განხორციელებული საინვესტიციო პროექტის ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ენერგოობიექტი, ინვესტორი, პროექტი

შესავალი

ინვესტიციის შედეგად წინასწარი მიზნების მიღწევის განსაზღვრას უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტი. ცნება "საინვესტიციო პროექტი" ორი ასპექტით შეიძლება გავიგოთ:

პირველი, როგორც საქმიანობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება დასმული ამოცანის მისაღწევად და მეორე, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საანგარიშო-საფინანსო დოკუმენტების სისტემა, რომელიც შეიცავს პროექტის ეფექტიანობისა და რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთებას, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

ძირითადი ნაწილი

საერთოდ საინვესტიციო პროექტების დამუშავების პროცესი შედგება წინა საინვესტიციო, საინვესტიციო და საექსპლუატაციო ეტაპებისაგან.

საინვესტიციო ეტაპზე მიმდინარეობს შესაძლებლობათა გამოკვლევა, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, მისი საექსპორტო შეფასება, გადაწყვეტილების მიღება, ბიზნეს-გეგმის დამუშავება.

შემდეგ მოდის საინვესტიციო ეტაპი, რომელიც მოიცავს შემდეგ სამოშაოებს: მოლაპარაკების ჩატარება საფინანსო ორგანიზაციებთან და გადაწყვეტილების მიღება ფინანსირების შესახებ; საინჟინრო-ტექნიკური პროექტირება; კონტრაქტის გაფორმება; მარკეტინგული გამოკვლევის დაზუსტება; კადრების მომზადება.

ყველაფერი ამის შემდეგ საექსპლუატაციო ეტაპი ითვალისწინებს ობიექტის საექსპლუატაციოდ მიღებას, ექსპლუატაციას, შემდგომი მოქმედების წინადადებათა მომზადებას, ახალ შესაძლებლობათა გამოკვლევას.

საინვესტიციო პროექტების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით:

პროექტის მიმართულებების, მისი მიზნიდან გამომდინარე საწარმოო, ტექნიკურ-ეკონომიკური ორიენტაციის პროექტები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. წარმოების ტექნოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური განახლების, ძირითადი საშუალებების შეცვლის, დანადგარების მოდერნიზაციის პროექტები, რომელთა მიზანია გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლება და წარმოების ეფექტიანობის გადიდება;

2. წარმოების მოცულობის ზრდისა და ნომენკლატურის გაფართოების პროექტები მოთხოვნის უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილების, გასაღების ბაზრის გაფართოების, შემოსავლების გაზრდის მიზნით;

3. ახალი პროდუქციის წარმოების ათვისების პროექტები ბაზრის ახალი სეგმენტების შექმნის, მოგების გადიდების, შეცვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.[1]

საინვესტიციო პროექტი მასშტაბის მიხედვით იყოფა: მსხვილ მასშტაბიან, საშუალო მასშტაბიან და მცირე მასშტაბიან პროექტებად. ასეთი პროექტების მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 1

მაჩვენებლები	მცირე მასშტაბური პროექტები	საშუალო მასშტაბური პროექტი	მსხვილ მასშტაბიანი პროექტი
1	2	3	4
კაპიტალდაბანდების მოცულობა	15 მილიონამდე აშშ დოლარი	15 მლნ-დან 1 მილიარდამდე აშშ დოლარი	1 მლრდ-ზე მეტი აშშ დოლარი
რეალიზაციის ხანგრძლივობა	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი

რეალიზაციის ვადების მიხედვით საინვესტიციო პროექტები იყოფა: მოკლევადიან (პერიოდი 1 წლამდე), საშუალო ვადიან (1 წლიდან 5 წლამდე) და გრძელვადიან (5 წლის ზევით) პროექტებად.

საწარმოები, რომლებიც სწრაფად ანახლებენ პროდუქციის ასორტიმენტს აღდგენითი სამუშაოების საცდელი დანადგარების შექმნით და ა.შ. მათთვის დამახასიათებელია მოკლევადიანი პროექტები.

მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების მიხედვით საინვესტიციო პროექტების სახეებია:

1. სოციალური პროექტები, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე;

2. საწარმო-ტექნოლოგიური პროექტები, მიმართული სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების განვითარებაზე;

3. განახლებული საწარმო-ტექნოლოგიური პროექტები, დაკავშირებულია წარმოების განახლებასთან, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან;

4. სამშენებლო პროექტები, ორიენტირებული ახალი ობიექტების შექმნაზე;

5. ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების დანახარჯების შემცირებას, რესურსების ეკონომიას, ხარისხის გაუმჯობესებას.


6. ორგანიზაციული პროექტები დაკავშირებულია საწარმო ობიექტებისა და სოციალურ-კულტურული სფეროს ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფასთან.

7. საინფორმაციო პროექტები მიმართულია ინფორმაციის დამუშავებასთან შენახვა-გადაცემასთან.

საინვესტიციო პროექტის სრული განხილვის შემდეგ ჩვენ შევადგინეთ საინვესტიციო პროექტის ოპტიმალური მეთოდი ენერგობიექტისათვის განხორციელებული საინვესტიციო პროექტის ეფექტურობა.

ეფექტური საინვესტიციო პროექტის შესადგენად, განსაკუთრებით ისეთი საინვესტიციო პროექტებისათვის, სადაც წინასწარ ცნობილია, რომ მას ექნება დაბალი ამონაგები. გარდა ამისა მეთოდოლოგია პრაქტიკულად გამოიციხავს ფინანსური რესურსების არასწორ ხარჯვას [2].

სქემატურად საინვესტიციო პროექტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:



ნახ.1

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ბლოკ-სქემის თითოეული ნაწილი.

1) საინვესტიციო მიზნის განსაზღვრა.

თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე მეწარმე დაინტერესებულია ფულის მოცულობის გადიდებით, ამისათვის მან ფული მომგებიან საქმეში უნდა დააბანდოს, საქმის წარმატებით გამართვის შედეგად ნამატი თანხა მიიღოს. ამ პროცესს ინვესტირების პროცესი ჰქვია, მთავარ მოქმედ პირს კი ინვესტორი.

ცხადია, ინვესტორს სურს ინვესტირების პროცესის დასასრულს მაქსიმალური მოგება მიიღოს, ამიტომ მისთვის მთავარია ფულის დაბანდების მიზანი, ანუ საქმე სწორად განსაზღვროს.

საინვესტიციო საქმის - ობიექტის სწორად შერჩევასათვის ინვესტორი ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს:

- საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების დონე;
- სასტატო საინვესტიციო კაპიტალის მოცულობა;

- ინვესტირების პროცესში წარმოქმნილი დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობები;

- კონკრეტულ გარემო პირობებში საინვესტიციო საქმის (ობიექტის) კონკურენტუნარიანობა;

- საინვესტიციო პროექტის პრაქტიკულად განხორციელების ვადების ოპტიმალურობა;

- საინვესტიციო პროექტზე მოქმედი გარე ფაქტორები (ქვეყანაში მოქმედი საინვესტიციო პოლიტიკა, საგადასახადო სისტემა, მომხმარებელთა გადახდის უნარიანობა, ბიზნეს-საქმიანობის უსაფრთხოება და სხვა.)

ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით ინვესტორი ირჩევს საინვესტიციო ობიექტს - საქმეს. სწორედ ეს წარმოადგენს საინვესტიციო მიზანს.

მარტივად რომ ვთქვათ თავისუფალი ფულის მქონე მეწარმე თავის თავს უსვამს კითხვას: რაში ჩავდო ფული, რომ უფრო მეტი ფული მივიღო? კითხვაზე პასუხი კარგად აწონილ-დაწონილი ფიქრის შედეგად კონკრეტული საქმის დადგენაა.

2) ინვესტიციის განხორციელების ვარიანტების ანალიზი და საუკეთესოს შერჩევა.

თუ პროექტის პირველ ნაწილში ირჩევა ინვესტიციის ობიექტი - მიზანი, ამ ეტაპზე ხდება მისი რეალიზაციის შესაძლო ვარიანტებს შორის ოპტიმალურის დადგენა.

ვთქვათ პირველ ეტაპზე ინვესტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა მცირე ჰესის აშენება და გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაციით მოგების მიღება. მეორე ეტაპზე იგი ადგენს წარმოების გამართვის სხვადასხვა ვარიანტებს შორის საუკეთესოს. კერძოდ:

ა) მცირე ჰესის გავრცელებულ ტექნიკურ პროექტებს შორის არჩევს მისთვის უფრო ხელსაყრელ (ეკონომიურად და პრაქტიკულად) ვარიანტს;

ბ) განსაზღვრავს მდინარეზე ჰესის აშენების ადგილს მომხმარებელთა და ელექტროგადამცემი ხაზების მდებარეობის გათვალისწინებით;

გ) გარემოს დაცვისა და სხვა კანონებთან მიმართებაში ადგენს ჰესის ექსპლუატაციის ოპტიმალურ რეჟიმს და სხვა.

3) საინვესტიციო გარემოსა და საინვესტიციო ობიექტზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.

პროექტის ამ ნაწილში კეთდება საინვესტიციო ობიექტზე მოქმედი ყველა ფაქტორის და მთლიანად საინვესტიციო გარემოს ანალიზი, სათანადო ციფრული გათვლებით დასაბუთებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს საინვესტიციო გარემოს მდგომარეობას, რაშიც პირველ რიგში იგულისხმება ეკონომიკური საკანონმდებლო ბაზის ლიბერალურობა, სამეწარმეო საქმიანობისადმი ფისკალური პოლიტიკის ლოიალურობა, საფინანსო ინსტიტუტების განვითარების დონე, ბაზრის თავისუფლების ხარისხი, კვალიფიციური მუშახელის არსებობა.

4) საინვესტიციო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიური დახასიათება.

ობიექტის განსაზღვრის შემდგომ ინვესტორმა უნდა დაიწყოს შერჩეული საქმიანობის დაწვრილებითი გაანგარიშება. მიზნის განსაზღვრის დროს იგი დაახლოებით ითვლიდა, ამ ეტაპზე კი ყველაფერი ზუსტად უნდა გათვალისწინებოდა. ამ გათვლებში ზუსტდება საინვესტიციო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიური მახასიათებლები.

5) ინვესტირების ეტაპობრივი გეგმის შედგენა.

პროექტის ამ ნაწილში ინვესტორმა საქმის გამართვის დროში გაწერილი გეგმა უნდა

შეადგინოს. ზემოთ ხსენებული მაგალითის შემთხვევაში იგი ადგენს ჰესის აშენების ეტაპებს.

6) ეტაპების მიხედვით საპროგნოზო ეკონომიური მაჩვენებლების განსაზღვრა.

პროექტის ეს ნაწილი ყველაზე არსებითია, ვინაიდან იმის და მიხედვით, თუ რამდენად რეალისტურად იქნება დადგენილი თითოეული ეტაპის საპროგნოზო ეკონომიური მაჩვენებელი, იმდენად მცირე იქნება მთლიანი საინვესტიციო პროექტის უარყოფითი რისკ-ფაქტორი. აქ დაშვებული შეცდომა მძიმედ აისახება შედეგზე.

ვთქვათ ჰესის საინვესტიციო პროექტში ამ ნაწილში ინვესტორმა დაგეგმა ჰესის აშენების ხუთი ეტაპი და ვთქვათ მეორე ეტაპზე, კერძოდ კი საგუბარი კაშხლის აშენება დაგეგმილი იყო შემოდგომაზე და მასზე გათვალისწინებული იყო 100 000 ლარი. პროექტის რეალიზაციის დროს აღმოჩნდა, რომ კაშხალი შემოდგომაზე ვერ მოესწრო. ზამთარში სამუშაოები შეწყდა უამინდობის გამო, გაზაფხულზეც წყალუხვობის გამო ვერ განახლდა სამუშაოები.

ჯამში სამუშაოები შეჩერდა 5-6 თვე. მანამდე გაწეულმა ხარჯებმა და წარმოშობილმა საკონსერვაციო-საექსპლუატაციო ხარჯებმა გადააჭარბეს 100 000 ლარს. კაშხლის აგებისათვის კიდევ 50 000 ლარის გაღება გახდა საჭირო. უკვე ამ ეტაპისათვის პროექტის ჯამური ეკონომიკური ეფექტურობა უარყოფითი გახდა.

7) ინვესტიციის საპროგნოზო ჯამური ეფექტურობის განსაზღვრა.

პროექტის ამ ნაწილში ინვესტორი ანგარიშობს მთელი პროექტის მომგებიანობას დახარჯული თანხის, დროისა და ამოღებული თანხის გათვალისწინებით.

ამ დროს, გარდა წმინდა ეკონომიკური ანგარიშისა, საპროგნოზო ჯამური ეფექტურობის ფორმულაში შეყვანილი უნდა იქნას უარყოფითი რისკ-ფაქტორთა მდგენელები.

8) გადაწყვეტილების მიღება.

ეს ნაწილი აერთიანებს შვიდივე ნაწილში ჩატარებულ ანალიზს. იგი ეყრდნობა არა მარტო ციფრობრივ დასაბუთებას, არამედ მეწარმის ალლოსა და ინტუიციას. რამდენადაც პარადოქსულად მოგვეჩვენოს, წარმატებული ბიზნესმენები თავის საქმიანობაში საკუთარ ალლოსა და ინტუიციას უფრო ეყრდნობიან, ვიდრე მშრალ ეკონომიურ გათვლებს.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს პროექტის თითოეული შემადგენელი ნაწილი თავისი დანიშნულებით განსაზღვრავს საინვესტიციო პროექტის წარმატებულობას. ასე მაგალითად, თუ პროექტის მესამე ნაწილში ინვესტორმა მცირე ჰესის აშენებისათვის საინვესტიციო გარემოს ანალიზით გაარკვია, რომ არსებული საგადასახადო განაკვეთები მძიმე ტვირთად დააწევა მომუშავე ჰესის ეკონომიკური მაჩვენებლებს, მაშინ მან შეიძლება ამავე ეტაპზე მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება და შეწყვიტოს ეს საინვესტიციო პროექტი. ცნობილი გამოთქმა: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო“ - ინვესტორისთვის სამოქმედო პოსტულატია.

მას მერე, რაც ინვესტორმა გადაწყვიტა ფულის დაბანდება, მის საქმიანობაში იწყება ყველაზე რთული პერიოდი - რეალობად აქციოს საინვესტიციო პროექტი. კარგად გათვლილი და გაწერილი საინვესტიციო პროექტი ამ რთული საქმიანობის შემამსუბუქებელია, მაგრამ ვერც ერთი წინასწარი კარგად გათვლილი გეგმა ცხოვრებისეულ ყველა რეალობას ვერ ითვალისწინებს, სწორედ აქ ხდება არსებითი მეწარმის გამოცდილება, ალლო და ინტუიცია.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე მეწარმის მიზანდასახულობა, კომუნიკაბელობა, ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა, საქმისადმი ოპტიმისტური განწყობა, წამოჭრილი

პრობლემებისადმი პრაგმატული მიდგომა. კარგი მეწარმე გამოირჩევა გონებამახვილობით, მოქნილი აზროვნებით, მშვიდი გაწონასწორებული ხასიათით.

ყოველივე ეს მეტწილად გამოცდილებას მოაქვს. ამიტომ ყველა დამწყებმა მეწარმემ უნდა გაითვალისწინოს, რომ არასათანადო ცოდნისა და გამოცდილების გამო დასაწყისში არ შეეჭიდოს დიდ საქმეს, თუნდაც ამისათვის დიდი კაპიტალიც ჰქონდეს და ფორმალურად კარგ ბიზნეს-გეგმასაც ფლობდეს.

საინვესტიციო პროექტის წარმატებით რეალიზაციისათვის ფინანსური ასპექტების გარდა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მენეჯმენტის დონე, ასევე ქვედა რგოლებში მონაწილე კადრების კვალიფიკაცია. ინვესტორმა მუდმივად უნდა ახორციელოს მონიტორინგი საინვესტიციო სამუშაოებზე. ის არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოეშვას და ბოლომდე მიენდოს თუნდაც კარგ დაქირავებულ მენეჯერებს.

კარგი ინვესტორი აწარმოებს საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიმდინარე ეკონომიკურ ანალიზს, არ ელოდება ეტაპის დასრულებას და დინამიკაში ადევნებს ტექნიკურ-ეკონომიურ პარამეტრებს.

მას მერე, რაც საწარმო აშენდება და გაიმართება, იწყება პირობითად “მოსავლის აღება”, ანუ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით შემოსავლის მიღება. კარგი ინვესტორი მიმდინარე შემოსავალს იქვე რეინვესტირებაში უშვებს: ან იმავე საწარმოს გასაუმჯობესებლად, ან ახალი საინვესტიციო პროექტის დასაფინანსებლად. მთავარი პრინციპი – “ფულის მოძრაობა არ უნდა გაჩერდეს”, დაცული უნდა იქნას.

წარმოების ამუშავების მომენტიდან უნდა ხდებოდეს ინვესტიციის ფაქტიური ეფექტურობის პერიოდულად დათვლა და მისი შედარება საპროგნოზო მიმდინარე ეფექტურობასთან. ასეთი დინამიური ანალიზი ინვესტორს ახალი საინვესტიციო პროექტებისათვის საჭირო გამოცდილებას სძენს.

ინვესტორის მიერ განხორციელებული პროექტის ეფექტურობა, მისი ბიზნეს-გამოცდილების თვალსაზრისით, შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმით:

$$E = \frac{I_g}{I_f} \times \frac{T_g}{T_f}$$

სადაც - I_g და I_f – არის გეგმიური და ფაქტიური ინვესტიციები;

ხოლო T_g და T_f – პროექტის განხორციელების საპროგნოზო (გეგმიური) და ფაქტიური დროებია.

თუ საინვესტიციო პროექტის დასრულების შემდეგ $E \geq 1$, მაშასადამე ეს ინვესტიცია მოსალოდნელზე უფრო ეფექტური აღმოჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესმენს თავისი გამოცდილების და ცოდნის ამაღლება დასჭირდება.

განვიხილოთ ჰიდროელექტროსადგურის საინვესტიციო პროექტი.

ვთქვათ ინვესტორმა პროექტის შედგენის დროს ჰიდროელექტროსადგურის აშენებისათვის დაგეგმა 1 მილიონი ლარის დახარჯვა 6 თვის განმავლობაში. რეალურად მას მოუწია 1,1 მილიონი ლარის დახარჯვა, მაგრამ სადგური 5 თვეში ააშენა. მაშინ მისი, როგორც ინვესტორის აკვარგიაანობა, იქნება

$$B = \frac{1000000}{1100000} \times \frac{6}{5} = 1.09$$

ვინაიდან $B = 1.09 \geq 1$ ინვესტორის ბიზნეს გამოცდილება მაღალი დონის ყოფილა, მიუხედავად გაზრდილი ფაქტიური დანახარჯებისა. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი – დრო ფულია.

თავად ინვესტიციის ეფექტურობა ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან t დროის მომენტისათვის განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$E = \frac{D_t + V_t}{I_f + P_t}$$

სადაც D_t არის t დროის მომენტისათვის მიღებული შემოსავალი,

V_t - ობიექტის საბაზრო ღირებულება დროის t მომენტისათვის,

I_t - ინვესტიციის ფაქტიური მოცულობა,

P_t - ექსპლუატაციის ხარჯები.

ზემოთ მოყვანილი ჰიდროელექტროსადგურისათვის ვთქვათ, რომ 3 წლიანი ექსპლუატაციის პირობებში ინვესტორმა გასწია საექსპლუატაციო ხარჯები 2 მილიონი ლარის ოდენობით, ამ ხნის განმავლობაში მიიღო 4 მილიონი ლარის შემოსავალი, ხოლო ობიექტის საბაზრო ღირებულებამ ამ მომენტისათვის შეადგინა 800 ათასი ლარი. მაშინ ინვესტიციის ეფექტურობა სამი წლის შემდეგ იქნება

$$E = \frac{4000000 + 800000}{1100000 + 2000000} = 1.54$$

საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას კარგი ინვესტორი ყოველთვის ადგენს სარეზერვო გეგმებს, რომლებიც მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში გამოადგება. ასეთი წინდახედულობა ბიზნეს-საქმიანობის სტაბილურობის საწინდარია.

დასკვნა

რა თქმა უნდა მეწარმე კარგის იმედით მოქმედებს, მაგრამ რეალობა ზოგჯერ ცუდ სიურპრიზებსაც უჩენს მას. ასეთი სიურპრიზების მაგალითებია:

- საწარმოს ამუშავების მომენტისათვის გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება;

- ქვეყანაში ინფლაციის ზრდა;

- ბაზარზე ძლიერი კონკურენციის გამოჩენა;

-საგადასახადო კანონმდებლობისა და საინვესტიციო გარემოს გაუარესება;

-ფორს-მაჟორული (გაუთვალისწინებელი, გადაუღალახავი) პრობლემები და სხვა.

ინვესტორი ყველა ასეთი სიტუაციისათვის მზად ყოფნაში უნდა იყოს და თითოეულ შემთხვევაში უნდა მოძებნოს გამოსავალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ლომსაძე-კუჭავა. „ინვესტიციების მართვა“ სტუ 2017 წ.
2. ნ.სამსონია, მ.ლომსაძე, მ.თოფურია. საინვესტიციო პროექტის დაგეგმვის მეთოდოლოგიური ასპექტები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ენერჯია", 2(50), ნაწ. 2, 2009.
3. Lomsadze-Kutchava Maia „Анализ факторов риска при инвестировании в энергетический инвестиционный проект“ // The world of science and innovation. Abstracts of the 8th International scientific and practical conference. Cognum Publishing House. London, United Kingdom. 2021. Pp. 425-432.
4. Dias M. Investment in Information in Petroleum, Real Options and Revelation, prepared for the 6th Annual International Conference on Real Options, Paphos, Cyprus, July 4-6, 2002.

Investment projects, development phases and investment activity

Maya Lomsadze-Kutchava¹; Khatuna Giorgadze²; Salome Janelidze³

¹GTU professor, Dr; ²GTU assistant professor, ³GTU doctoral student

Abstract

The article discusses the volume of the investment project, the timing of implementation, types of investment project, development stages. After a complete review of the investment project, an optimal methodology for the investment project is drawn up, the efficiency of the investment project implemented for the energy facility is calculated.

Key words: *investment, energy facility, investor, project*

Role of taxes in overcoming poverty

Natia Kakhniashvili

Doctor of Business Administration, TSU

Abstract

For the economic growth of Georgia, it is necessary for the tax system to be in accordance with the existing reality and long-term strategic goals of the country. The country's tax policy needs to be based on scientific foundations and practical examples existing in the history. The social problems existing in the country create additional challenges for determining the tax policy. Expenditures that are necessary to run social programs and at the same time to create in the country a strong economy, which has the ability to function effectively in a healthy environment, depends exactly on the proper functioning of the tax system.

In order to overcome the poverty, it is necessary to have a tax policy consistent with the country's strategic goals. Such policy allows, along with other economic instruments, to reduce the poverty levels and create a more equitable way of redistributing income among the population.

Keywords: Poverty, taxes, tax base, budget, economic growth.

Introduction

The challenges related to the perfection of the tax system are the most important issues of the economic development policy of Georgia. Economic growth of the country, achievement of sustainable economic development, development of production and solution of social problems faced by the country are possible only in the conditions of proper and effective tax system formation. (Kakhniashvili, Inclusive business model as one of the financial aspects of poverty reduction, 2019)


As it is known, the economic basis of the formation and development of the state is financial resources, which are mainly formed by taxes and their payment to the state budget. The proper and effective functioning of the country's economic system significantly depends on the tax policy implemented by the state and the proper functioning of the tax system. Taxes are a tool of the state to influence the economy. The issues related to the perfection of the tax system always are and will remain the most important key issue of the country's economic policy.

The determination of the amount of taxes and their types, taking into account the country's economic, social and living conditions, justness and efficiency, was the subject of discussion by famous thinkers of all times. The goal of any country is to create such a flexible and purposeful tax system, that will easily adapt to the changeable economic environment and be able to take into account the nature of the country's economic goals and objectives at a specific moment in time.

As a rule, the tax system should have a multi-purpose nature. On the one hand, it should be used to form the main part of the budget, and on the other hand, the tax system should be an incentive for entrepreneurial activity, attracting investments, expanding production, development and, accordingly, further increasing the tax base, in wake of the mentioned. That is, generally speaking, the tax system should be a mechanism promoting the economic development and stimulation.

In terms of low taxes, Georgia has been taking the leading place in the world in recent years, but what is the economic and political cost of this? It is also interesting that low taxes a priori do not indicate the prosperity of the country. The argument that low taxes promote rapid economic growth is not empirically confirmed (Besley & Persson, 2011).


The Nordic countries had high income tax rates for high earners since the very beginning of their development, but this did not prevent them from getting rich. On the other hand, lower taxes for the rich have a negative impact on economic equality. The example of Georgia clearly shows the dark sides of this approach. After 2006, in order to ease the tax burden and expand the taxable base, Georgia introduced a flat income tax and abolished social contributions. As a result of converting the progressive income tax into a flat income tax, the previous government of Georgia increased the tax rate for low-income earners from 12% to 20% and kept the same 20% income tax rate for taxing high-income earners. Partly because of this policy, inequality (GINI coefficient by total consumer spending) rose from 2006 to 2011. In 2003-2009, the largest part of the benefits received from the economic growth went to the affluent segment of the society. More precisely, the incomes and expenses of the upper fifth (20%) of Georgian society increased by 26%, while the lower fifth - by only 10%. In 2012, the new government introduced a universal health care system, which partially helped reduce inequality and poverty in the country. However, income inequality is still higher than the EU and CIS average. The degree of income inequality can be seen on the Lorenz curve, where the "share of families" is located on the abscissa axis, and the share of incomes - on the ordinate axis. Theoretically, an absolutely equal distribution of income is possible, which is shown by the bisector in the diagram. It shows that each given percentage of households receives a corresponding percentage of income: 20% of households receive 20% of income, 40% receive 40% of income, 60% receive a corresponding percentage, and so on. sh., which is marked on the bisector with corresponding points. The space between the bisector and the Lorenz curve indicates the degree of income inequality. The wider this space or gap between the straight line and the curve, the greater the degree of inequality. If the actual distribution of income were absolutely equal, then the bisector and Lorenz curve would coincide. The figure also shows the situation of absolute inequality, which would occur when 1% of households owned 100% of the income. In this case, the Lorenz curve would coincide with the ordinate axis.



Source: Compiled by me

It should be noted that along with the decrease in the ratio of tax revenues to GDP, the ratio of budget tax revenues to GDP increased, which is explained by the elimination of corruption in the tax system, the regulation of the budget reporting process, and the improvement of administration. For more visibility, graph is provided, which shows the dynamics of tax in recent years.

Tax revenue, percent of GDP



Source:

https://www.theglobaleconomy.com/Georgia/Tax_revenue/

It is important to consider the tax revenues of the consolidated budget of 2022, which in nominal terms amounted to 15,193.0 million GEL. Compared to the planned indicator of 2021, the forecast of tax revenues for 2022 increased by 2,271.0 million GEL (by 17.6%).

In relation to GDP, the tax revenues in 2022 amounted to 23.5%. The forecast of the tax revenues according to the types of taxes is as follows: the forecast rate of income tax was determined at 4,602.3 million GEL, including, the share of the state budget amounted to 4,262.1 million GEL, and the share of the autonomous republics was 340.2 million GEL; The income tax increased by 25.2% (by 926.7 million GEL) compared to the planned rate of 2021. The increase in the mentioned volume is caused by the expected excess as a result of the higher than planned economic growth in the current year, the nominal growth of the economy in the next year and the fiscal effects of the end of the tax benefits existing in the current year; The forecast rate of the profit tax was determined at 1,359.2 million GEL; Compared to the planned rate of 2021, the profit tax has increased by 42.9% (408.2 million GEL). The

increase in the mentioned volume is caused by the high volume of taxes to be paid by the financial sector. The profit tax paid by the financial sector in the current year is minimal, as the profit in the sector was small in 2020. The profit rate in the mentioned sector in the current year is quite high, which leads to an increase in the profit tax to be paid in 2023. The forecast rate of value added tax was determined at 6,616.9 million GEL, including, the state budget's share amounts to 5,359.7 million GEL, and the share of municipalities is 1,257.2 million GEL (VAT of the municipalities increases by 143.8 million GEL compared to 2021); Compared to the planned rate of 2021, the VAT in 2022 was increased by 12.9% (by 756.9 million GEL). The increase in the mentioned volume is caused by the expected excess as a result of the higher than planned economic growth in the current year and the fiscal effects of the nominal growth of the economy in the next year; The forecast rate of excise duty was determined in the amount of 1,876.9 million GEL, which is 76.9 million GEL higher than the planned rate of 2021; The forecast rate of import tax was determined at 84.1 million GEL, which is 4.1 million GEL more than the planned rate of 2021; It is important that the property tax forecast rate amounts to 524.2 million GEL; Compared to the planned rate of 2021, the property tax increases by 10.4% (49.2 million GEL). The mentioned increase is related to the expiry of the preferential period established for the tourism sector from the following year and the actual performance dynamics of the current year. The forecast rate of other incomes was determined at 129.4 million GEL, which is 49.4 million GEL more than the planned rate of the current year. According to the draft state budget of 2023, next year the government plans to collect up to 16 billion GEL in taxes. The tax revenue plan increases by 2.5 billion GEL compared to the figures of 2022. In particular, the forecast of tax revenues in 2023 according to types of taxes is as follows. Income tax - 5.1 billion GEL, 806.8 million GEL more than the approved plan for 2022; Profit tax - 1.9 billion GEL, exceeding the approved plan for 2022 by 325 million GEL; Value added tax - 6.4 billion GEL, compared to the 2022 plan, the increase exceeds 1 billion GEL. Excise tax - 2.1 billion GEL, an increase of 210 million GEL compared to the previous year; Import tax - 125 million GEL, an increase of 40 million GEL. The spending part of the consolidated budget of 2023 totals 24.3 billion GEL, and the economic growth is predicted within 5%. However, it is important that economic growth should lead to an increase in the standard of living of the population and a reduction in poverty.

The increase in state revenues was due to the lifting of restrictions related to the pandemic. The pandemic of COVID-19 and the strict restrictions related to it caused a heavy blow to the economy of Georgia, which directly affected the socio-economic situation of households. Loss of jobs and income during the pandemic turned out to be a particularly acute problem, which had an impoverishing effect. The percentage share of the population being below the absolute poverty line has increased. For example, according to official data, it amounted to 19.5% in 2019, and 21.3% in 2020. However, the reality is more difficult.

In response to the acute economic and social problems existing in Georgia, the regulation of taxation is precisely considered to be one of the levers for reducing the poverty level. It is true that the poor do not pay taxes - their pensions, allowances, allocations are not taxed, but if the poor person gets a job, no matter how small his remuneration is, after the abolition of the tax-free minimum (2015), he/she will be taxed with 20% income tax, which will further contribute to their impoverishment.

Therefore, it would be great to restore the non-taxable minimum, this will allow us not to tax low-income earners with income tax. The proportional tax system should be replaced by the progressive system and a differentiated scale of income tax should be established - less income - lower tax rate, more - more. It is also possible to cancel the VAT tax on consumer goods and services and impose it only on luxury items (for example, as in England). Charles Louis Montesquieu said: "Nothing requires so much wisdom and talent as to determine the part that is taken from the servants and the part that is left to them."

Thus, the tax system should ensure the fair distribution of incomes and create equality as far as is possible under conditions of justness.

Conclusion

At the modern stage, the tax system faces different challenges, whether it should be the proportional system in determining tax rates, or we should use the progressive system, from a general point of view, can be considered more fair. It is important, what part of the received incomes should remain with the private entrepreneur and what part should be collected as the tax.

In the leading European countries, we find the progressive system of taxation, which makes the use of this system even more expedient. The separate issue is how tax rates should be established so that people's incentives to increase their incomes are not reduced due to increase in the tax rate.

It is also important to take into account the Gini index. The data of this index is published by the World Bank, according to which a positive trend was observed in Georgia in 2011-2016. Nevertheless, the index indicator is quite high and we should try to further reduce it. In 2017, the numerical expression of this index increased again to 0.40 and reached the highest mark in Georgia, in the following years it is also characterized by a slight downward trend, which once again convinces us of the need to solve this problem.

It is necessary to have a non-taxable minimum, especially in the reality of Georgia, when the salary of not a small part of society is lower than the subsistence minimum existing in Europe or other developed countries. Collection of the same amount of incomes from the people with such low incomes and the rest of society is unfair.

References

1. Abesadze, R. (2013). Living standard of the population, poverty and unemployment in Georgia. *Proceedings of the Academy of Economic Sciences of Georgia*.
2. Archvadze. (2022). *According to the World Bank's report, after 2012, poverty rates in Georgiadecreased by 1.5-2.0 times, including extreme poverty, which was actually halved*. tbilisi: imidnius.
3. Archvadze. (2023, 04 04). *Index of Economic Discomfort: Essence and Applied Value*. Retrieved from european.ge: www.european.ge

4. COVID-19, w. a. (2023, 04 04). https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang-en/index.htm . Retrieved from https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang-en/index.htm : https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang-en/index.htm
5. Davide Furceri, P. L. (2020). How Pandemics Leave the Poor Even Farther Behind.
6. geostat. (2023, 04 04). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>
7. Kakhniashvili, N. (2015). POPULATION POVERTY AND PROGRESSIVE TAXES. *Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*.
8. Kakhniashvili, N. (2016). System of indexes of population lives level and poverty. *Universal*, 289-291.
9. Kakhniashvili, N. (2018). The Impact of Macroeconomic Indicators of Public Finance On Economic Growth in Georgia. *Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press*.
10. Kakhniashvili, N. (2019). Inclusive business model as one of the financial aspects of poverty reduction. *Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press*.
11. Merab Kakulia, N. K. (2017). Chronic Poverty and Income Inequality in Georgia. *Economic and Statistical Survey, Friedrich Ebert Foundation*.
12. NDI. (2023, 04 04). https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf 22.05.2020. Retrieved from https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf 22.05.2020.: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf 22.05.2020.
13. PROSPERITY, S. F. (2018). 4. *STRIVING FOR SHARED PROSPERITY, A proposal for income tax reform in Georgia with the aim of reducing inequality and mobilizing resources for industrial development* , Centre for Social Studies. tbilisi.
14. Report. (2020). *Strategy of socio-economic development of Georgia*. tbilisi: https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf.
15. Tskitishvili, M. (2020, 28 01). *we are in the third place in the world according to the low tax burden*. Retrieved from *we are in the third place in the world according to the low tax burden*.

16. WordBank. (2023, 04. 04).), <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus> 22.05.2020. Retrieved from), <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus> 22.05.2020:), <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus> 22.05.2020

გადასახადების როლი სიღარიბის დაძლევაში ნათია ხახნიაშვილი აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია საგადასახადო სისტემა არსებულ რეალობასა და ქვეყნის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში იყოს. საჭიროა ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძვლებსა და ისტორიაში არსებულ პრაქტიკულ მაგალითებს. ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემები დამატებით გამოწვევებს ქმნის საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ხარჯები, რომლებიც აუცილებელია სოციალური პროგრამების გასატარებლად და ამავდროულად ქვეყანაში მყარი ეკონომიკის შესაქმნელად, რომელსაც შესწევს უნარი ჯანსაღ გარემოში ეფექტურად იფუნქციონიროს, სწორედ საგადასახადო სისტემის გამართულად მუშაობაზეა დამოკიდებული.

სიღარიბის დასაძლევად აუცილებელია, ქვეყნის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში მყოფი საგადასახადო პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა საშუალებას იძლევა სხვა ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან ერთად სიღარიბის დონის შემცირებისა და მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების უფრო მეტად სამართლიანი გზის შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, გადასახადები, საგადასახადო ბაზა, ბიუჯეტი, ეკონომიკური ზრდა.

საქართველოში მოზარდი ზოგიერთი მცენარის ტრიტერპენული საპონინები და მათი ბიოლოგიური აქტივობა

ზურაბ ქემოკლიძე¹; მარინე სულაქველიძე²; ჟანა ნოვიკოვა³; კარენ მულკიჯანიანი⁴

¹ფარმაციის დოქტორი, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; ²თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; ³თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი; ⁴თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

რეზიუმე

ტრიტერპენული საპონინები, რომლებიც ფართოდ გავრცელებულია მცენარეულ სამყაროში, მრავალმხრივი ბიოლოგიური მოქმედებით გამოირჩევიან. მათ ახასიათებთ იმუნომასტიმულირებელი, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმუტაგენური, ანთების საწინააღმდეგო და სხვა მნიშვნელოვანი ფარმაცოლოგიური აქტივობები. ნაშრომში მოყვანილია იაპონური ფაცია *Fatsia japonica* გასუფთავებული საპონინების ჯამის (PS-551) და ქვაპურას სახეობებიდან, *Bupleurum wittmannii* Stev. და *B.rotundifolium* მიღებული გლიკოზიდების ჯამების ქიმიური შესწავლის და მათი ანთების საწინააღმდეგო მოქმედების შედეგები. გლიკოზიდების შემცველობა *F. japonica*-ში იყო 6.5%, *B.wittmannii* Stev.-ში - 3,4%, ხოლო *B.rotundifolium* L.-ში -3,7%. მიწისზედა ორგანოებიდან მიღებულ ტრიტერპენული გლიკოზიდებს შორის გამოვლინდა ოლეანოლის ტიპის საპონინები - საიკოსაპონინი A და საიკოსაპონინი C. მღრღნელებში კარაგენანით გამოწვეული შეშუპების მოდელში დადგინდა, რომ ყველა გამოკვლეული პროდუქტი ავლენს გამოხატულ დოზადამოკიდებულ ანთების საწინააღმდეგო ეფექტს. ამასთან, *B.wittmannii* Stev.-ის გლიკოზიდების ეფექტური დოზა ორჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე *B.rotundifolium* და *F.japonica*-ს, რის გამო *B.wittmannii* Stev. შეიძლება განხილული იქნას, როგორც საიკოსაპონინებით მდიდარი პერპექტიული ნედლეული ეფექტური ანთების საწინააღმდეგო საშუალებების შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ქვაპურა, იაპონური ფაცია, ჟენშენი, ტრიტერპენული გლიკოზიდები, საიკოსაპონინები, ანთების საწინააღმდეგო აქტივობა.

შესავალი

ბიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ შენაერთთა შორის ტრიტერპენული საპონინები ფართოდ გავრცელებულია მცენარეულ სამყაროში და მრავალმხრივი თერაპიული მოქმედებით გამოირჩევიან.

ტრიტერპენული საპონინების უმრავლესობა, როგორც ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ხასიათდებიან მდგრადი ქაფწარმოქმნით, ფიზიოლოგიურად აქტიური თვისებებით და გამოიყენებიან მედიცინაში, პარფიუმერიაში და ტექნიკის ზოგიერთ სფეროში. ტრიტერპენული საპონინების ბაზაზე ცნობილია პრეპარატები ჟენშენიდან (*Panax ginseng* C.A.Meyer); ქვაპურადან (*Bupleurum falcatum*), ბირტკბილადან (*Glycyrrhiza glabra* L.), მანჯურიის არალიასგან (*Aralia mandshurica* Rupr.et.Maxim), ცხენისწაბლიდან (*Aesculus hippocastanum* L.), აზიური ცენტელადან (*Centella asiatica* L.), ყოჩივარდადან (*Cyclamen adzharicum*) და კოლხური სუროსაგან (*Hedera colchica*). ამ ჩამონათვალიდან საინექციო წამლის ფორმები შემუშავებულია ჟენშენიდან „პანდიმექსი“, ცენტელადან - „მადეკასოლი“ და ქვაპურადან - „საიკოსაპონინები“, რომლებიც ორალური წამლის ფორმასთან შედარებით ანალოგიური ფარმაკოლოგიურ ეფექტს აღწევენ 10-ჯერ ნაკლები დოზით შეყვანის პირობებში [1,2].

ტრადიციულ მედიცინაში ყველაზე ფართოდ და ხანგრძლივად გამოყენებულ სამკურნალო მცენარეების მეფედ აღიარებული, ტრიტერპენული საპონინების შემცველი ჟენშენის სავაჭრო ბრუნვა 2022 წელს მსოფლიო ბაზარზე 8 მილიარდი აშშ \$ იყო [3].

ჟენშენს და ტრიტერპენული გლიკოზიდების შემცველ რიგ მცენარეებს ახასიათებთ იმუნომასტიმულირებელი, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმუტაგენური, ანთების საწინააღმდეგო და სხვა მნიშვნელოვანი ფარმაკოლოგიური აქტივობები.

ნივთიერების ქიმიურ სტრუქტურას და მისი ორგანიზმზე მოქმედების დამოკიდებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი სამკურნალო ობიექტების მოძიების და მათი რაციონალურად გამოყენებისთვის.

ტრიტერპენული საპონინების სტრუქტურასა და ბიოლოგიურ აქტიობას შორის კავშირის დადგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იაპონელ მეცნიერებს, რომლებიც აღნიშნულ დამოკიდებულებას შეისწავლიდნენ მცენარე ქვაპურა, *Bupleurum falcatum* L. (იაპონური სახელწოდება - Saiko) ოლეანოლის ტიპის ტრიტერპენული საიკოსაპონინების მაგალითზე. *B.falcatum* უძველესი დროიდან გამოიყენებოდა იაპონიის და ჩინეთის ტრადიციულ მედიცინაში რევმატიზმის, ღვიძლის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. *Bupleurum* L.-ის სახეობებიდან გამოყოფილი საიკოსაპონინები აგლიკონების მრავალფეროვანი სტრუქტურის გამო ამჟღავნებენ მრავალფეროვან ბიოლოგიურ აქტივობას, როგორცაა ცენტრალური ნერვული სისტემისა და ღვიძლის დაცვა, ანტივირუსული, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანთების საწინააღმდეგო და იმუნური რეგულაციის ფუნქციები [5].

საიკოსაპონინები არის ძირითადი ბიოაქტიური ნაერთები ქვაპურაში, რომლებიც შედგება ტრიტერპენული აგლიკონისა და ნახშირწყლებისგან, რომელიც შეიცავს 1-13 მონოსაქარიდს, ისინი შეიძლება დაიყოს შვიდ ტიპად მათი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საიკოსაპონინების სტრუქტურასა და მათი ფარმაკოლოგიური აქტიურობის შორის კავშირის ფუნდამენტალური შესწავლის შედეგად დადგინდა რომ საიკოსაპონინების C-24 მდგომარეობაში ჰიდროქსილის რადიკალის არსებობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიოლოგიურ აქტივობაში, კერძოდ კი საიკოსაპონინების ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედებაში [1,2,4].

ზემოთ აღნიშნული ჰიპოტეზური კვლევების დაგვირგვინებად შეიძლება ჩაითვალოს საპონინების ცნობილი მკვლევარის ჰ. ვაგნერის 1989 წ ნაშრომი [6], სადაც მან მიმოიხილა რა ანტიფლოგისტონური და ანთიალერგიული აქტივობის ახალი მცენარეულ ნედლეულები, და მიუთითა, რომ ტრიტერპენოიდი ბოსველის მჟავა, რომელიც C-24 მდგომარეობაში შეიცავს COOH რადიკალს 0.1 μ M კონცენტრაციით, იწვევს ანთებითი პროცესის 100 %-იან ინჰიბირებას, რაც დადასტურდა შემდეგ პუბლიკაციებშიც [7,8]. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტებს წარადგენდა საქართველოში მოზარდი იაპონური ფაციას *Fatsia japonica* გასუფთავებული საპონინების ჯამის (PS-551) და ქვაპურას სახეობებიდან, *B.wittmannii* Stev. და *B.rotundifolium* მიღებული საიკოსაპონინების ჯამების ფიტოქიმიური შესწავლა და მათი ფარმაკოლოგიური პოტენციალის შეფასება.

მასალა და მეთოდები:

ქიმიური ექსპერიმენტი

იაპონური ფაციას საპონინების ჯამის მიღებას ვახდენდით შემდეგი მეთოდით: დაწვრილმანებული ფოთლების ექსტრაქცია 80 %-იანი ეთანოლით, ექსტრაქტის შესქელების შემდეგ მისი გაწმენდა ქლოროფორმით; გაწმენდილი ექსტრაქტის გატარება ქრომატოგრაფიულ სვეტზე (ალუმინის ჟანგი, ბროკმანის მიხედვით II აქტივობა), მიღებული ელუატების შესქელება და მშრალ ნაშთამდე ამოშრობა.

„საიკოსაპონინების“ მიღების მეთოდი: დაწვრილმანებული ქვაპურას ექსტრაქცია მეთანოლით, ამოშრობა, წყალში გახსნა, ნაკლებპოლარული გამხსნელით გაწმენდა გამყოფ ძაბრში, წყლით გაჯერებული ბუთანოლით ექსტრაქცია გამყოფ ძაბრში, ბუთანოლიანი ფენის შესქელება და ამოშრობა მშრალ ნაშთამდე [10].

ბიოლოგიური ექსპერიმენტი:

ცხოველები

ცდებში გამოყენებული იქნა თეთრი CD1 თაგვები 26 ± 2 გ ($n = 40$). ცხოველები იმყოფებოდნენ ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში (ტემპერატურა $20 \pm 2^\circ\text{C}$, ტენიანობა 55-65%, 12/12-სთ სინათლის/სიბნელის ციკლი, გრანულირებული საკვები - 4 გ/ცხოველი/დღეში, წყალი ad libitum) ექსპერიმენტამდე. ყველა ექსპერიმენტი ჩატარდა ევროკავშირის 2010/63 დირექტივისა და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და გამოყენების სახელმძღვანელოს შესაბამისად [11,12] და დამტკიცებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ (ნებართვა # AP-56-2022).

ანთების საწინააღმდეგო მოქმედება

მწვავე ანთება გამოწვეული იყო კარაგინანის 1% ხსნარის ფიზიოლოგიურ ხსნარში $50 \mu\text{l}$ სუბპლანტარული ინექციით თაგვების უკანა მარჯვენა თათში. კარაგენანის ინექციამდე ერთი საათით ადრე, 0.5 მლ ფიზიოლოგიური ხსნარი და საცდელი ნაერთები დოზით 25-100 მგ/კგ შეჰყავდათ ინტრაპერიტონეალურად საკონტროლო და ექსპერიმენტულ ცხოველებში, შესაბამისად. თათის სისქე იზომებოდა ციფრული მიკრომეტრით კარაგენანის ინექციამდე (საწყისი) და 2 საათის შემდეგ. ანთების საწინააღმდეგო ეფექტურობა გამოითვლებოდა შემდეგი ფორმულით: $E(\%) = (1 - (\Delta T_{\text{exp}} / \Delta T_{\text{con}})) \times 100$, სადაც ΔT_{con} და ΔT_{exp} - თათის სისქის საშუალო განსხვავება პირობითი ერთეულებში კარაგენანის შეყვანამდე და 2 საათის შემდეგ საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების ცხოველებში, შესაბამისად [13].

შედეგები


დადგინდა, რომ ტრიტერპენული გლიკოზიდების შემცველობა *F. japonica*-ში იყო 6.5%, *B.wittmannii* Stev.-ში - 3,4%, ხოლო *B.rotundifolium* L.-ში -3,7%. მიწისზედა ორგანოებიდან მიღებულ ტრიტერპენული გლიკოზიდებს შორის გამოვლინდა ოლენოლის ტიპის საპონინები - საიკოსაპონინი A და საიკოსაპონინი C. (ცხრილი 1)

ცხრილში.

ცხრილი 1


მცენარე / ვეგეტატიური ორგანო	ტრიტერპენული გლიკოზიდები	აგლიკონი	მონოშაქარი	შემცველობა (%)
<i>Fatsia japonica</i> ფოთოლი	ფაციოზიდი A'	ოლენოლის მჟავა	არაბინოზა	6.5
	ფაციოზიდი B'	ხედერაგენინი	არაბინოზა	
	ფაციოზიდი C'	ოლენოლის მჟავა	არბინოზა:გლუკოზა (1:1)	
	ფაციოზიდი D'	ხედერაგენინი	არბინოზა:გუკოზა (1:1)	
	ფაციოზიდი A	ოლენოლის მჟავა	არბინოზა:გლუკოზა (1:1)	
	ფაციოზიდი B	ხედერაგენინი	არაბინოზა:გლუკოზა (1:1)	
	ფაციოზიდი D	ხედერაგენინი	არაბინოზა:რამნოზა :გლუკოზა(1:1:2)	
	ფაციოზიდი F	ოლენოლის მჟავა	რამნოზა:არაბინოზა:გლუკოზა(1:1:3)	
ფაციოზიდი G	ხედერაგენინი	რამნოზა:არაბინოზა:გლუკოზა(1:1:3)		
<i>B.wittmannii</i> მიწისზედა ორგანოები	საიკოსაპონინი A	საიკოგენინი A	გლუკოზა, ფუკოზა	3.4
	საიკოსაპონინი C	საიკოგენინი C	გლუკოზა, გლუკოზა, რამნოზა	
<i>B.rotundifolium</i> მიწისზედა ორგანოები	საიკოსაპონინი A	საიკოგენინი A	გლუკოზა, ფუკოზა	3.7
	საიკოსაპონინი C	საიკოგენინი C	გლუკოზა, გლუკოზა, რამნოზა	

იაპონური ფაცის ტრიტერპენული გლიკოზიდების ზოგადი ფორმულა, საიკოსაპონინი A და საიკოსაპონინი C ქიმიური სტრუქტურები მოყვანოლია სურ.1.



სურათი 1. *B.rotundifolium*, *B. wittmannii* და *F. japonica*-ს ტრიტერპენული გლიკოზიდები

B.rotundifolium (BUP-2) და *B.wittmannii*-ის (BUP-3 და BUP-4) და *F. japonica*-ს (PS-551) მიწისზედა ნაწილებიდან მიღებული ტრიტერპენული გლიკოზიდების ჯამების მღრღნელებში კარაგენანით გამოწვეული შემუშების მოდელში დადგინდა, რომ ყველა გამოკვლეული პროდუქტი ავლენს გამოხატულ დოზადამოკიდებულ ანთების საწინააღმდეგო ეფექტს (სურ.2).



სურათი 2. *F. japonica*-ს (PS-551), *B. rotundifolium* (BUP-2) და *B. wittmannii*-ის (BUP-3 და BUP-4) ანთების საწინააღმდეგო მოქმედება

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ *B. wittmannii* Stev.-ის გლიკოზიდების ეფექტური დოზა ორჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე *B. rotundifolium* და *F. japonica*-ს.

საიკოსაპონინების A და C შემცველი ქვაპურას ექსტრაქტების ანთების საწინააღმდეგო ეფექტი შეესაბამება [14]-ში წარმოდგენილ მონაცემებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხსენებული ექსტრაქტების ფარმაკოლოგიური მოქმედება შეიძლება განპირობებული იყოს არაქიდონის მჟავას მეტაბოლიზმის გზის რეგულირებით.

დასკვნა

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოზარდი ქვაპურას სახეობები, განსაკუთრებით კი *B. wittmannii* Stev. შეიძლება განხილული იქნას, როგორც საიკოსაპონინებით მდიდარი პერპექტიული ნედლეული ეფექტური ანთების საწინააღმდეგო საშუალებების შესაქმნელად.

ლიტერატურა :

1. Kwon SY, Park JW, Young-Jae YJ. Effects of Korean red ginseng on cold- and heat-related symptoms and the autonomic nervous system. *European J. of Integrative Medicine*. 2015; 7:228-233. DOI: 10.1016/j.eujim.2015.01.004
2. Yamamoto M, Kumagai A, Yamamura Y. Structure and actions of saikosaponins isolated from *Bupleurum falcatum* L. I. Anti-inflammatory action of saikosaponins. *Arzneimittelforschung*. 1975; 25(7): 1021-3.,
3. Ginseng: Global Strategic Business Report.
<https://www.researchandmarkets.com/reports/5029877/>
4. Abe H et al. Pharmacological actions of saikosaponins isolated from *Bupleurum falcatum*. 1. Effects of saikosaponins on liver function. *Planta Med*. 1980; 40(4): 366-372. DOI: 10.1055/s-2008-1074987.
5. Jia A, Yang X, Zou B, et al. Saikosaponins: A Review of Structures and Pharmacological Activities. *Natural Product Communications*. 2022; 17(5): 1–24. DOI:10.1177/1934578X221094908
6. Wagner H. Search for new Constituents with Potential Antiphlogistic and Antiallergic Activity. *Planta med*. 1989; 55(3): 235-241.
7. Hao M et al. Structure-activity relationship and substrate-dependent phenomena in effects of ginsenosides on activities of drug-metabolizing P450 enzymes. *nPLoS One*. 2008; 3(7):e2697. DOI: 10.1371/journal.pone.0002697
8. Kim BM. The Role of Saikosaponins in Therapeutic Strategies for Age-Related Diseases. *Oxid Med Cell Longev*. 2018; 8275256. DOI: 10.1155/2018/8275256
9. Ye X, Yu S, Lian XY, Zhang Z. Quantitative determination of triterpenoid glycosides in *Fatsia japonica* Decne. & Planch. using high performance liquid chromatography. *J Pharm Biomed Anal*. 2014; 88: 472-476. DOI: 10.1016/j.jpba.2013.09.017.
10. Soldati F, Sticher O. HPLC Separation and Quantitative Determination of Ginsenosides from *Panax ginseng*, *Panax quinquefolium* and from Ginseng Drug Preparations. *Planta Med* 1980; 39(8): 348-357. DOI: 10.1055/s-2008-1074929
11. Guide for the Care and Use of Laboratory Animals, 8th Ed. USA: the National Academies Press: 2011.
12. Directive 2010/63/EU on the protection of animals used for scientific purposes. Official Journal of the European Union, L 276/33, 2010.
13. Morris CJ. Carrageenan-Induced Paw Edema in the Rat and Mouse. In: *Inflammation Protocols*. Humana Press. 2003; 225:115-112
14. Ma, Y., Bao, Y., Wang, S. et al. Anti-Inflammation Effects and Potential Mechanism of Saikosaponins by Regulating Nicotinate and Nicotinamide Metabolism and Arachidonic Acid Metabolism. *Inflammation*. 2016; 39:1453–1461 DOI: 10.1007/s10753-016-0377-4

Triterpene saponins of some plants growing in Georgia and their biological activity

Zurab Kemoklidze¹, Marine Sulakvelidze², Zhana Novikova³, Karen Mulkijanyan⁴

¹Doctor of Pharmacy, Senior Researcher, Iovel Kutateladze Institute of Pharmacochimistry, Tbilisi State Medical University, ²Senior Researcher, Iovel Kutateladze Institute of Pharmacochimistry, Tbilisi State Medical University, ³Researcher, Iovel Kutateladze Institute of Pharmacochimistry, Tbilisi State Medical University, ⁴Principal Researcher, Iovel Kutateladze Institute of Pharmacochimistry, Tbilisi State Medical University

Abstract

Triterpene saponins, which are widely distributed in the plant world, are characterized by versatile biological activity. They are characterized by diverse pharmacological activity including, but not limited to immunostimulating, antitumor, antimutagenic, anti-inflammatory. The study reports the results of chemical study of glycosides obtained the sum of purified saponins (PS-551) from *Fatsia japonica* and *Bupleurum B.wittmannii* Stev. and from *B. rotundifolium* and their anti-inflammatory activity. Glycosides content in *F.japonica* appeared 6.5%, in *B.wittmannii* Stev. - 3.4%, and in *B.rotundifolium* L. - 3.7%. Among the triterpene glycosides obtained from above-ground organs, saponins of the oleanol type were identified - saikosaponin A and saikosaponin C. In the model of carrageenan-induced edema in rodents, it was determined that all the investigated products exhibit a pronounced dose-dependent anti-inflammatory effect. In addition, the effective dose of glycosides of *B.wittmannii* Stev. was found to be twice more than that of *B.rotundifolium* and *F. japonica*, due to which *B.wittmannii* Stev. can be considered as a promising raw material rich in saikosaponins for the development of effective anti-inflammatory drugs.

Key words: *Fatsia japonica*; *Bupleurum wittmannii*; triterpene glycosides, saikosaponins, anti-inflammatory.

ელექტრონებით დასხივების გავლენა სტრუქტურულ ფაზურ გარდაქმნებზე n-Si-ის მიკროინდენტირების პროცესში

გიორგი დარსაველიძე, ავთანდილ სიჭინავა, კახაბერ შამათავა, მარინა ქადარია, რომან აბრამიშვილი

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

ანოტაცია.

შესწავლილია მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივების გავლენა (111) ორიენტაციის n-Si-ის სტრუქტურულ ცვლილებებზე ვიკერსის მეთოდით მიკროინდენტირების პროცესში. ნაჩვენებია, რომ $1 \cdot 10^{13}$ სმ⁻² ფლუენსის ელექტრონებით დასხივება იწვევს დრეკადობის მოდულისა და პლასტიკური დეფორმაციის გამომწვევი საშუალო საკონტაქტო წნევის სუსტად ზრდას. ინდენტორის დატვირთვა-გადაადგილების ფუნქციონალურ დამოკიდებულებების განტვირთვის უბანზე ერთდროულად გამოვლენილია ბაქანი და დახრილობის თანდათანობითი ცვლილება. აღნიშნული ცვლილებები დამახასიათებელია ნაწილობრივი ამორფიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნებისათვის სილიციუმის მეტასტაბილურ ფაზებში. ელექტრონებით დასხივება ავლენს ფაზური გარდაქმნების კრიტიკული წნევების ამაღლების ტენდენციას საშუალო საკონტაქტო წნევის 4-5,5 გპა დიაპაზონში.

საკვანძო სიტყვები: მონოკრისტალური სილიციუმი, ვიკერსის ინდენტორი, ელექტრონებით დასხივება, საკონტაქტო წნევა, დრეკადობის მოდული

შესავალი

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მიმდინარეობს ნახევარგამტარულ სილიციუმზე დაფუძნებული მასალების ინტენსიური კვლევა, რაც განპირობებულია მათი მაღალი მექანიკური, ელექტროფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოვლინებით ძლიერად ლოკალიზებული ზემოდალი მექანიკური ძაბვების მოქმედების პირობებში. ჰიდროსტატიკური წნევების 9-16 გპა დიაპაზონში მონოკრისტალური სილიციუმი განიცდის ფაზურ გარდაქმნებს. აღმასის ტიპის Si-I ფაზა გარდაიქმნება მაღალი სიმკვრივის β -Sn ტიპის მეტალურ Si-II (Si-I \rightarrow Si-II ფაზური გარდაქმნა იწვევს მოცულობის $\sim 20\%$ ით შემცირებას)

ფაზად [1,2]. ჰიდროსტატიკური წნევებით განხორციელებული Si-I → Si-II ფაზური გარდაქმნა არ არის შექცევადი ხასიათის [3,4]. Si-II ფაზა შესაძლებელია გარდაიქმნას Si-I-საგან განსხვავებულ ფაზად, რომლის სტრუქტურული მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თავდაპირველი მაღალი წნევის შემცირების სიჩქარეზე. მონოკრისტალურ სილიციუმზე მოქმედი 10-16 გპა დიაპაზონის წნევის დაბალი სიჩქარით შემცირების პროცესში 12-10 გპა ინტერვალში Si-II ფაზა გარდაიქმნება Si-XII ანუ r8 რომბოედრულ ფაზად. Si-II ---- Si-XII ფაზური გარდაქმნა ხასიათდება მოცულობის ~ 9%-ით შემცირებით. წნევების შემცირების მაღალი სიჩქარეების შემთხვევაში უპირატესად ფორმირდება a-Si ამორფული ფაზა [5]. გარეშე მაღალი წნევებისა და Si-I ფაზის რეალურ სტრუქტურებში ლოკალიზებული ძაბვების ერთდროული რეგულირებით მოსალოდნელია სხვადასხვა მოდიფიკაციის მეტასტაბილური ფაზის წარმოქმნა [6].

აღსანიშნავია, რომ წნევისაგან განტვირთულ მდგომარეობაში ნორმალური წნევისა და ოთახის ტემპერატურის პირობებში Si-XII და ამორფული a-Si-ის ფაზები სტრუქტურულად მდგრადია [7].

მიკროინდენტირების პროცესებში ძლიერად ლოკალიზებული წნევების ზემოქმედებით სილიციუმის სტრუქტურაში დაიშორება ფაზური გარდაქმნები, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინდენტორზე მიყენებული წნევების სიდიდეებსა და შემდგომში დატვირთვა-განტვირთვის სიჩქარეზე. დადგენილია [8,9], რომ ინდენტორის სწრაფი განტვირთვის პროცესში უმთავრესად Si-II ფაზიდან წარმოიქმნება ამორფული მდგენელი a-Si, ხოლო შენელებული სიჩქარით განტვირთვისას შესაძლებელია ინდენტორის ქვეშ ჩაისახოს Si-III და Si-XII ფაზების ნარევი. Si-III ფაზური მდგენელი წარმოადგენს bcc მოცულობით ცენტრირებულ კუბურ სტრუქტურას.

ამჟამად არსებული მონოკრისტალური სილიციუმის ნანოინდენტირებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომების ანალიზი ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად შეუსწავლელია ლეგირებისა და თერმული, მექანიკური და რადიაციული ზემოქმედების გავლენა ფაზური გარდაქმნებისა და სტრუქტურული დეფექტების ქვესისტემის ცვლილებებთან დაკავშირებულ დეფორმაციის მექანიზმებსა და მათი წვლილზე ფიზიკური თვისებების მოდიფიცირებაში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საწყისი და მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივებული n-Si-ის დატვირთვა-განტვირთვის რეჟიმში ინდენტირების ფაზური მდგომარეობებისა და მექანიკური თვისებების მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები.


კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ჩოხრალსკის მეთოდით მიღებული ფოსფორით ($\approx 10^{13} \text{სმ}^{-3}$) დოპირებული მონოკრისტალური სილიციუმის (111) ორიენტაციის ორმხრივ პოლირებული ფირფიტები სისქით ≈ 500 მკმ. სტანდარტული მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. პოლირებული ნიმუშების (111) ორიენტაციის ზედაპირების სიმქისე შეადგენს 5-

65მ-ს. საცდელი ნიმუშების დასხივება მაღალენერგეტიკული (12მეგ) ელექტრონებით განხორციელდა Varian-ის სისტემის clinac 2100iX დანადგარზე. დასხივების ფლუენსი $\approx 8 \cdot 10^{13} \text{სმ}^{-2}$ -ია. ინდენტირება სრულდებოდა ჰაერზე ოთახის ტემპერატურაზე Shimadzu DUH-211S დინამიურ ულტრა მიკროსისალის ტესტერზე დატვირთვა-განტვირთვის რეჟიმში ვიკერსის მეთოდით. ინდენტორზე დატვირთვისა და კრისტალში შეღწევის სიღრმის სიდიდეების რეგისტრაცია ტარდებოდა დატვირთვა-განტვირთვის პროცესებში. ყოველ მაქსიმალურ დატვირთვაზე დაყოვნების დრო შეადგენდა 10წმ, ხოლო განტვირთვის ბოლო სტადიაზე დაყოვნება შეადგენდა 5წმ. ინდენტირების ფიქსირებულ მაქსიმალურ დატვირთვებზე დინამიურ რეჟიმში განხორციელებულ დატვირთვა-შეღწევის სრული ციკლის გრაფიკებზე ვლინდება სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული ე.წ. Pop-in და Pop-out შემთხვევები ფუნქციის წყვეტის, ღუნვის ან პლატოს ფორმით. მათი შესაბამისი საშუალო საკონტაქტო წნევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია ინდენტირებით ფორმირებული ფაზების ანალიზში. საშუალო საკონტაქტო წნევა ინდენტორსა და საცდელ ნიმუშს შორის განისაზღვრება ფორმულით $\sigma_i = \frac{P_i}{A_i}$, P_i არის ინდენტორზე დატვირთვა, ხოლო A_i არის შესაბამისი პროექცირებული კონტაქტის ფართობი. ვიკერსის ინდენტორისათვის $A_i \approx 24.5 (h_c)_i^2$, სადაც $(h_c)_i = h_i - (h_s)_i$, h_i - ინდენტორის გაზომვის რომელიღაც i წერტილში. ამავე წერტილში დრეკადი გადახრა $(h_s)_i$ განისაზღვრება როგორც $(h_s)_i = (h_s)_{\max} \sqrt{\frac{P_i}{P_{\max}}}$, სადაც $(h_s)_{\max} = \varepsilon \frac{P_{\max}}{S}$; $\varepsilon = 0.75$, P_{\max} - მაქსიმალური დატვირთვა საცდელ ნიმუშზე, S არის სიხისტე, ის განისაზღვრება ნიმუშზე განტვირთვის დასაწყისში [10]. ექსპერიმენტულად განსაზღვრული ინდენტორი-ნიმუშის სისტემის ეფექტური E_r მოდულით განისაზღვრება S სიდიდე: $S = \frac{2 E_r A_i^{0.5}}{\pi^{0.5}}$, სადაც $\frac{1}{E_r} = (1-\nu^2)/E_{it} + (1-\nu_i^2)/E_i$ [11], E_{it} , ν და E_i , ν_i ალმასის ინდენტორისა და ნიმუშის დრეკადობის მოდულისა და პუასონის კოეფიციენტის სიდიდეებია. ზემოთ აღწერილი თანმიმდევრობა დამუშავებული იქნა პროგრამულად საკონტაქტო წნევების გამომანგარიშებისათვის, სადაც გამოყენებულია შემდეგი რიცხვითი მნიშვნელობები ინდენტორისათვის $E_{it} = 1140$ გპა, $\nu = 0.07$. სილიციუმისათვის $E_i = 130$ გპა, $\nu_i = 0.28$ (100) ორიენტაციისათვის [12].

მაღალი ხარისხით პოლირებული სილიციუმის (100) ზედაპირებზე დისლოკაციების განაწილების ხასიათისა და სიმკვრივის კვლევა შესრულდა ოპტიკურ მიკროსკოპზე NMM-80RF/TRT. ოთახის ტემპერატურაზე ელექტროფიზიკური მახასიათებლები იზომებოდა ჰოლის ეფექტის რეგისტრაციით 0.5 ტესლა ინდუქციის მუდმივ მაგნიტურ ველში ვან დერ პაუს მეთოდით HMS-3000 სისტემის ხელსაწყოზე. საწყის მდგომარეობაში ნიმუშები ხასიათდებიან დისლოკაციების სიმკვრივით $\sim 10^4 \text{სმ}^{-2}$ და კუთრი ელექტროწინალობით 4.5 ომი სმ.

ექსპერიმენტული შედეგები და განსჯა



ნახ. 1. მონიკრისტალური n-Si-ის ინდენტორების დატვირთვა-გადაადგილების დამოკიდებულებები.

-----●----- მაქსიმალური დატვირთვა 100მნ.

-----*----- მაქსიმალური დატვირთვა 50მნ


ნახ. 1-ზე ნაჩვენებია ინდენტორის დატვირთვა შეღწევის გრაფიკული წარმოდგენა ინდენტორზე მაქსიმალური დატვირთვის 50 მნ და 100 მნ პირობებში. ინდენტორის ნიმუშის სიღრმეში შეღწევისა და უკუსვლის ეტაპზე გრაფიკის შტოების ცვლილებები ერთმანეთისაგან განსხვავებული კანონზომიერებით ხასიათდებიან. რაც მიუთითებს დატვირთვა-განტვირთვის სრულ ციკლში დრეკად და არადრეკად დეფორმაციაზე საცდელი ნიმუშის ინდენტორის ქვეშ არსებულ ზონაში. ინდენტორზე მოდებული მაქსიმალური დატვირთვის გაზრდით 100 მნ-მდე იზრდება კრისტალში შეღწევის სიღრმე, ასევე მალდება ინდენტორის განტვირთვის შემდეგ ნარჩენი სიღრმე. უწყვეტი დატვირთვის ზრდის პროცესში შესაბამისი გრაფიკის ფორმა დამოკიდებული არ არის ინდენტორზე მოდებული მაქსიმალური დატვირთვაზე. ამავე უბანზე გრაფიკებზე არ ფიქსირდება რაიმე თავისებურება (წყვეტა, დახრილობის ცვლილება, ღუნვა, პლატო), ეს მიანიშნებს ინდენტორზე განვითარებული მაღალი წნევის გავლენით მოსალოდნელ ფაზურ გარდაქმნებზე საცდელი n-Si-ის ალმასის ტიპის სტრუქტურაში.

ლიტერატურული წყაროების თანახმად [13,14] ვიკერსის ინდენტორზე დატვირთვის ზრდის პირობებში ფაზური გარდაქმნების გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ იშვიათად, ინდენტორზე დატვირთვის დროში ცვლილების სიჩქარის მეტად დაბალი მნიშვნელობებისათვის.

განტვირთვის საწყის ეტაპზე გრაფიკებზე შეინიშნება მაჩვენებლიანი ფუნქციის ანალოგიური ცვლილებები, რაც ადასტურებს განტვირთვის დეფორმაციის დრეკად ბუნებას. ინდენტორზე მოდებული 100მნ მაქსიმალური დატვირთვისას დატვირთვა- განტვირთვის გრაფიკის უკუსვლის შტოზე 25 მნ სიღრმის განტვირთვის მახლობლობაში გამოვლინდა პლატო, რაც მიუთითებს დეფორმაციის არადრეკადი მდგენელის განვითარებას. თანახმად

ლიტერატურული მონაცემებისა [15] განტვირთვა-უკუსვლის, გრაფიკზე პლატო მიეწერება ფაზურ გარდაქმნებთან დაკავშირებულ პლასტიკურ დეფორმაციას, ინდენტორის ქვეშ განვითარებული მაღალი წნევის გავლენით. დეფორმაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით გაანალიზებულია 50 მნ და 100 მნ დატვირთვებით წარმოქმნილი ინდენტორების ანაბეჭდების ოპტიკური მეტალოგრაფიული გამოსახულებები. ორივე შემთხვევაში ოპტიკურ გამოსახულებებზე არ ფიქსირდება ბზარწარმოქმნა და დეფორმაცია მსხვრევით. პრაქტიკულად არ იქნა გამოვლენილი დისლოკაციური სრიალის ნაკვალევი. მაშასადამე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ განტვირთვა-უკუსვლის შტოზე არსებული პლატო განპირობებულია ფაზური გარდაქმნებით ძლიერ ლოკალიზებულ არეში ინდენტორის წვეროს ქვეშ.

~ 10^{14} ფლუენსის მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივება, რომლის შედეგად n-Si-ს კრისტალურ მესერში ფორმირდება წერტილოვანი რადიაციული დეფექტები, იწვევს დატვირთვა-შედწევის გრაფიკების დახრილობის სუსტ ცვლილებას დატვირთვის ზრდის ეტაპზე. განტვირთვის ეტაპზე ვლინდება გაგანიერებული ბაქანი და შემდგომში გრაფიკის სიმრუდის ცვლილება. ელექტრონებით დასხივებულ ნიმუშებში მკაფიოდ იზრდება ინდენტორზე მოდებული დატვირთვის სიდიდე ბაქანის მახლობლობაში 100მნ მაქსიმალურ დატვირთვაზე. [ნახ 2].




ნახ.2. 12 მევ ენერგიის ელექტრონებით დასხივებული მონოკრისტალური n-Si-ის ინდენტორების დატვირთვა-გადაადგილების დამოკიდებულებები.

----●---- მაქსიმალური დატვირთვა 100მნ.

----*---- მაქსიმალური დატვირთვა 50მნ.

ინდენტორებით ინდუცირებული ფაზების იდენტიფიკაციაში უმთავრესად იყენებენ საშუალო საკონტაქტო წნევის მნიშვნელობებს, რომელიც უმნიშვნელოდ იცვლება დატვირთვის სიდიდისა და ცვლილების სიჩქარის ფართო დიაპაზონებში.




ნახ 3. მონოკრისტალური n-Si-ის საშუალო საკონტაქტო წნევის კონტაქტის სიღრმეზე დამოკიდებულებები.

----●---- მაქსიმალური დატვირთვა 100მნ.

----*---- მაქსიმალური დატვირთვა 50მნ.

ნახ 3-ზე წარმოდგენილია საშუალო საკონტაქტო წნევებისა და ინდენტორის კრისტალში გადაადგილების გრაფიკები მაქსიმალური დატვირთვის 50მნ და 100მნ მნიშვნელობებისათვის. ჩანს, რომ განტვირთვის დროს გამოვლენილი გადახრები დაიმზირებიან საშუალო წნევის 5-5.5 გპა შუალედში. $\sim 10^{14}$ სმ⁻² ფლუენსის მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივება პრაქტიკულად არ იწვევს არსებით ცვლილებებს ინდენტორზე დატვირთვა-განტვირთვის ფუნქციონალურ დამოკიდებულებებში. დაუსხივებელ მდგომარეობასთან შედარებით შეიმჩნევა საშუალო საკონტაქტო წნევის სუსტი მატება (ნახ.4).



ნახ 4. 12 მევ ენერგიის ელექტრონებით დასხივებული მონოკრისტალური n-Si-ის ინდენტორების პროცესში საშუალო საკონტაქტო წნევის კონტაქტის სიღრმეზე დამოკიდებულებები.

----●---- მაქსიმალური დატვირთვა 100მნ.

----*---- მაქსიმალური დატვირთვა 50მნ.

საწყისი ნიმუშის დრეკადობის მოდულის (E) გამოანგარიშებით მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები: 50 მნ მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში $E=186.0$ გპა, ხოლო 100 მნ მაქსიმალურ დატვირთვაზე $E=185.8$ გპა. $\sim 10^{13}\text{სმ}^{-2}$ ფლუენსით მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივება იწვევს დრეკადობის მოდულის სუსტად ზრდას მაქსიმალური დატვირთვის ორივე მნიშვნელობაზე. როდესაც მაქსიმალური დატვირთვა არის 50 მნ, მაშინ $E=201.4$ გპა, ხოლო მაქსიმალურ 100 მნ დატვირთვაზე ის შეადგენს 190.2 გპა. დრეკადობის მოდულის ცვლილებებში რადიაციული განმტკიცების სუსტად გამოვლინება განპირობებულია მაღალენერგეტიკული ელექტრონების დაბალი ფლუენსით.

ექსპერიმენტულად დადგენილი ელექტროფიზიკური და დინამიური მექანიკური თვისებების სპეციფიკური ცვლილებები გამოწვეული ელექტრონების რადიაციისა და განსაკუთრებით, ინდენტირების პროცესებში განვითარებული სტრუქტურული გარდაქმნებით, მათი იდენტიფიკაციისას და შესაბამისად სტრუქტურულად მგრძობიარე თვისებების ცვლილებათა მექანიზმების დასადგენად, აუცილებელია ფაზური შედგენილობისა და მდგრადობის კვლევა ელექტრონული დიფრაქციისა და რამანის სპექტროსკოპიის მეთოდებით.

ლიტერატურა

1. J.C Jamieson J.Science, 139 (1963), 762-766.
2. J.Z.Hu, L.D.Merkle, C.S.Menoni and J.L.Spain. J.Phys. Rev., B34 U.T(1986), 4679-4683.
3. J.Crain, G.J.Ackland, J.R.Maclean, R.O.Piltz, P.D.Hatton and G.S.Pawley J.Phys Rev., B50 (1994), 1304313047.
4. R.O.Piltz, J.R.Macklean, S.J.Clark, G.J.Ackland, P.D.Hatton and J.Grain J.Phys. Rev., B52 (1995), 4072-4076.
5. A.Kailer, Y.G.Gogotsi and K.G.Nickel. I.Appl. Phys., 81 (1997), 3057-3064.
6. U.T.Yin and U.L.Cohen.I.Phys.Rev., B26 (1982), 5668-5674.
7. I.S.Kasper and S.H.Richards. I.Acta Crystall., 17 (1964), 752-757.
8. V.Domnich and Y.Gogotsi. I.Rev.Adv.Mater.Sci., 3 (2002), 1-36.
9. A.D.Sidiropoulos, E.Harea, A.A.Konstantinidis and E.C.Aifantis I.Mech. Behau Mater., 26(1-2),(2017), 65-71.
10. T.Juliano, Y.Gogotsi, and V.Domnich. J.Mater.Res., Vol.18,N5,2003, 1192-1201.
11. U.Zelenak, J.Valesek, S.Hloch.I.Metallurgiya, 51,3,2012, 309-312.

12. C.R.Das,S.Dhara, Yeau-Ren Jeng, H.C.Hsu, K.H.Chen. I.Appl. Phys.Letters, 96,2010, 253113-1-253113-3.
13. Li Chang, Liangehi Zhang. J.Materials Science and Engineering A506, 2009, 125-129.
14. R.Abram, D.Chrobak and R.Now-ar. J.Phys. Rev. Letters, 118, 2017, 095502-1-095502-5.
15. Z.Zeng, Lin Wang, K.Ma, and Deren Yang. I.Scripta Materialla, 64, 2014, 832-835.

Influence of electron irradiation on structural phase transformations during microindentation of n-Si

Giorgi Darsavelidze, Avtandil Sichinava, Kakhaber Shamatava, Marina Kalaria, Roman Abramishvili

Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology, Tbilisi, Georgia

Abstract

Influence of electron irradiation on structural changes in the process of microindentation by the Vickers method in (111) oriented n-Si has been studied. It is shown, that electron irradiation with $1 \cdot 10^{13} \text{ cm}^{-2}$ fluence causes weak increase of elastic modulus and average contact pressure causing plastic deformation. In the area of unloading of the functional dependences of the indenter load-displacement, a plateau and a gradual change in the slope are simultaneously revealed. The mentioned changes are characteristic of partial amorphization and structural transformations in the metastable phases of silicon. Electron irradiation reveals a tendency to increase the critical pressures of phase transformations in the range of 4-5.5 GPa of average contact pressure.

Keywords: *monocrystalline silicon, Vickers indenter, electron irradiation, contact pressure, elastic modulus*

ბარეტის საყლაპავის სიმსივნისწინარე და სიმსივნური პროცესების პროლიფერაციული აქტივობის შეფასება AGNOR-ის ტექნოლოგიის გამოყენებით

პაატა მეშველიანი¹, გია დიდავა², გია თომამე³, შოთა კეკულაძე⁴, გიორგი ბურკაძე⁵

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; ²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ³თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი ქირურგი; ⁴თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; ექიმი პათოლოგანატომი; ⁵თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

აბსტრაქტი

საყლაპავის კარცინომა წარმოადგენს სიხშირით მერვე ავთვისებიან დაავადებას და სიმსივნესთან ასოცირებული სიკვდილიანობის მეექვსე მიზეზს მსოფლიო მასშტაბით. აშშ-ს მონაცემებით საყლაპავის კარცინომების უმეტესობას შეადგენს ადენოკარცინომები. საყლაპავის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების ინციდენტობა ყოველწლიურად მცირდება, ხოლო ადენოკარცინომების რაოდენობა კი ბოლო სამი-ოთხი დეკადის განმავლობაში არ შეცვლილა. დადგენილია, რომ არსებობს ძლიერი კორელაცია პროლიფერაციულ აქტივობასა და სიმსივნის ცუდ პროგნოზს შორის, ამიტომ კლინიკური კვლევებით ინტერესი პროლიფერაციული პოტენციალი სსხვადასხვა მარკერებზე ჯერ კიდევ აქტუალურია და ყოველწლიურად იზრდება. ჩვენი კვლევის ფარგლებში განხორციელებულ იქნა კოჰორტული რეტროგრადული კვლევა, რისთვისაც გამოყენებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის 2019-2022 წლების საარქივო მასალა. განისაზღვრა პროლიფერაციული აქტივობა AgNOR-ის ტექნოლოგიით არსებულ 35 შეთხვევაში შეფასდა შემდეგ ჰისტოლოგიურ ერთეულში: ბარეტის საყლაპავი ენტერული მეტაპლაზიით; ბარეტის საყლაპავი ფოვოლური მეტაპლაზიით; ბარეტის საყლაპავი ეპითელიუმის დაბალი ხარისხის დისპლაზიით; ბარეტის საყლაპავი ეპითელიუმის მაღალი ხარისხის დისპლაზიით; ჩვენი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით AgNOR-ის ტექნოლოგია შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბარეტის საყლაპავის დროს პროლიფერაციული აქტივობის შესაფასებლად.

საკვანძო სიტყვები: ბარეტის საყლაპავი; AgNOR; დისპლაზია; მეტაპლაზია;

ლიტერატურის მიმოხილვა

საყლაპავის კარცინომა წარმოადგენს სიხშირით მერვე ავთვისებიან დაავადებას და სიმსივნესთან ასოცირებული სიკვდილიანობის სიხშირით მეექვსე მიზეზს მსოფლიო მასშტაბით. აშშ-ს მონაცემებით საყლაპავის კარცინომების უმეტესობას შეადგენს ადენოკარცინომები¹. საყლაპავის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების ინციდენტობა ყოველწლიურად მცირდება, ხოლო ადენოკარცინომების რაოდენობა კი ბოლო სამი-ოთხი დეკადის განმავლობაში არ შეცვლილა. ამას გარდა აღსანიშნავია, მსოფლიოს კიბოს რეგისტრის ოფიციალური მონაცემებით, საყლაპავის ადენოკარცინომების ინციდენტობა აშშ-ში შეადგენს 2,8-ს ყოველ 100 000 მოსახლეზე, ხოლო საქართველოს მონაცემებით 0,93-ს². თუმცა, შესაძლებელია ოფიციალური სტატისტიკა ზუსტად არ ასახავდეს აღნიშნული დაზიანებების გავრცელებას, რადგან საყლაპავის ადენოკარცინომების უმეტესობა ჰისტოპათოლოგიურად არ განირჩევა კუჭის ადენოკარცინომებისგან და მათი ზუსტი დიაგნოსტიკა გართულებულია. ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პრობლემა უფრო მეტადაა გამოხატული განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

ბარეტის საყლაპავის ფართოდ გავრცელებული პათოგენეზური თეორიაა საყლაპავის ეპითელიუმის დაზიანება ქრონიკული გასტროეზოფაგური რეფლუქსით, თუმცა, ის თუ როგორ ხდება ბრტყელუჯრედოვანი ეპითელიუმის ცილინდრული ეპითელიუმით ჩანაცვლება ბოლომდე ცნობილი არაა. არსებობს ბარეტის საყლაპავის განვითარების პოტენციური მექანიზმები, როგორებიცაა ტრანსდიფერენციაციაცია და ტრანსკომიტენტი³.

ტრანსკომიტენტი წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ხდება მოუმწიფებელი პროგენიტორი უჯრედები პროლიფერაცია და დიფერენციაცია სხვადასხვა უჯრედის ტიპებად. ამ დროს ხდება პროგენიტორი უჯრედების რეპროგრამირება და მათი ნორმალური დიფერენციაციის პროცესი შეცვლილია. ტრანსკომიტენტი ემსგავსება ტრანსდიფერენციაციის მოგვიანებით ეტაპებს პალიგენეზის პროცესით. თუმცა ტრანსდიფერენციაციისგან განსხვავებით ტრანსკომიტენტი იწყება მოუმწიფებელი პროგენიტორი უჯრედებისგან, რომლებიც განიცდიან პათოლოგიურ დიფერენციაციას, სავარაუდოდ პათოლოგიურად შეცვლილი გარემოს გამო, როგორიცაა მაგალითად გასტროეზოფაგური რეფლუქსი. ცნობილი არ არის თუ რომელი პროგენიტორი უჯრედებიდან ხდება ბარეტის ეზოფაგუსის განვითარება, მაგრამ არსებობს ოთხი კატეგორიის უჯრედი, როგორც შესაძლო კანდიდატები. ესენია საყლაპავში მდებარე პროგენიტორი უჯრედები, კერძოდ ბრტყელუჯრედოვანი ეპითელიუმის ბაზალური უჯრედები ან საყლაპავის სუბმუკოზური ჯირკვლების და მათი სადინრების უჯრედები; კუჭის პროქსიმალური ნაწილის (კარდიის) უჯრედები, რომლებიც მიგრირებენ საყლაპავში, რათა მოახდინონ რეფლუქსით დაზიანებული ბრტყელუჯრედოვანი ეპითელიუმის რეპარაცია; ურჯედების სპეციალიზებული პოპულაცია ეზოფაგო-გასტრულ შეერთებაში, რომლებიც ასევე მიგრირებენ საყლაპავში რათა მოახდინონ რეფლუქსით დაზიანებული ბრტყელუჯრედოვანი ეპითელიუმის ჩანაცვლება და ძვლის ტვინის პროგენიტორი უჯრედები რომელთა ტრანსპორტიც ხდება სისხლის საშუალებით საყლაპავში,

რათა მათ მიერ მოხდეს რეფლუქსით დაზიანებული ბრტყელი ეპითელიუმის უჯრედების ჩანაცვლება. რადგან ნაწლავის ტიპის უჯრედები, რომლებიც დამახასიათებელია ბარეტის მეტაპლაზიისათვის ჩვეულებრივ არ ვლინდება საყლაპავში, კუჭში ან ძვლის ტვინში, ამიტომ საჭიროა რეპროგრამირება ნებისმიერი ამ კანდიდატი უჯრედიდან ბარეტის მეტაპლაზიის განვითარებისათვის. ფიქრობენ, რომ გასტროეზოფაგური რეფლუქსი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც საჭიროა ამ პროგენიტორი უჯრედების ტრანსკომიტენტისათვის. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია ტრანსკომიტენტის პროცესში მონაწილეობდეს აღნიშნული უჯრედების ერთ ტიპზე მეტი, როგორც ბარეტის ეზოგაფუსის პროგენიტორი უჯრედი. უფრო მეტიც, ნებისმიერმა ამ პროგენიტორმა უჯრედმა შესაძლოა დასაბამი მისცეს ბარეტის ეზოგაფუსის რეციდივის განვითარებას დაზიანების ენდოსკოპიური ერადიკაციიდან თვეების და წლების შემდეგაც კი^{4,5}.

ფიქრობენ, რომ საყლაპავის ადენოკარცინომების უმეტესობა ვითარდება ბარეტის ეზოგაფიტთან ასოცირებული დისპლაზიისგან. ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, ბარეტის ეზოგაფიტთან ასოცირებული ადენოკარცინომის ინციდენტობა ცვალებადია და დამოკიდებულია კვლევის მახასიათებლებზე. მაგალითად, ფართომასშტაბიან კვლევებში აღწერილია სიმსივნის განვითარების უფრო დაბალი რისკი, შედარებით მცირემასშტაბიან კვლევებთან. კვლევები, რომლებიც ჩატარებულია უფრო მეტად მამაკაცებზე აჩვენებს სიმსივნური დაავადების მნიშვნელოვნად მაღალ ინციდენტობას, რადგან ბარეტის ეზოგაფუსის დისპლაზიად და შემდგომ ავთვისებიან სიმსივნედ პროგრესიის მაჩვენებელი ორჯერ უფრო მაღალია მამაკაცებში, ქალებთან შედარებით. Yousef და კოლეგების მიერ გამოქვეყნებული იქნა სისტემური მიმოხილვა და 47 კვლევის მეტა ანალიზი, რომლის მიხედვითაც სიმსივნის საშუალო ინციდენტობა ბარეტის ეზოგაფუსის დროს შეადგენდა 6.1-ს ყოველ 1000 კაცზე წელიწადში (0.6% წელიწადში). თუმცა ამ კვლევამ ასევე აჩვენა მნიშვნელოვანი სხვაობა სხვადასხვა კვლევებს შორის. იგივე ავტორების მიერ გამოვლენილი იქნა შედარებითი დაბალი ინციდენტობა იმ კვლევებში, რომლებშიც გამორიცხული იყო ადრეული კიბოს შემთხვევები (29 კვლევა 47-დან) და საბოლოო ინციდენტობა შეადგენდა 5.3-ს 1000 კაცზე წელიწადში (0.5% წელიწადში), მაგრამ ასევე აქაც აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ჰეტეროგენულობა კვლევებს შორის. მსგავსი შედეგები იქნა ნანახი Sikkema და კოლეგების კვლევაში, რომელთაც ჩაატარეს სისტემური მიმოხილვა და მეტა ანალიზი 50 კვლევაზე, რომელიც საერთო ჯამში მოიცავდა 14 109 პაციენტს⁶. მათ მიერ აღწერილი იყო კარცინომის ინციდენტობა 6.3 1000 კაცზე წელიწადში, ასევე მნიშვნელოვანი ჰეტეროგენულობით კვლევებს შორის. როდესაც კვლევაში მოხდა მხოლოდ იმ შემთხვევების გათვალისწინება სადაც ბარეტის ეზოგაფუსის მხოლოდ კარგად განსაზღვრული კრიტერიუმები იყო დასახლებული ინციდენტობა შემცირდა 5.0-ზე 1000 კაცზე წელიწადში. Alcedo და კოლეგების მიერ ასევე აღწერილი იქნა მსგავსი ინციდენტობა, 4.8 1000 კაცზე წელიწადში (0.5% წელიწადში)^{3,7-9}.

მაღალი ხარისხის დისპლაზიის მქონე პაციენტების იმყოფებიან კარცინომის განვითარების უფრო მაღალი რისკის ქვეშ. ზოგიერთ კვლევებში, ეს რისკი შეფასებულია როგორც 60%-დან 90%-მდე. ერთ-ერთი მეტა ანალიზის შედეგებით საყლაპავის ადენოკარცინომის

განვითარების მაჩვენებელი მაღალი დისპლაზიის მქონე პაციენტებში ცვალებადობდა 55.7-დან 1000 კაცზე წელიწადში (5.6% წელიწადში) 65.8-მდე 1000 კაცზე წელიწადში (6.6% წელიწადში)⁹.

დაბალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევაში ადენოკარცინომის განვითარების რისკი შედარებით დაბალია, თუმცა ამ დროს აღინიშნება სტატისტიკურად სარწმუნო პროგრესიის რისკი მაღალი ხარისხის დისპლაზიად ან კარცინომად, რომელიც შეადგენს 20%-დან 28%-მდე 5 წელიწადში¹⁰.

ზემოთ აღნიშნული ლიტერატურული მონაცემები მიუთითებს, რომ ცალკეული პაციენტები ხასიათდებიან ბარეტის ეზოფაგიტის დისპლაზიად და შემდგომში კარცინომად პროგრესიის განსხვავებული რისკით. შესაბამისად კლინიკურ პრაქტიკაში მაღალი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურ პაციენტში არსებული დაზიანების პროგრესიის რისკის სწორ შეფასებას, რაც თავის მხრივ გააადვილებს მკურნალობისა და კლინიკური მენეჯმენტის სწორი მეთოდების შემუშავებას.

ამჟამად Ki67 წარმოადგენს უჯრედის პროლიფერაციის ყველაზე კარგად შესწავლილ მარკერს. Ki67-ის მომატებული ექსპრესია აღინიშნება სხვადასხვა ტიპის კარცინომებში, საყლაპავის კარცინომის ჩათვლით. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია განსხვავება Ki67-ის განაწილებაში დაბალი ხარისხის დისპლაზიასა და მაღალი ხარისხის დისპლაზიის შორის. შესწავლილი იქნა კოლეგების მიერ გამოკვლეული იქნა Ki67-ის მონიშვნის ინდექსი 25 ეზოფაგექტომიურ მასალაში ბარეტის ეზოფაგუსის სხვადასხვა უბნებში. ბარეტის ეზოფაგუსის უბნებში დისპლაზიის გარეშე Ki67-ზე საშუალო პოზიტიურობა შეადგენდა 45%-ს, დაბალი ხარისხის დისპლაზიის უბნებში Ki67-ის საშუალო პოზიტიურობა შეადგენდა 46%-ს, ხოლო მაღალი ხარისხის დისპლაზიის უბნებში Ki67-ზე საშუალო პოზიტიურობა აღწევდა 55%-ს. მიუხედავად მცირე განსხვავებებისა აღინიშნებოდა სტატისტიკურად სარწმუნო ხაზობრივი კორელაცია დაზიანების პროგრესიასა და Ki67-ის მონიშვნის ინდექსს შორის. მოპროლიფერაციე უბნის ზომა ასევე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი დაზიანების პროგრესიის კვალდაკვალ. Lauwers და კოლეგების კვლევაში, რომელშიც შესწავლილი იყო Ki67-ის ექსპრესია 20 ეზოფაგექტომიურ მასალაში აღწერილი იქნა Ki67-ზე საშუალო პოზიტიურობა 10% დისპლაზიის არმქონე ბარეტის ეზოფაგუსის უბნებში, 20% დაბალი ხარისხის დისპლაზიის უბნებში და 50% მაღალი ხარისხის დისპლაზიის უბნებში¹¹. Hong და კოლეგების მიერ ასევე შესწავლილი იყო Ki67-ის მონიშვნის ინდექსი ბარეტის ეზოფაგუსის მქონე პაციენტებში და კუჭის ლორწოვანში (როგორც საკონტროლო ქსოვილი). კუჭის ლორწოვანში Ki67 მონიშვნის საშუალო ინდექსი აღწევდა 13%-ს. ბარეტის ეზოფაგუსის უბნებში დისპლაზიის გარეშე 33%-ს, 40%-ს დაბალი ხარისხის დისპლაზიაში და 33%-ს მაღალი ხარისხის დისპლაზიაში. ეს კვლევა მოიცავდა საყლაპავის ადენოკარცინომის მხოლოდ ხუთ შემთხვევას, რომლებშიც Ki67-ის მონიშვნის საშუალო ინდექსი აღწევდა 38%-ს^{7,8,12}.

დადგენილია, რომ არსებობს ძლიერი კორელაცია პროლიფერაციულ აქტივობასა და სიმსივნის ცუდ პროგნოზს შორის, ამიტომ კლინიკური კვლევებით ინტერესი

პროლიფერაციული პოტენციალი სხვადასხვა მარკერებზე ჯერ კიდევ აქტუალურია და ყოველწიურად იზრდება. მოწოდებულია პროლიფერაციის შეფასების სხვადასხვა საშუალებები როგორცაა თიმიდინის მარკირების/მონიშვნის ინდექსი (thymidin labeling index), გამდინარე ციტომეტრი (flow cytometry) იმუნოჰისტოქიმიური ანტისხეული Ki-67 ასევე AgNOR შეღებვა და პროლიფერაციული უჯრედის გამოვლენა^{13,14}.

სიმსივნის ბიოლოგიური ქცევისა და პროგნოზის დადგენა მეტად რთული პროცესია და მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიების, დახვეწილი და სპეციალიზებული ინსტრუმენტებისა თუ ტექნიკის გამოყენებით რაც ასევე დიაგნოსტიკურად არახარჯეფექტურია.

AgNOR-ის შეღებვის ტექნიკა ეკონომიური, სწრაფი, და მარტივი შესასრულებელია. ის შეიძლება შესრულდეს პარაფინში ჩაყალიბებულ ანათლებზე. ნაკლოვანებები მოიცავს შრომატევადი და დამღლელი წერტილების დათვლის მეთოდს, რომელიც ხშირად ასოცირდება დამკვირვებლებს შორის განსხვავებულ შედეგებთან, არასტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების არარსებობის გამო. გარკვეული ტიპის კვლევებით გამოვლენილია მისი ეფექტურობა, როგორც დამხმარე საშუალება საშვილოსნოს ყელის ბრტყელ ეპითელიუმის დისპლაზიების დიფერენცირებაში ასევე სხვადასხვა ორგანოთა სისტემის კეთილთვისებიანი თუ ავთვისებიანი პროცესების დიფერენცირებაში^{14,15}.


AgNOR/The Nucleolar Organiser Regions იზიფრება, როგორც ბირთვული მორგანიზაციული რეგიონები და არის დნმ-ის მარყუჟები, რომლებიც პროცირდება მიტოზის ინტერფაზური ბირთვების ბირთვაკებში. AgNORs არის ქრომოსომული სეგმენტები, რომლებიც აკოდირებენ რიბოსომურ რიბონუკლეინის მჟავას, განლაგებულია ხუთ აკროცენტრულ ქრომოსომაზე რიცხობრივად 13,14,15,21 და 22. ეს ნუკლეოლარული რეგიონები ასოცირდება მჟავე არაჰისტონის პროტეინებთან, რომლებიც არგროფილურია. ბირთვული ორგანიზატორული რეგიონები (AgNORs) განლაგებულია უჯრედის ბირთვში. AgNOR ტექნიკით იღებება ცილები შერჩევითად ვერცხლის კოლოიდური ტექნიკით. AgNOR ლაქა შეიძლება ვიზუალურად იყოს შავი წერტილის სახით ოპტიკური მიკროსკოპის ქვეშ. AgNOR-ის გაზრდილი რაოდენობა დაკავშირებულია უჯრედების გაზრდილ პროლიფერაციასთან^{16,17}.

მასალა და მეთოდები


ჩვენი კვლევის ფარგლებში განხორციელებულ იქნა კოჰორტული რეტროგრადული კვლევა, რისთვისაც გამოყენებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის 2019-2022 წლების საარქივო მასალა. კვლევა მოიცავდა ჯამში 35 შემთხვევას. H&E და იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია განხორციელდა ორი დამოუკიდებელი პათოლოგ-ანატომის მიერ (შ.კ; გ.ბ). ანათლები დამატებით შეიღება AgNOR-ის ტექნოლოგიით (შესაბამისი პროტოკოლის მიხედვით).

1. ანათლები დაიჭრა 4 მიკრონის სისქეზე;
2. დეპარაფინიზაცია, ჰიდრატაცია დეიონიზებულ წყალში.

3. ერთი მოცულობა 2% ჟელატინის ხსნარი და ორი მოცულობა ვერცხლის ნიტრატის ხსნარის ნარევის მოთავსდა სლაიდზე და დაიფარა მთლიანად;
4. სლაიდები ინკუბატორში 370C ტემპერატურაზე დაყოვნდა 15 წუთის განმავლობაში.
5. ვერცხლის კოლოიდი ჩამოირეცხა დეიონირებული წყლით.
6. ანათლდები დეჰიდრატირდა ქსილოლით და დაფიქსირდა ბიომაუნტის ხსნარით;




სურათი 1: ნაჩვენებია ეპითელიური უჯრედებისა და AgNOR-ის წერტილების დათვლის პროცესი



სურათი 2 : ნაჩვენებია AgNOR-ის ტექნოლოგიით შეღებილ ანათლებში წერტილების გამოვლენისა და დათვლის პროცესი;

ექსპრესია შეფასდა ციფრული პათოლოგიის პროგრამით QuPath-ის მეშვეობით (ვერსია 0.4.0): თითოეული შემთხვევიდან აღებული იქნა მაღალი მხედველობის ველის HPF სურათი (უპირატესად 200X და 400X) და ჩართულ იქნა პროგრამაში შემდგომი დამუშავებისათვის.




სურათი 3: აღნიშნულია ეპითელურ უჯრედებში AgNOR-ის წერტილების განაწილება;

ყველა ანათალში გამოკვლეული იქნა 100 უჯრედი და დათვლილი იყო AgNOR წერტილების ჯამური რაოდენობა. AgNOR-ის ციფრად განისაზვრა 100 უჯრედის საშუალო წერტილების რაოდენობა (ჯამური რიცხვი გაყოფილი 100ზე მაგ. 100 უჯრედში ნანახი იქნა 350 წერტილი; AgNOR რიცხვად მიჩნეული იქნა $350/100=3.5$)

გამოვლინდა წერტილების გადანაწილების სამი ტიპი:


ტიპი I - აღნიშნებოდა ცალკეულ უჯრედში, ცენტრალურად ლოკალიზებული დიდი ზომის წერტილი; **ტიპი II** - აღნიშნებოდა დიდი ზომის წერტილის მიმდებარედ მცირე ზომის მეორე წერტილი; **ტიპი III** - აღნიშნებოდა ორზე მეტი, უპირატესად მცირე ზომის წერტილები თითოეულ უჯრედში.



სურათი 3: წერტილების განაწილების სამი ტიპი: A.ტიპი I; B. ტიპი II; C. ტიპი III.

პროლიფერაციული აქტივობა AgNOR-ის ტექნოლოგიით არსებულ 35 შეთხვევაში შეფასდა შემდეგ ჰისტოლოგიურ ერთეულში:

- ❖ ბარეტის საყლაპავი ენტერული მეტაპლაზიით;
- ❖ ბარეტის საყლაპავი ფოვოლური მეტაპლაზიით;
- ❖ ბარეტის საყლაპავი ეპითელიუმის დაბალი ხარისხის დისპლაზიით;
- ❖ ბარეტის საყლაპავი ეპითელიუმის მაღალი ხარისხის დისპლაზიით;



დიაგრამა 1: შემთხვევათა პროცენტული განაწილება საკვლევ ჯგუფებში;


მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით: კორელაცია განისაზღვრა Spearman rank test-ის მიხედვით ხოლო შედარებითი ანალიზისთვის ჯგუფებს შორის გამოყენებული იქნა Mann-Whitney და Kruskal-Wallis ტესტი. მგრძობელობა და სპეციფიურობა შეფასდა 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალით. P რიცხვი <0.05 განხილულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ. ყველა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა **SPSS statistical software V20.0**-ის საშუალებით.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მონაცემები, შესაბამის ჯგუფებში:

ენტერული მეტაპლაზიის შემთხვევებში (n=6) AgNOR-ის რიცხვის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 101.8 ხოლო AgNOR მაჩვენებელი გამოვლინდა 1.01.

ფოვოლური მეტაპლაზიის შემთხვევებში (n=6) AgNOR-ის რიცხვის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 104.5 ხოლო AgNOR მაჩვენებელი გამოვლინდა 1.04.



სურათი 4 ბარეტის საყლაპავის დროს მეტაპლაზირებული ლორწოვანის ნიმუშები H&E ტექნოლოგია 200x;


დაბალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევებში (n=7) AgNOR-ის რიცხვის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 179.1 ხოლო AgNOR მაჩვენებელი გამოვლინდა 1.79.

მაღალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევებში (n=8) AgNOR-ის რიცხვის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 224.3 ხოლო AgNOR მაჩვენებელი გამოვლინდა 2.24.

ადენოკარცინომის შემთხვევებში (n=8) AgNOR-ის რიცხვის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 229.12 ხოლო AgNOR მაჩვენებელი გამოვლინდა 2.29.

ცხრილი 1: კვლევის შედეგები AgNOR-ის რიცხვი და AgNOR-ის მაჩვენებელი;


	შემთხვევათა რაოდენობა	AGNOR საშუალო რიცხვი	AGNOR მაქსიმალური რიცხვი	AGNOR მინიმალური რიცხვი	AGNOR საშუალო მაჩვენებელი
ენტერული მეტაპლაზია	6(35)	101,8333333	105	98	1,018333333
ფოვეოლური მეტაპლაზია	6(35)	104,5	108	98	1,045
დაბალი ხარისხის დისპლაზია	7(35)	179,1428571	200	112	1,791428571
მაღალი ხარისხის დისპლაზია	8(35)	224,375	260	190	2,24375
ადენოკარცინომა	8(35)	299,125	320	255	2,99125



სურათი 5: ბარეტის საყლაპავის დროს არსებული ეპითელიუმის მაღალი ხარისხის დისპლაზიის უბანი; ბარეტის საყლაპავის შემდგომ განვითარებული ადენოკარცინომის უბანი; H&E 200X

კვლევის შედეგების ანალიზი


კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ AgNOR-ის რიცხვი მინიმალური აღინიშნებოდა ენტერული მეტაპლაზიის შემთხვევებში და სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა ფოვეოლური მეტაპლაზიისაგან. რაც შეეხება დაბალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევებისა AgNOR-ის რიცხვის საშუალო მაჩვენებელი 1.7ჯერ აღემატება მეტაპლაზიის შემთხვევებს. მაღალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევაში AgNOR-ის მაჩვენებელი 1.25ჯერ მეტია დაბალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევებისა და 1.33ჯერ ნაკლებია ადენოკარცინომის შემთხვევისა.



დიაგრამა 1. AgNOR-ის რიცხვის განაწილება საკვლევ ჯგუფებში;

AgNOR-ის მაჩვენებელი თითქმის ანალოგიურად არის განაწილებული საკვლევ ჯგუფებში. ყველაზე მაღალი დაფიქსირდა ადენოკარცინომის შემთხვევებში 2.99, რაც 1.67 ჯერ მეტია დაბალი ხარისხის დისპლაზიისა და 1.33ჯერ მაღალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევებზე.

AGNOR საშუალო მაჩვენებელი



დიაგრამა 2. AgNOR-ის მაჩვენებლის განაწილება საკვლევ ჯგუფებში;

დასკვნა

AgNOR-ის ტექნოლოგიამ გამოავლინა, რომ პროლიფერაციული აქტივობა მცირედ განსხვავდება დაბალი ხარისხის დისპლაზიის დროს. სარწმუნოდ მაღალია მძიმე დისპლაზიის დროს და მაქსიმალურ პიკს აღწევს ადენოკარცინომის დროს.

AgNOR-ის ტექნოლოგია შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბარეტის საყლაპავის დროს პროლიფერაციული აქტივობის შესაფასებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Siegel, R. L., Miller, K. D. & Jemal, A. Cancer statistics, 2020. *CA Cancer J Clin* **70**, 7–30 (2020).
2. Sung, H. *et al.* Global Cancer Statistics 2020: GLOBOCAN Estimates of Incidence and Mortality Worldwide for 36 Cancers in 185 Countries. *CA Cancer J Clin* **71**, 209–249 (2021).
3. Wani, S. *et al.* Risk factors for progression of low-grade dysplasia in patients with Barrett's esophagus. *Gastroenterology* **141**, (2011).
4. Song, Y. *et al.* Identification of Metastasis-Associated Biomarkers in Synovial Sarcoma Using Bioinformatics Analysis. *Front Genet* **11**, 530892 (2020).
5. Kim, C. W. *et al.* Immunohistochemical expression of the p53 and Ki-67 proteins in Barrett's esophagus in Korea. *Korean J Gastroenterol* **46**, 189–195 (2005).
6. MESHVELIANI, P., DIDAVA, G., TOMADZE, G. & BURKADZE, G. CRITICAL REVIEW: BARRETS OESOPHAGUS – METAPLASIA – DYSPLASIA – MALIGNANT TRANSFORMAYION PHENOTYPICAL CHARACTERISTICS AND PROGRESSION MARKERS. *EXPERIMENTAL AND CLINICAL MEDICINE GEORGIA* (2022) doi:10.52340/JECM.2022.718.
7. Volkweis, B. S. *et al.* Ki-67 Antigen Overexpression Is Associated with the Metaplasia-Adenocarcinoma Sequence in Barrett's Esophagus. *Gastroenterol Res Pract* **2012**, (2012).
8. Szachnowicz, S. *et al.* Origin of adenocarcinoma in Barrett's esophagus: p53 and Ki67 expression and histopathologic background. *Clinics (Sao Paulo)* **60**, 103–112 (2005).
9. Goodarzi, M. *et al.* Anti-phosphorylated histone H3 expression in Barrett's esophagus, low-grade dysplasia, high-grade dysplasia, and adenocarcinoma. *Modern Pathology* **22**, 1612–1621 (2009).

10. Jankowski, J. A. *et al.* Molecular evolution of the metaplasia-dysplasia-adenocarcinoma sequence in the esophagus. *American Journal of Pathology* **154**, 965–973 (1999).
11. Shaheen, N. J. Advances in Barrett's esophagus and esophageal adenocarcinoma. *Gastroenterology* **128**, 1554–1566 (2005).
12. Karamchandani, D. M. *et al.* Increasing diagnostic accuracy to grade dysplasia in Barrett's esophagus using an immunohistochemical panel for CDX2, p120ctn, c-Myc and Jagged1. *Diagn Pathol* **11**, (2016).
13. Metreveli, B., Gagua, D., Burkadze, G. & Kepuladze, S. PROLIFERATIVE CHARACTERISTICS OF EUTOPIC AND ECTOPIC ENDOMETRIUM IN ADENOMYOSIS USING AgNOR TECHNOLOGY. *GEORGIAN SCIENTISTS* **5**, 59–71 (2023).
14. Tavdgiridze, N., Tevdorashvili, G., Kepuladze, S. & Burkadze, G. ASSESSMENT OF PROLIFERATIVE ACTIVITY OF IMMATURE OVARIAN TERATOMAS USING AgNOR TECHNOLOGY. *GEORGIAN SCIENTISTS* **5**, 233–248 (2023).
15. Murgod, S., Channabasaviah, G. H., Shivamurthy, D. M., Ashok, L. & Krishnappa, S. J. Prognostic potential of AgNORs in oral submucous fibrosis. *J Int Soc Prev Community Dent* **6**, 167–75 (2016).
16. Nishie, H., Hirooka, Y. & Kaibara, N. Argyrophilic Nucleolar Organizer Regions of Breast Tumors: Assessment of Aspirated Cytological Materials. *Breast Cancer* **3**, 189–204 (1996).
17. Chiu, K. Y., Loke, S. L. & Wong, K. K. Improved silver technique for showing nucleolar organiser regions in paraffin wax sections. *J Clin Pathol* **42**, 992–994 (1989).

Evaluation of proliferative activity of pre-tumor and tumor processes of Barrett's esophagus using AGNOR technology

P. Meshveliani, G. Didava, G. Tomadze, Sh. Kepuladze G. Burkadze

Tbilisi State Medical University

Abstract

Esophageal carcinoma is the eighth most common malignancy and the sixth leading cause of cancer-related death worldwide. Adenocarcinomas account for the majority of esophageal carcinomas in the US. The incidence of esophageal squamous cell carcinomas is decreasing every year, while the number of adenocarcinomas has not changed over the last three to four decades. It has been established that there is a strong correlation between proliferative activity and a poor tumor prognosis, so the interest in clinical trials of proliferative potential on various markers is still relevant and increasing every year. Within the framework of our research, a cohort retrograde study was carried out, for which the archival material of the teaching-scientific and diagnostic laboratory of Tbilisi State Medical University for the years 2019-2022 was used. Proliferative activity was determined by AgNOR technology in 35 cases evaluated in the following histological entity: Barrett's esophagus with enteric metaplasia; Barrett's esophagus with foveolar metaplasia; Barrett's esophagus with low-grade dysplasia of the epithelium; Barrett's esophagus with high-grade dysplasia of the epithelium; Based on the results of our study, AgNOR technology can be used to evaluate proliferative activity in Barrett's esophagus.

Keywords: Barrett's esophagus; AgNOR; dysplasia; metaplasia;

ალფა ნაწილაკებით დასხივების გავლენა p-SiGe შენადნობების ფუძემშრების დინამიურ მექანიკურ თვისებებზე

ია ყურაშვილი, კახაბერ შამათავა, ეკატერინე სანაია, გიორგი ჩუბინიძე,

გიორგი დარსაველიძე

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

შესწავლილია ალფა ნაწილაკებით დასხივების გავლენა p-SiGe შენადნობების (111) ორიენტაციის ფუძემშრების ელექტროფიზიკურ და დინამიურ მექანიკურ მახასიათებლებზე. ექსპერიმენტული გაზომვებით ნაჩვენებია ელექტრული წინააღმდეგობისა და დენის მატარებელი ხვრელების კონცენტრაციის ცვლილებათა მეტად გამოვლინება გერმანიუმის მაღალი კონცენტრაციული შემცველობის p-Si+2%Ge:B ფუძემშრებში. ალფა ნაწილაკებით დასხივებულ საცდელ ნიმუშებში ფიქსირებულია გრეხითი რხევების კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციისა და დრეკადობის ზღვრის სიდიდეების 1,5-1,8-ჯერ ამაღლება და ძვრის დინამიური მოდულის აბსოლუტური მნიშვნელობის 15%-ით გაზრდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ალფა ნაწილაკების დასხივებით ინდუცირებული რადიაციული წერტილოვანი დეფექტები p-SiGe შენადნობების კრისტალურ მესერში ქმნიან დისლოკაციების მოძრაობის დამამუხრუჭებელ დამატებით ცენტრებს და იწვევენ რადიაციული წარმოშობის დინამიურ მექანიკურ განმტკიცებას. განმტკიცების ეფექტი უფრო მეტად არის გამოვლენილი p-Si+2%Ge:B შენადნობის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: სილიციუმი, გერმანიუმი, ალფა ნაწილაკი, ძვრის მოდული, დრეკადობის ზღვარი, დინამიური განმტკიცება

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში სილიციუმზე დაფუძნებული ნახევარგამტარული მასალები, კერძოდ, სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობების მოცულობითი კრისტალები წარმოადგენენ ფართო კვლევის ობიექტს. პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა პირობებში ისინი ამჟღავნებენ საუცხოო მექანიკურ, ელექტროფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს. იზოვალენტური გერმანიუმით ლეგირება აუმჯობესებს სილიციუმის ფუძემშრეების მექანიკურ სიმტკიცეს. შესაბამისად იზრდება წარმოების გამოსავლიანობა, სელსაწყობის ეფექტურობა, მათ ფუძეზე შექმნილი დიდი ინტეგრალური სქემების, მიკროელექტრომექანიკური და ნანოელექტრომექანიკური სისტემების ოპერაციული საიმედოობა [1]. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს მუდმივი ინტერესი სილიციუმისა და სილიციუმის საფუძველზე არსებული მასალების სტრუქტურული, მექანიკური და ფიზიკური თვისებების კომპლექსური კვლევის პრობლემისადმი.

ამჟამად ცხადად არის წარმოჩენილი თანამედროვე მიკროელექტრონიკის ტექნოლოგიებში გერმანიუმითა და ბორით ერთობლივად დოპირებული სილიციუმის ფართოდ გამოყენების პერსპექტივები [2]. 10^{16} - 10^{18} cm^{-3} კონცენტრაციის გერმანიუმით დოპირება იწვევს მონოკრისტალურ Si:B კრისტალურ მესერში ძაბვების კომპენსაციას და ამცირებს ახალი დისლოკაციების გენერაციის შესაძლებლობებს [3]. ექსპერიმენტულად დადგენილია [4], რომ $(4-9)10^{19}$ cm^{-3} კონცენტრაციის გერმანიუმით აუმჯობესებს SiGe შენადნობების მექანიკურ თვისებებს. რადიაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი Si და SiGe შენადნობების ფუძეზე შექმნილი ნახევარგამტარული მასალების მექანიკური თვისებებისადმი. მიუხედავად აღნიშნული ვითარებისა დღეისათვის პრაქტიკულად შეუსწავლელია SiGe შენადნობების კრისტალების მექანიკური თვისებების მოდიფიცირების შესაძლებლობები სხვადასხვა წარმოშობის რადიაციული ზემოქმედების პირობებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ალფა ნაწილაკებით დასხივებული მონოკრისტალური p-Si+0,25ატ.%Ge:B და p-Si+2ატ.%Ge:B შენადნობების ფუძემშრეების ელექტროფიზიკური და მექანიკური თვისებების ცვლილებათა კანონზომიერებების შესწავლა.

(111) კრისტალოგრაფიული ორიენტაციის მონოკრისტალური p-Si+0,25ატ.%Ge:B და p-Si+2ატ.%Ge:B ფუძემშრეები დასხივდა $5 \cdot 10^{12} \text{cm}^{-2}$ ფლუენსის ალფა ნაწილაკებით. ასეთი ფლუენსით ალფა ნაწილაკებით დასხივება SiGe კრისტალურ მესერში წარმოქმნის სხვადასხვა ტიპის წერტილოვან რადიაციულ დეფექტებს (C_i , O_i , S_i , C_iO_i , C_iC_s და ა.შ). ცნობილია [5], რომ აღნიშნული წერტილოვანი რადიაციული დეფექტები თერმულად მდგრადია ოთახის ტემპერატურის პირობებში [5] და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ელექტროფიზიკურ მახასიათებლებზე Si-ის ფუძეზე არსებულ ნახევარგამტარულ მასალებში.

ელექტროფიზიკური მახასიათებლების (კუთრი ელექტროწინაღობა, დენის მატარებლების კონცენტრაცია, ძვრადობა) მნიშვნელობები განსაზღვრულია ვან დერ პაუს მეთოდით ოთახის ტემპერატურის პირობებში Ecopia HMS-3000 სისტემის დანადგარზე. მეტალოგრაფიული კვლევები განხორციელდა ოპტიკურ მიკროსკოპზე NMM-80RF/TRT.

გრებიითი რხევების სიხშირის 0,5-5,0 ჰც დიაპაზონში ენერჯის მილევის ლოგარითმული დეკრემენტის განსაზღვრით სრულდებოდა შინაგანი ხახუნის ფონის შეფასება ამპლიტუდური დეფორმაციის 10^{-5} - $5 \cdot 10^{-3}$ ინტერვალში.

ძვრის მოდულის აბსოლუტური სიდიდე განისაზღვრა ეტალონთან შედარების მეთოდით:

$$G = G_0 \cdot \frac{f^2}{f_0^2}$$

სადაც G_0 და f_0 წარმოადგენს ეტალონური ნიმუშის (ვანადიუმი) ძვრის მოდულისა და გრეხითი რხევების სიხშირეს, ხოლო G და f არიან საცდელი ნიმუშების ძვრის მოდულისა და გრეხითი რხევების სიხშირის მნიშვნელობები.

დრეკადობის ზღვარი შეფასებულია ცნობილი დამოკიდებულების საფუძველზე:

$$\sigma = \varepsilon \cdot G$$

სადაც ε - ფარდობითი გრეხითი დეფორმაცია, G -ძვრის მოდული, ხოლო σ არის დრეკადობის ზღვარი.

გაზომვები შესრულდა ლაბორატორიულ მექანიკურ რელაქსატორზე 10^{-4} ტორი ვაკუუმში ოთახის ტემპერატურაზე.

ელექტროფიზიკური მახასიათებლების შესამჩნევი ცვლილებები გამოვლინდა ორივე ნიმუშში ალფა ნაწილაკებით დასხივებულ მდგომარეობაში (ცხრილი 1).

გერმანიუმით ლეგირება გავლენას ახდენს რადიაციული დეფექტების წარმოქმნის პირობებსა და თერმულ მდგრადობაზე, კერძოდ, SiGe შენადნობებში ინტენსიურად წარმოებს O_i და C_s მინარევების შემცველი კომპლექსების დისოციაცია-გარდაქმნის პროცესები. ცხრ.1-დან ჩანს, რომ გერმანიუმის მეტი შემცველობის p-SiGe შენადნობში უფრო გამოკვეთილად ვლინდება რადიაციული დეფექტების სტრუქტურაში გარდაქმნებით გამოწვეული ელექტრული მახასიათებლების ცვლილებები.

ალფა ნაწილაკებით დასხივებულ ნიმუშებში იწვინება დიაპაზონის შთანთქმის სპექტრში გამოვლენილია კრისტალური მესრის სითბური რხევებითა და V , O_i , O_s , C_i , C_s და Si_i ცენტრებთან დაკავშირებული მაქსიმუმების ერთობლიობა.

რადიაციულ დეფექტებს განეკუთვნებიან მაქსიმუმები 830 სმ^{-1} (ელექტრულად ნეიტრალური A-ცენტრი, VO^0), 885 სმ^{-1} (VO^-), 546 სმ^{-1} (C_iC_s , ჩანერგილი (C_i) და ჩანაცვლებული (C_s) ნახშირბადის ატომების წყვილი), $860-862 \text{ სმ}^{-1}$ (C_iO_i , ჩანერგილი C_i და O_i ატომების წყვილები), 936 სმ^{-1} ($C_iO_i(Si_i)$, ჩანერგილ Si_i -სთან ურთიერთმოქმედი C_iO_i წყვილი). ეს რადიაციული დეფექტი ხშირად ვლინდება სატელიტთან ერთობლივად 1020 სმ^{-1} ტალღური ვექტორის ზოლში.

ცალკეული მაქსიმუმების ოპტიკური შთანთქმის ფარდობითი უნარიანობისა და კალიბრების სათანადო კოეფიციენტების გამოყენებით შეფასებული იქნა O_i და C_s მინარევების კონცენტრაციები. შედარებითი ანალიზით დგინდება, რომ $5 \cdot 10^{12} \text{ სმ}^{-2}$ ფლუენსის ალფა ნაწილაკებით დასხივება შესამჩნევად ამცირებს ჩანერგვის პოზიციებში არსებული ჟანგბადის ატომების კონცენტრაციას. შედარებით სუსტად მცირდება ჩანაცვლების პოზიციებში განთავსებული ნახშირბადის ატომების კონცენტრაცია (ცხრილი 1).

ცხრილი 1. p-SiGe ფუძემრეების ელექტროფიზიკური მახასიათებლები

ნიმუშები	ნიმუშების მდგომარეობა	კუთრი ელექტრო წინაღობა, ომი.სმ	ხველების კონცენტრაცია, მსმ ³	ხველების ძვრადობა, სმ ² ·ვ ⁻¹ ·წმ ⁻¹	ჟანგბადის (O _i) კონცენტრაცია, სმ ⁻³	ნახშირბადის (C _s) კონცენტრაცია, სმ ⁻³
p-Si+0,25%Ge:B	საწყისი	9	2·10 ¹⁵	345	2·10 ¹⁸	6·10 ¹⁶
	ალფა ნაწილაკებით დასხივებული	19	8·10 ¹⁴	365	8·10 ¹⁷	4·10 ¹⁶
p-Si+2%Ge:B	საწყისი	7	4·10 ¹⁵	230	1·10 ¹⁸	5·10 ¹⁶
	ალფა ნაწილაკებით დასხივებული	17,5	1·10 ¹⁵	360	7·10 ¹⁷	3·10 ¹⁶

რადიაციული დეფექტების ჩასახვისა და მოძრაობის აქტივაციური მახასიათებლების განსაზღვრისათვის ექსპერიმენტულად შესწავლილია p-SiGe შენადნობების ფუძემრეების ძვრის მოდულისა და გრებიითი რხევების შთანთქმის ინტენსივობის ცვლილებათა კანონზომიერებანი. შედარებისათვის განისაზღვრა ასევე დაუსხივებელ მდგომარეობაში ნიმუშების მექანიკური მახასიათებლები.

მეტალოგრაფიული კვლევების თანახმად საცდელ ნიმუშებში დისლოკაციების სიმკვრივე 10³-10⁴ სმ⁻² შუალედში იცვლება. ასეთ შემთხვევებში დისლოკაციების ბირთვებს შორის მანძილების საშუალო სიდიდე 5-10 მკმ-ს შეადგენს, რაც მეტად ამცირებს მათი ურთიერთქმედებისა და ურთიერთბლოკირების წვლილს მექანიკური მახასიათებლების ცვლილებებში. ასეთი სიმკვრივის დისლოკაციების წვლილი შესაძლებელია გამოვლინდეს თერმული, დეფორმაციული და რადიაციული წარმოშობის დეფექტებთან ინტენსიური ურთიერთქმედებით, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვლება წერტილოვანი დეფექტების დიფუზიის სიჩქარეები და შეიქმნება მასალის განმტკიცების რეალური შესაძლებლობები. მართლაც 5·10¹²სმ⁻² ფლუენსის ალფა ნაწილაკებით დასხივებულ ნიმუშებში შემჩნეულია დინამიური მექანიკური მახასიათებლების განსხვავებული სიდიდეები. ცხრ.2-ში წარმოდგენილია საწყისი და ალფა ნაწილაკებით დასხივებული საცდელი ნიმუშების დინამიური მექანიკური მახასიათებლები.


ცხრილი 2: საწყისი და ალფა ნაწილაკებით დასხივებული p-SiGe ფუძემდებლების დინამიური - მექანიკური მახასიათებლები

ექსპერიმენტული ნიმუშები	ნიმუშების მდგომარეობა	დისლოკაციების სიმკვრივე, სმ^{-2}	ძვრის მოდული, კგ/მმ^2	ამპლიტუდური დეფორმაცია, $\times 10^5$	დრეკადობის ზღვარი, კგ/მმ^2
p-Si+0,25%Ge:B	საწყისი	$5 \cdot 10^3$	4750	20	0.95
	α -ნაწილაკებით დასხივებული	$5 \cdot 10^3$	4830	35	1.70
p-Si+2%Ge:B	საწყისი	$1 \cdot 10^4$	4600	15	0.61
	α -ნაწილაკებით დასხივებული	$3 \cdot 10^4$	4720	25	1.20

მეორე ნიმუშში საწყის მდგომარეობაში რეგისტრირებულია მექანიკური მახასიათებლების შემცირება, რაც განპირობებულია გერმანიუმის მაღალი კონცენტრაციით. Ge იწვევს მესრის პარამეტრის ზრდას და, შესაბამისად, კოვალენტური ატომთაშორისი კავშირების შესუსტებას. თავის მხრივ ეს განპირობებულია სილიციუმის კრისტალურ მესერში ჩანაცვლების პოზიციაში დიდი ატომური რადიუსის მქონე ($\sim 1,22 \text{ \AA}$) გერმანიუმის განთავსებითა და მესრის ლოკალური შეკუმშვის დეფორმაციული ველის ფორმირებით.


ალფა ნაწილაკებით დასხივებულ მდგომარეობაში ორივე შენადნობის დინამიური მექანიკური მახასიათებლები საგრძნობლად იზრდება. ეს უფრო ნათლად ჩანს მეორე შენადნობის მექანიკური მახასიათებლების ცვლილებებში. ცნობილი მოსაზრებების თანახმად, გერმანიუმის ატომები აფერხებენ ჟანგბადის კომპლექსებისა და მიკროფაზების ფორმირებას, რითაც სტიმულირდება ჟანგბადის ატომების დიფუზია დისლოკაციების ბირთვების მიმართულებით. ასეთ პირობებში ერთდროულად მიმდინარეობს მათი ერთი ნაწილის განთავსება უშუალოდ დისლოკაციების ბირთვებში და მეორე ნაწილის თავმოყრა დისლოკაციების ირგვლივ არსებულ კოტრელის ატმოსფეროში. ორივე ფაქტორი განაპირობებს დისლოკაციების ძვრადობის შეზღუდვას. ასეთ პირობებში ხორციელდება სილიციუმის სტრუქტურის დინამიური მექანიკური განმტკიცება.

ექსპერიმენტულად გამოვლენილი შედეგებით მაღალი მექანიკური განმტკიცება ($\sim 1,5-1,8$ -ჯერ) გამოწვეულია დისლოკაციების ძლიერი დეკორირებით O და C მინარევებითა და რადიაციული დეფექტების კომპლექსებით, რომლებიც შეიცავენ ჩანერგვის პოზიციაში რადიაციით გადასროლილ O_i და C_i ატომებს.



ნახ. 1. საწყისი SiGe ფუძემდებლის ძვრის მოდულისა (1,2) და შინაგანი ხახუნის (1',2') ამპლიტუდური დამოკიდებულება 1,1'- p-Si+0,25%Ge:B; 2,2'- p-Si+2%Ge:B

საცდელი ნიმუშების სტრუქტურაში არსებული დისლოკაციები, არათანაბრად განაწილებული თერმული წარმოშობის ძაბვები და წერტილოვანი დეფექტები წარმოადგენენ არადრეკადობის გამოვლინების მიზეზებს დრეკადი დეფორმაციის პირობებში. მართლაც ოთახის ტემპერატურაზე ძვრის დინამიური მოდულისა და გრეხითი რხევების სიხშირის 0,5-5,0 ჰც დიაპაზონის შინაგანი ხახუნის ამპლიტუდური დამოკიდებულებები ავლენენ კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციის ფიქსირებულ მნიშვნელობებს, რომლებზედაც მექანიკური მახასიათებლები მკვეთრად იცვლებიან. ნახ. 1-ის თანახმად დაუსხივებელი ნიმუშები ამპლიტუდური დეფორმაციის დაბალ დიაპაზონში ინარჩუნებენ ძვრის მოდულისა და შინაგანი ხახუნის მუდმივ მნიშვნელობებს. კრიტიკულ ამპლიტუდურ დეფორმაციებზე იწყება მათი წრფივი ცვლილება, კერძოდ, წრფივად მცირდება ძვრის მოდული, ხოლო შინაგანი ხახუნის ფონი განიცდის წრფივად ამაღლებას. გერმანიუმის მაღალი შემცველობის ნიმუშისათვის შემცირებულია კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციისა და ძვრის დინამიური მოდულის სიდიდეები. ეს გარემოება განპირობებულია გერმანიუმის წვლილით ატომთაშორისი კავშირის ძალების შესუსტებაში. კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციის ერთადერთი მნიშვნელობის არსებობა მიუთითებს, რომ დაუსხივებელი ნიმუშების კრისტალურ მესერში არსებობს ერთი ტიპის წერტილოვანი დეფექტების სიმრავლე, რომელიც ურთიერთქმედებს დისლოკაციურ სტრუქტურასთან.



ნახ. 2. ალფა ნაწილაკებით დასხივებული SiGe ფუძეშრეების ძვრის მოდულისა (1,2) შინაგანი ხახუნის (1',2') ამპლიტუდური დამოკიდებულება 1,1'- p-Si+0,25%Ge:B; 2,2'- p-Si+2%Ge:B

ალფა ნაწილაკებით დასხივებული ნიმუშების კრისტალურ მესერში მოსალოდნელია სხვადასხვა შედგენილობისა და კონფიგურაციის რადიაციული დეფექტების ფორმირება, რომლებიც ქმნიან განსხვავებული დონის ენერგეტიკულ ბარიერებს დისლოკაციებისათვის. რადიაციული დეფექტები მნიშვნელოვნად ცვლიან კრისტალიზაციის პროცესში შექმნილი თერმული დეფექტების კონცენტრაციას, მათ სივრცულ განაწილებასა და შედგენილობას, რაზედაც არსებითად დამოკიდებულია დისლოკაციური სტრუქტურის ძვრადობა. SiGe შენადნობების ორივე ნიმუში ალფა ნაწილაკებით დასხივებულ მდგომარეობაში ხასიათდება მექანიკური მახასიათებლების კანონზომიერების მრავალჯერადი ცვლილებებით ამპლიტუდური დეფორმაციის ფართო დიაპაზონში (ნახ.2). ორივე ნიმუში ხასიათდება ძვრის მოდულისა და შინაგანი ხახუნის ფომის პრაქტიკულად ერთნაირი ცვლილებებით. განმასხვავებელ ნიშნად წარმოჩენილია კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციის ამაღლებული მნიშვნელობები გერმანიუმის მცირე შემცველობის SiGe შენადნობისათვის. ზემოთ აღნიშნული ხასიათის დისლოკაციური სტრუქტურის ძვრადობის ცვლილებები შესაძლებელია დაკავშირდეს მინარევებისაგან თავისუფალ დისლოკაციებთან, რომლებიც წარმოიქმნებიან მონოკრისტალური SiGe ფუძეშრეების დამზადების პროცესში. მათი ძვრადობისა და, მაშასადამე, დინამიური მექანიკური თვისებების მართვა, როგორც შესრულებლუმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, შესაძლებელია გერმანიუმისა და რადიაციული დეფექტების შემცველობის ცვლილებით.

ლიტერატურა:

1. D.Y.Oliver, D.B.Lawn, R.F. Cook, M.G. Reitsma, I.E. Bradby, I.S. Williams, P.Munroe. J.Mater. Res. Vol. 23, #2 (2008), 297-301
2. I.Yonenaga, J.Materials, Science: Materials in Electronics, 10 (1999), 329-333.
3. D.Yang, X.Yu, X.Ma, Y.Xu, L. Li and D.Que. J. Cryst. Growth, 243 (2002) 371-376
4. J.Chen, D.Yang. X.Ma, Z.Zeng, D.Tian. L.Li, D. Que, L.Gong. J.Appl. Phys., 103, (2008), 123521-1-123521-6
5. C.A.Londos, A. Andrianakis, E.N. Sgorou, V.Emtsev, and H.Ohyama. J. Applied Phys, 107 (2010)093520-1- 093520-7.

Influence of alpha particle irradiation on dynamic mechanical properties of p-SiGe substrates

Ia Kurashvili, Kakhaber Shamatava, Ekaterine Sanaia, Giorgi Chubinidze,
Giorgi Darsavelidze

Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology, Tbilisi, Georgia

Abstract. Influence of alpha particle irradiation on electrophysical and dynamic mechanical properties of p-SiGe substrates with (111) orientation has been studied. Experimental results show, that changes in electrical resistance and concentration of current-carriers holes are more revealed in p-Si+2%Ge:B substrates with high Ge content. In the alpha-irradiated test samples increase of the values of torsional oscillations strain amplitude and elastic limit by 1.5-1.8 times and 15 % increase of absolute value of shear modulus are observed.

It is supposed, that the radiation point defects induced by alpha particle irradiation in the p-SiGe crystalline lattice form additional braking centers for dislocation motion and cause the radiation origin dynamic mechanical strengthening. The strengthening effect is more revealed in p-Si+2%Ge:B alloy.

Keywords: *silicon, germanium, alpha particle, shear modulus, elastic limit, dynamic strengthening*

გარემოს მავნე ფაქტორთა გავლენა მხედველობის სისტემაზე

გიგი გორგაძე¹, მარინა გიორგობიანი², თინათინ ჯიქურაშვილი³, მზია ფირცხალაიშვილი³

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის
დეპარტამენტი

³ჩიჩუბის სამედიცინო ცენტრი „მზერა“

რეზიუმე

კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედება ჯანმრთელობაზე მრავალ პათოლოგიას მოიცავს. მხედველობის სისტემაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების მრავალი გზა არსებობს, მათ შორის, ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება რქოვანაზე, ბროლზე, ბადურაზე და კატარაქტის, გლაუკომის, უვეალური მელანომის, ფოტოკერატიტისა და სხვათა განვითარება. კატარაქტის განვითარებას, ასევე, ინფრარწითელი გამოსხივება იწვევს. აღნიშნული ორივე ტიპის გამოსხივების შემთხვევაში პათოგენეზურ მექანიზმად ოქსიდაციური სტრესის განვითარება, ან მისგან დამცავი მექანიზმის მოშლა მოიაზრება. მხედველობის სისტემაზე, ასევე, გავლენას ახდენს მტვერი, ჰაერის დაბინძურება, აქტიური და პასიური მწვეველობა, კლიმატის სხვადასხვა პარამეტრის (მათ შორის, ნალექიანობის, ტემპერატურის, ტენიანობის, ალბედოს) ცვლილება.

პრობლემათაგან თავის ასარიდებლად აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ მხედველობის სისტემის ჰიგიენას, რაც შესაბამისი დამცავი საშუალებების გამოყენებას, დაბინძურებული თვალების დროულ გაწმენდას, მშრალი თვალის სინდრომის მოვლას, კონტაქტური ლინზების სწორ გამოყენებასა და სხვ. გულისხმობს.

ნახშირბადის გარემოში გამოყოფა გრძელვადიან უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ძირითადად ტემპერატურის მატებისა და უკანასკნელის მიერ გამოწვეული პრობლემების გამო. ერთჯერადი გამოყენების სამედიცინო ინსტრუმენტები და აღჭურვილობა ხელს უწყობს კლინიკური და არაკლინიკური ნარჩენების მასობრივ წარმოქმნასა და ნახშირბადის დიდი რაოდენობით გამოყოფას. ოფთალმოქირურგიული მანიპულაციები (მათ შორის, კატარაქტის ოპერაციები) მსოფლიოში ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლით ხასიათდება. ეს კატარაქტის ოპერაციებს ნახშირბადის გამოყოფის შემცირების ამკარა სამიზნე რგოლად აქცევს. აღნიშნულთა გამო, მნიშვნელოვანია,

პრაქტიკაში დავნერგოთ თანამედროვე მედიცინაში მოწოდებული „The 5 R“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს შემცირებას, ხელახალ გამოყენებას, გადამუშავებას, გადახედვასა და კვლევას (Reduce, Reuse, Recycle, Rethink and Research).

მნიშვნელოვანია ყოველივე აღნიშნულის გააზრება და ყოველდღიურ ცხოვრებაში გათვალისწინება როგორც რიგითი ინდივიდების, ისე ოფთალმოლოგებისა და ჯანდაცვის მენეჯერების მიერ.

საკვანძო სიტყვები: მხედველობის სისტემა, ოფთალმოლოგია, გარემო ფაქტორები, დაბინძურება, ეკოლოგია, ჰიგიენა, კლიმატი.

შესავალი

კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედება ჯანმრთელობაზე მოიცავს ინფექციურ დაავადებების, გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორულ დაავადებების, ქარბზონიანობის, დიაბეტისა და სხვათა განვითარებათა ხელშეწყობას. ბუნებრივია, გარემო ფაქტორებს გავლენა აქვს ორგანიზმის ისეთ ნაზ და მგრძობიარე სტრუქტურებზეც, რომელთაც მხედველობის სისტემა აერთიანებს. [2][29]

ფაქტია, რომ თანამედროვე სამყაროში მეტად მნიშვნელოვანია გარემო ფაქტორების, მათი ცვლილებისა და გავლენის შესწავლა - „დღეს დაბადებული ყველა ბავშვის ცხოვრებაზე კლიმატის ცვლილება დიდ გავლენას მოახდენს. სასწრაფო ჩარევის გარეშე, დადგება ეს ახალი ერა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანების ჯანმრთელობას მათი ცხოვრების ყველა ეტაპზე“ [28] და შესაბამისად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე სხვადასხვა საპრევენციო თუ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება და გზამკვლელების შექმნა რისკის ჯგუფში შემავალი ინდივიდებისა თუ მთლიანი პოპულაციისათვის.

ჰაერის და კლიმატის ცვლილების გავლენა მხედველობის სისტემაზე

მხედველობის სისტემაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია მზის გამოსხივების პირდაპირი ზემოქმედება, და ასევე ჰაერში ქიმიკატების, ოზონის, აზოტის დიოქსიდისა (NO₂) და სხვა ნივთიერებების არსებობა, რომელთაც ყოველდღიურად ვსუნთქავთ.

ულტრაიისფერი სხივები

ულტრაიისფერი (UV) სინათლე არის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომლის ტალღის სიგრძე უფრო მოკლეა, ვიდრე ხილული სინათლისა, მაგრამ უფრო გრძელი, ვიდრე რენტგენის ტალღები (400-დან 100 ნმ-მდე დიაპაზონში). [16] მისი ძირითადი წყაროა მზის ბუნებრივი შუქი და ზოგიერთი ხელოვნური წყარო, როგორცაა შედუღების აპარატის ფლუორესცენციული ნათურები და ულტრაიისფერი ნათურები, რომლებიც ქირურგიულ საოპერაციოებში გამოიყენება სტერილიზაციისთვის. [24]

მზის ულტრაიისფერი შუქის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს თვალის სტრუქტურების დაზიანება, ყველაზე ხშირად - რქოვანას, ბროლის ან ბადურის.

რქოვანას ულტრაიისფერი დასხივებით გამოწვეულ დაზიანებებს ეწოდება ფოტოკერატიტი, რომელიც ხასიათდება რქოვანას ეპითელიუმის აშრევებით. რქოვანას ეპითელიუმიც და ენდოთელიუმიც (რომელიც ნაკლებად ექვემდებარება რეგენერაციას) დაუცველია ულტრაიისფერი გამოსხივების მიმართ. აღნიშნული გამოსხივების ხანგრძლივი და ძლიერი ზემოქმედება უზრუნველყოფს სხივების უფრო ღრმად შეღწევას რქოვანას ეპითელიუმში და იწვევს დამცავი ანტიოქსიდანტური მექანიზმის დაზიანებას, რაც საფუძველია საკუთრივ რქოვანასა და თვალის სხვა სტრუქტურების დაზიანების. [21]

გამოსხივება, რომელიც ხვდება **ბროლს**, პირველ ყოვლისა, იფილტრება ბროლის კაფსულის მიერ - წინა კაფსულა გამოსხივების მხოლოდ 60%-ს ატარებს. ბროლის მატრიქსში მოხვედრილი გამოსხივება იწვევს აპოპტოზს ბროლის ეპითელიური და შემდეგ კორტიკალური უჯრედებისა, რომლებიც ნორმაში ბროლის გამჭირვალობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ბროლი კარგავს გამჭირვალობას და იმღვრევა - ვითარდება კატარაქტა. [20]

რიგი ავტორების მოსაზრებით, ულტრაიისფერი გამოსხივება, ასევე, კავშირშია უვალური მელანომისა და გლაუკომის განვითარებასთან. მექანიზმად ამ შემთხვევაშიც ოქსიდაციური სტრესი მოიაზრება. [7]

მიუხედავად იმისა, რომ ულტრაიისფერი გამოსხივების რაოდენობა, რომელიც ზრდასრულ თვალში **ბადურამდე** აღწევს, მეტად დაბალია (340ნმ-მდე სიგრძის ულტრაიისფერი ტალღების 1% და 340-360ნმ სიგრძის ტალღების 2%), იგი საკმარისია ბადურის გარეთა მარცვლოვანი შრის დეგენერაციისათვის. ამასთანავე, მოკლეტალღოვანი სხივები ყველაზე დამაზიანებელია, რამდენადაც იგი ბადურაზე რეაქტულ ქანგბადს წარმოქმნის. [23]

აღნიშნული გამოსხივების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა ბადურის უკანა პოლუსზე განლაგებული ფოტორეცეპტორები და ბადურის პიგმენტირებული ეპითელიუმი. უკანასკნელი განსაკუთრებით მგრძობიარეა ოქსიდაციური სტრესის მიმართ. [27]

სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებით, ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბადურის ტრაქცია, ჩამოცლა, ცენტრალური სეროზული ქოროიდოპათია და სხვა. [8]

ინფრაწითელი გამოსხივება

თვალის ყველაზე გავრცელებული დაავადება, რომელიც დაკავშირებულია ახლო ინფრაწითელ გამოსხივებასთან, არის კატარაქტა. ინფრაწითელი ტალღების მოკლეტალღოვანი ნაწილის ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს ბროლის თანდათანობით, მაგრამ შეუქცევად შემღვრევას. აღნიშნული ტალღების ზემოქმედებით თვალის დაზიანების სხვა ფორმები მოიცავს სკოტომას, რომელიც გულისხმობს მხედველობის ველის გარკვეული ნაწილის გამოვარდნას ბადურის დაზიანების გამო. ინფრაწითელი სხივების მცირე

რაოდენობით აბსორბციამაც კი შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სიმპტომები, როგორცაა თვალის სიწითლე, შეშუპება ან სისხლდენა. [6]

მტვერი და სხვა ნაწილაკები


ჰაერში შეწონილმა ნაწილაკებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს რქოვანაზე და გამოიწვიოს თვალის ქავილი და მხედველობის ბუნდოვნება. თვალის ტკივილი შეიძლება მიუთითებდეს რქოვანას ნაკაწრზე ან მექანიკურად თვალის სხვა დაზიანებაზე [9].

ჰაერის დაბინძურება

ჰაერის დაბინძურება მოიცავს გაზის ფაზის დამაბინძურებლებისა და მავნე ნაწილაკების კომპლექსურ ნარევს, რომლებიც ატმოსფეროში გამოიყოფა ბუნებრივად ან ადამიანის საქმიანობის შედეგად. [12] ატმოსფეროში ბევრი დამაბინძურებელია, როგორცაა გოგირდის დიოქსიდი (SO₂), აზოტის დიოქსიდი (NO₂), ნახშირორჟანგი (CO₂), აზოტის მონოქსიდი (NO), ნახშირბადის მონოქსიდი (CO), აზოტის ოქსიდები (NO_x) და PM_{2.5} (2.5მკმ და ნაკლები) და PM₁₀ (10მკმ და ნაკლები) საწვავის ან სამრეწველო ნაშვვი.

გარდა საგზაო მოძრაობისა და სამრეწველო საქმიანობისა, სხვადასხვა საოჯახო ნივთები და სამშენებლო მასალა, ასევე წარმოქმნის CO_x-ს, NO_x-ს და აქროლად ორგანულ ნაერთებს (VOCs). მაგალითად, ფორმალდეჰიდი, რომელიც შედის მდფ-ს, დვპ-ს, დსპ-სა და სხვა დაპრესილი ხის შემცველი მასალის შემადგენლობაში, შეუძლია გამოიწვიოს დნმ-ის დაზიანება ცხოველურ უჯრედებში და მისი კანცეროგენობა დადასტურებულია მრავალი კვლევით ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში. [26]

ჰაერის დაბინძურება იწვევს ჯანმრთელობის ბევრ პრობლემას და დაავადებას, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, სასუნთქი გზების პრობლემები, თვალის დაავადებები, ნევროლოგიური დაავადებები, კიბო და სხვა. [25]



სქემა 1. ჰაერის გარე და შიდა დამაბინძურებლების კავშირი თვალის დაავადებებთან.

Lin CC, Chiu CC, Lee PY, Chen KJ, He CX, Hsu SK, Cheng KC. The Adverse Effects of Air Pollution on the Eye: A Review. *Int J Environ Res Public Health*. 2022 Jan 21;19(3):1186. doi: 10.3390/ijerph19031186. PMID: 35162209; PMCID: PMC8834466. - ის მიხედვით

რქოვანა ადამიანის ორგანიზმის ყველაზე მგრძობიარე სტრუქტურაა თვალის ზედაპირის უხვი ინერვაციის გამო და ამდენად, იგი უკიდურესად მგრძობიარეა გარემო აგენტების ზემოქმედების მიმართ. [1]

ჰაერის ისეთი დამაბინძურებლების მავნე ზემოქმედება, როგორცაა CO, NOx, PM და O3, უმეტესად მოიცავს თვალის გაღიზიანებას და შედეგად მისი ზედაპირის ანთებას - კონიუნქტივიტს. როგორც კვლევებმა დაადგინა, ადამიანები, რომლებიც მოგზაურობდნენ ძალიან დაბინძურებულ ადგილებში, სადაც ჰაერში შეწონილი ნაწილაკების დონე ხუთჯერ აღემატებოდა WHO-ს საშუალო წლიურ ზღვარს (60 მკგ/მ3), განიცდიდნენ თვალის ზედაპირის ისეთ სუბკლინიკურ ცვლილებებს, როგორებიცაა თვალის სიწითლე, წვა, სიმშრალე და გაღიზიანება, ცრემლდენა, მხედველობის დაბინდვა, ფოტოფობია და თვალის დამაბულობა.[25] გარდა ამისა, კვლევებით ნაჩვენებია, რომ ჰაერში შეწონილი PM2.5 ნაწილაკები კავშირშია ალერგიული კონიუნქტივის, გლაუკომისა და ასაკობრივი მაკულარული დეგენერაციის განვითარებასთან. [3][4][18]

აქტიური და პასიური მწვევლობა

თამბაქოს მოწევა დაკავშირებულია მხედველობის დაქვეითებასთან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სამეცნიერო კვლევები მე-19 საუკუნის საქართველოშიც კი მიმდინარეობდა - 1867 წელს „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების“ მიერ ჩამოყალიბებულ 1964 წლის 4 აპრილის სახელობის „ქალაქის სამკურნალოში“ მოღვაწე ოკულისტმა, იოსებ ტალკომ, 1869 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „თამბაქოს ზეგავლენა მხედველობის ორგანოზე“ [32].

თამბაქოს მწვევლობა კერძოდ ასოცირდება ჰიპერმეტროპიასთან, რქოვანას ეპითელიუმის გვიან შეხორცებასთან (უკანასკნელის დაზიანების შემთხვევაში) და ფუქსის ენდოთელურ დისტროფიასთან (რქოვანას პროგრესირებადი მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც ხასიათდება ენდოთელური უჯრედების ნელი დაზიანებით). იგი, ასევე, მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია ბირთვული კატარაქტისა და ასაკობრივი მაკულარული დეგენერაციის განვითარებისა. გარდა ამისა, იგი ასოცირდება ბადურის გასქელებასთან.

ორსულობისას მოწევა ზრდის გარეთა ან შიგნითა სიელმის ან დაქვეითებული სტერეოსიმახვილის (მოცემული სიღრმის აღქმის სიმკვეთრის ზღვრული საზომი, რომელიც მიუთითებს ინდივიდის სენსორული ბინოკულარობის ხარისხზე) განვითარების რისკებს.[5][22] აგრეთვე, პასიური მწვევლობა ხშირად ასოცირებულია თვალის ქრონიკულ სიწითლესთან. [10][31]

კლიმატის ცვლილება

უახლეს კვლევებზე დაყრდნობით, დედამიწის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულია მხედველობის სისტემის ისეთი ინფექციური და არაინფექციური დაავადებების გავრცელება, როგორებიცაა: რქოვანასა და კონიუნქტივას *Herpes simplex* და *Herpes Zoster* ვირუსები, ვირუსული კერატოკონიუნქტივიტი, რქოვანას შემთხვევითი სოკოვანი დაზიანებები, მწვავე

გლაუკომა, ქრონიკული დიაკუთხოვანი გლაუკომა და ინფექციური უვეიტი (რომელიც უფრო ხშირია ზაფხულში) [30], გამოწვეული ტოქსოპლაზმოზით, ტუბერკულოზით, კამპილობაქტერიით, ქლამიდიით, თვალის მარტივი ჰერპესით (VHS) და ჰერპეს ზოსტერით (VHZ), დასავლეთ ნილოსის ცხელებით, ბორელიოზით, რიკეტსიოზით, ტრაქომით, მიგელოზითა და სალმონელოზით. [8]

გარემოს ცვლადი	რქოვანა, სკლერა და კონიუნქტივა	გლაუკომა	კატარაქტა	სიმსივნეები, ფერადი გარსი, ქოროიდი და წამწამოვანი სხეული	ინფექციური უვეიტი	არაინფექციური უვეიტი	ზადურა	ასაკობრივი მაკულოდისტროფია და ცენტრალური სეროზული ქოროიდიოპათია
ნალექი	X				X	X	X	X
ტემპერატურა	X	X			X	X	X	X
ტენიანობა	X	X			X	X	X	X
ქარი	X				X			
ულტრაიისფერი გამოსხივება	X	X	X	X	X	X	X	X
ჰაერის წნევა		X						
ზღვის დონე					X			X
ალბედო			X			X	X	X
ოზონი	X					X		
სათბურის აირები	X	X				X		
PM10 და PM2.5	X	X				X		
სხვა დამაბინძურებლები	X	X				X		
სხვა არაპირდაპირ დაკავშირებული ფაქტორები (მაღალტრეცია, არასწორი კვება)	X	X			X			X

ცხრილი 1. კავშირი გარემო ცვლადებსა და თვალის პოტენციურ დაზიანებას შორის. Echevarría-Lucas L, Senciales-González JM, Medialdea-Hurtado ME, Rodrigo-Comino J. *Impact of Climate Change on Eye Diseases and Associated Economical Costs. International Journal of Environmental Research and Public Health.* 2021; 18(13):7197. <https://doi.org/10.3390/ijerph18137197>-ის მიხედვით.

ჰიგიენა


ზემოხსენებულ პრობლემათაგან თავის ასარიდებლად აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ მხედველობის სისტემის ჰიგიენას. აუცილებელია, თავი ავარიდოთ ულტრაიისფერ და ინფრაწითელ გამოსხივებასთან თვალების პირდაპირ კონტაქტს, ნათელ დღეებში გამოვიყენოთ მზისგან დამცავი სათვალე, მტვრით დაბინძურებისას ამოვიბანოთ თვალები სუფთა ნელთბილი წყლით, უყურადღებოდ არ დავტოვოთ თვალის ზედაპირის ნებისმიერი ტიპის მექანიკური დაზიანება და მივაკითხოთ ოფთალმოლოგს.

ასევე, აუცილებლად ვიზრუნოთ თვალის ზედაპირის მუდმივ დატენიანებაზე მშრალი თვალის სინდრომის შემთხვევაში, [17] რამდენადაც ცრემლის აპკი შეიცავს ფერმენტებსა და ანტისხეულებს, რომლებიც აუცილებელია თვალის ზედაპირზე მოხვედრილი უცხო აგენტების გასაწმენდად, ინფექციის განვითარებისაგან თავდასაცავად [32].

ასევე, მნიშვნელოვანია კონტაქტური ლინზების გამოყენება წესების დაცვით, ვინაიდან უკანასკნელთა დარღვევა ხშირად ასოცირებულია სხვადასხვა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებასთან. [14]

ოფთალმოლოგიის “გავლენა” გარემოზე

ნახშირბადის გარემოში გამოყოფა გრძელვადიან უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ძირითადად ტემპერატურის მატებისა და უკანასკნელის მიერ გამოწვეული პრობლემების გამო. [11]



სქემა 2. ნახშირბადის გამოყოფის ადგილი და როლი მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების წრეში

Hanmin Dong, Minggao Xue, Yujia Xiao, Yishuang Liu, Do carbon emissions impact the health of residents? Considering China's industrialization and urbanization, Science of The Total Environment, Volume 758, 2021, 143688, ISSN 0048-9697-ის მიხედვით

2017 წელს ჯანდაცვის სექტორზე ნახშირბადის გლობალური ემისიის 4-6% მოდიოდა. [13] ერთჯერადი გამოყენების სამედიცინო ინსტრუმენტები და აღჭურვილობა ხელს უწყობს კლინიკური და არაკლინიკური ნარჩენების მასობრივ წარმოქმნასა და ნახშირბადის დიდი რაოდენობით გამოყოფას.

ოფთალმოქირურგიული მანიპულაციები (მათ შორის, კატარაქტის ოპერაციები) მსოფლიოში ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლით ხასიათდება. ეს კატარაქტის ოპერაციებს ნახშირბადის გამოყოფის შემცირების აშკარა სამიზნე რგოლად აქცევს.

სხვადასხვა კვლევების საფუძველზე არსებობს დასკვნა, რომ კატარაქტის ოპერაციის სხვადასხვა ტექნიკით შესრულება გარემოს სხვადასხვა რაოდენობით დაბინძურებასთან ასოცირდება, კერძოდ ფაკოემულსიფიკაცია, გარდა იმისა, რომ გაცილებით უფრო ძვირია, ასევე, გაცილებით უფრო დამაბინძურებელია, ვიდრე ქირურგიული მიდგომა მოდიფიცირებული მცირეგანაკვეთიანი ოპერაციით. [19]

ამდენად, იკვრება ერთგვარი მანკიერი წრე - თანამედროვე ეკოლოგიის გამოწვევები საფუძველს უყრის მედიცინის სხვადასხვა დარგების უფრო აქტიურ მუშაობასა და დახვეწას,

ეს უკანასკნელი კი, დამაბინძურებელი ზემოქმედების გათვალისწინებით, უფრო მეტად აღრმავებს აღნიშნულ გამოწვევათა აქტუალობასა და სიმძიმეს.

აღნიშნულთა გამო თანამედროვე მედიცინაში მოწოდებულია „The 5 R“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს შემცირებას, ხელახალ გამოყენებას, გადამუშავებას, გადახედვასა და კვლევას (Reduce, Reuse, Recycle, Rethink and Research). [1]

კლინიცისტებისთვის, ჯანდაცვის პროფესიონალებისა და მათი მენეჯერული გუნდებისთვის, მწარმოებლებისა და ფარმაცევტული კომპანიებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ წარმოქმნილი ნარჩენების კუმულაციური და მავნე ზემოქმედება გარემოზე, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, გრძელვადიან ავადობასა და მომავალ თაობათა ცხოვრების ხარისხზე.

დასკვნა

მოცემული სტატია ცხადყოფს, რომ გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს გარემოში არსებულ დამაბინძურებლებს, გლობალურ დათბობას, კლიმატის ცვლილებასა და თანამედროვე ეკოლოგიის სხვა აქტუალურ რგოლებს, საკმაოდ მასშტაბურად და მძლავრად ვრცელდება მხედველობის სისტემის ჯანმრთელობასა და ჯანდაცვაზე. მნიშვნელოვანია ყოველივე აღნიშნულის გააზრება და ყოველდღიურ ცხოვრებაში გათვალისწინება როგორც რიგითი ინდივიდების, ისე ოფთალმოლოგებისა და ჯანდაცვის მენეჯერების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Al-Aqaba M.A., Dhillon V.K., Mohammed I., Said D.G., Dua H.S. Corneal nerves in health and disease. *Prog. Retin. Eye Res.* 2019;73:100762. doi: 10.1016/j.preteyeres.2019.05.003.]
2. Alryalat SA, Toubasi AA, Patnaik JL, Kahook MY. The impact of air pollution and climate change on eye health: a global review. *Rev Environ Health.* 2022 Dec 29. doi: 10.1515/reveh-2022-0209. Epub ahead of print. PMID: 36579431.
3. Chang K.-H., Hsu P.-Y., Lin C.-J., Lin C.-L., Juo S.-H.H., Liang C.-L. Traffic-related air pollutants increase the risk for age-related macular degeneration. *J. Investig. Med.* 2019;67:1076. doi: 10.1136/jim-2019-001007.
4. Chua S.Y.L., Khawaja A.P., Morgan J., Strouthidis N., Reisman C., Dick A.D., Khaw P.T., Patel P.J., Foster P.J. The Relationship Between Ambient Atmospheric Fine Particulate Matter (PM2.5) and Glaucoma in a Large Community Cohort. *Invest Ophthalmol. Vis. Sci.* 2019;60:4915–4923. doi: 10.1167/iovs.19-28346.
5. Ciner EB, Ying GS, Kulp MT, Maguire MG, Quinn GE, Orel-Bixler D, Cyert LA, Moore B, Huang J; Vision in Preschoolers Study Group. Stereoacuity of preschool children with and without vision disorders. *Optom Vis Sci.* 2014 Mar;91(3):351-8. doi: 10.1097/OPX.000000000000165. PMID: 24463769; PMCID: PMC4113505
6. Clfiores. "Light and Infrared Radiation." Berkeley Lab EHS, 7 June 2018

7. Cullen, A.P. Ozone Depletion and Solar Ultraviolet Radiation: Ocular Effects, a United Nations Environment Programme Perspective. *Eye Contact Lens Sci. Clin. Pract.* 2011, 37, 185–190.
8. Echevarría-Lucas L, Senciales-González JM, Medialdea-Hurtado ME, Rodrigo-Comino J. Impact of Climate Change on Eye Diseases and Associated Economical Costs. *International Journal of Environmental Research and Public Health.* 2021; 18(13):7197. <https://doi.org/10.3390/ijerph18137197>
9. Gerstein Eye Institute. "How to Deal With Dust and Your Eyes." Gerstein Eye Institute, 1 Feb. 2021, www.gersteineye.com/blog/2019/07/dust-and-your-eyes.
10. Grandjean E, Weber A, Fischer T. "Passivrauchen" [Passive smoking]. *Bull Schweiz Akad Med Wiss.* 1979 Mar;35(1-3):99-109. German. PMID: 454896.
11. Hanmin Dong, Minggao Xue, Yujia Xiao, Yishuang Liu, Do carbon emissions impact the health of residents? Considering China's industrialization and urbanization, *Science of The Total Environment*, Volume 758, 2021, 143688, ISSN 0048-9697, <https://doi.org/10.1016/j.scitotenv.2020.143688>.
12. Kemp A.C., Horton B.P., Donnelly J.P., Mann M.E., Vermeer M., Rahmstorf S. Climate related sea-level variations over the past two millennia. *Proc. Natl. Acad. Sci. USA.* 2011;108:11017–11022. doi: 10.1073/pnas.1015619108.
13. King's College London. Higher air pollution days trigger cardiac arrests and hospitalisations. <https://www.kcl.ac.uk/news/higher-air-pollution-days-trigger-cardiac-arrests-and-hospitalisations>. Accessed Aug 5, 2021.
14. Lim CHL, Stapleton F, Mehta JS. Review of Contact Lens-Related Complications. *Eye Contact Lens.* 2018 Nov;44 Suppl 2:S1-S10. doi: 10.1097/ICL.0000000000000481. PMID: 29373389.
15. Lin CC, Chiu CC, Lee PY, Chen KJ, He CX, Hsu SK, Cheng KC. The Adverse Effects of Air Pollution on the Eye: A Review. *Int J Environ Res Public Health.* 2022 Jan 21;19(3):1186. doi: 10.3390/ijerph19031186. PMID: 35162209; PMCID: PMC8834466.
16. M. Tanito, S. Kaidzu, R.E. Anderson Protective effects of soft acrylic yellow filter against blue light-induced retinal damage in rats *Exp. Eye Res.*, 83 (6) (2006), pp. 1493-1504
17. Messmer EM. The pathophysiology, diagnosis, and treatment of dry eye disease. *Dtsch Arztebl Int.* 2015 Jan 30;112(5):71-81; quiz 82. doi: 10.3238/arztebl.2015.0071. PMID: 25686388; PMCID: PMC4335585.
18. Mimura T., Ichinose T., Yamagami S., Fujishima H., Kamei Y., Goto M., Takada S., Matsubara M. Airborne particulate matter (PM2.5) and the prevalence of allergic conjunctivitis in Japan. *Sci. Total Environ.* 2014;487:493–499. doi: 10.1016/j.scitotenv.2014.04.057.
19. Morris DS, Wright T, Somner JE, Connor A. The carbon footprint of cataract surgery. *Eye (Lond).* 2013 Apr;27(4):495-501. doi: 10.1038/eye.2013.9. Epub 2013 Feb 22. PMID: 23429413; PMCID: PMC3626018.
20. N.M. Ayala, R. Michael, G.P. Söderberg Influence of exposure time for UV radiation-induced cataract *Invest. Ophthalmol. Vis. Sci.*, 41 (2000), pp. 3539-3543

21. Niguse Hamba, Asfaw Gerbi, Solomon Tesfaye, Histopathological effects of ultraviolet radiation exposure on the ocular structures in animal studies –literature review, *Translational Research in Anatomy*, Volume 22, 2021, 100086, ISSN 2214-854X, <https://doi.org/10.1016/j.tria.2020.100086>.
22. Nita M, Grzybowski A. Smoking and Eye Pathologies. A Systemic Review. Part I. Anterior Eye Segment Pathologies. *Curr Pharm Des.* 2017;23(4):629-638. doi: 10.2174/1381612822666161129152041. PMID: 27897118.]
23. R.E. Marc, B.W. Jones, C.B. Watt, F. Vazquez-Chona, D.K. Vaughan, D.T. Organisciak Extreme retinal remodeling triggered by light damage: implications for age-related macular degeneration *Mol. Vis.*, 14 (2008), pp. 782-796
24. R.P. Gallagher, T.K. Lee Adverse effects of ultraviolet radiation: a brief review *Prog. Biophys. Mol. Biol.*, 92 (1) (2006), pp. 119-131,
25. Saxena R, Srivastava S, Trivedi D, Anand E, Joshi S, Gupta SK. Impact of environmental pollution on the eye. *Acta Ophthalmol Scand.* 2003 Oct;81(5):491-4. doi: 10.1034/j.1600-0420.2003.00119.x. PMID: 14510797.
26. Swenberg J.A., Moeller B.C., Lu K., Rager J.E., Fry R.C., Starr T.B. Formaldehyde carcinogenicity research: 30 years and counting for mode of action, epidemiology, and cancer risk assessment. *Toxicol. Pathol.* 2013;41:181–189. doi: 10.1177/0192623312466459.
27. W.P. Patton, U. Chakravarth, H.J. Davies, B.D. Archer Comet assay of UV- induced DNA damage in retinal pigment epithelial cells *Invest. Ophthalmol. Vis. Sci.*, 40 (1999), pp. 3268-3275
28. Watts N, Amann M, Arnell N, et al. The 2019 report of The Lancet Countdown on health and climate change: ensuring that the health of a child born today is not defined by a changing climate. *Lancet.* 2019;394(10211):1836–1878.
29. Wong YL, Noor M, James KL, Aslam TM. Ophthalmology Going Greener: A Narrative Review. *Ophthalmol Ther.* 2021 Dec;10(4):845-857. doi: 10.1007/s40123-021-00404-8. Epub 2021 Oct 11. PMID: 34633635; PMCID: PMC8502635.
30. Zassel, G.H.; Burrows, A.; Jeffers, J.B.; Fischer, D.H. Anterior nongranulomatous uveitis: A seasonal variation. *Ann. Ophthalmol.* 1984, 16, 1066–1068
31. Zhang X, Kahende J, Fan AZ, Barker L, Thompson TJ, Mokdad AH, Li Y, Saaddine JB. Smoking and visual impairment among older adults with age-related eye diseases. *Prev Chronic Dis.* 2011 Jul;8(4):A84. Epub 2011 Jun 15. PMID: 21672408; PMCID: PMC3136979.
32. ჩიჭუა ა. ჩიჭუა გ. გორგაძე გ. „კლინიკური ოფთალმოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლები“ გამომცემლობა წიგნი+ერი, თბილისი, 2021 ISBN: 978-9941-9763-6-0].

Impact of harmful environmental factors on the visual system

Gigi Gorgadze¹, Marina Giorgobiani², Tinatin Jikurashvili³, Mzia Phirtskhalaishvili³

¹Tbilisi State Medical University, Faculty of Medicine

²Tbilisi State Medical University, Department of Hygiene and Medical Ecology

³Chichua Medical Center "MZERA"

Abstract

Harmful effects of climate change on health include many pathologies. There are many ways that environmental factors affect the visual system, including exposure to UV rays on the cornea, lens, retina, and the development of cataracts, glaucoma, uveal melanoma, photokeratitis, and others. Cataract development is also caused by infrared radiation. In the case of both mentioned types of radiation, the development of oxidative stress or the disruption of the protective mechanism against it is thought to be a pathogenic mechanism. The visual system is also affected by dust, air pollution, active and passive smoking, changes in various climate parameters (including precipitation, temperature, humidity, albedo).

In order to avoid problems, it is necessary to pay attention to the hygiene of the visual system, which includes the use of appropriate protective equipment, timely cleaning of contaminated eyes, care for dry eye syndrome, correct use of contact lenses and etc..

The release of carbon into the environment has long-term negative effects on the health of the population, mainly due to the increase in temperature and the problems caused by the latter. Single-use medical instruments and equipment contribute to the mass generation of clinical and non-clinical waste and release large amounts of carbon. Ophthalmosurgical manipulations (including cataract surgeries) are characterized by the highest quantitative index in the world. This makes cataract surgery an obvious target for reducing carbon emissions. Because of the above, it is important to put into practice the principle of "The 5 R" provided in modern medicine, which implies reduction, reuse, recycling, review and research.

It is important to understand all of the above and take into account in everyday life both ordinary individuals and ophthalmologists and health care managers.

Key words: *Visual system, Ophthalmology, Environmental factors, Pollution, Ecology, Hygiene, Climate.*

Fatsia japonica (Thunb.) Decne. et Planch. იაპონური ფაცია ფოთლის მიკროსტრუქტურული თავისებურებანი (*Araliaceae*)

ზურაბ ქემოკლიძე, ქეთევან მჭედლიძე*, მანანა ჭურაძე, ჯემალ ანელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

აბსტრაქტი

შესწავლილია საქართველოში ინტროდუცირებული *F. japonica*-ს, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროს ფოთლის შინაგანი აგებულება და დადგენილია მისი მიკროსტრუქტურის სადიაგნოსტიკო მახასიათებლები. *F. japonica*-ს ფოთოლი შიშველია, ბიფაცუალური ფორმის, დორზოვენტალური, ჰიპოსტომატური სტრუქტურის. ფოთლის აბაქსიალური და ადაქსიალური ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული, მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია, ქვედა ეპიდერმისის კუტიკულარული მოზაიკა ტალღისებრი. იაპონური ფაცია ფოთოლში დიფერენცირებული ბაგის აპარატი ანიზოციტური ტიპისაა, ბაგეთმორისი ხვრელი თითისტარისებრი, ხოლო, ბაგეთა განწყობა ქაოტური. ფოთლის რბილობში უკუ-კოლატერალური აღნაგობის გამტარი კონა აღიბეჭდება. მცენარის ფოთლის ყველა მორფოლოგიური ორგანოს სტრუქტურულ ერთეულში შესამჩნევია მჟაუნმჟავა კალციუმის დრუზა კრისტალების და სეკრეტორული სავალების დიფერენცირება. *F. japonica*-ს ფოთლის ნაკვთის მთავარი ძარღვის ძირითადი ქსოვილი პოლიგონალურია, გამტარი სისტემა როგორც ძარღვში, ასევე ყუნწში ჭურჭლ-ბოჭკოვანი, ღია-კოლატერალური ტიპის, მხოლოდ მთავარ ძარღვში მათი განწყობა ასიმეტრულია, ხოლო ყუნწში მჭიდროდ ურთიერთგანწყობილი და სიმეტრიული; *F. japonica*-ს ფოთლის ნაკვთის მთავარი ძარღვის და ყუნწის მერქანში დიფერენცირებულია სიგრძეზე მწყობრ მჭკრივედად განლაგებული სანათურები. ყუნწის სიგრძეზე ანათანზე აღიბეჭდება მერქნის გამტარი ჭურჭლების გარსის სპირალური, რგოლური და ბადისებრი გასქელება.

საკვანძო სიტყვები: *Fatsia japonica* (Thunb.) Decne.; ფოთოლი; ყუნწი; ანატომია; სადიაგნოსტიკო მახასიათებლები.

ბუნებრივი ნაერთების ბიოლოგიურად აქტიური ტრიტერპენული საკონინების კლასი ფართოდ არის წარმოდგენილი Araliaceae-ის ოჯახის მცენარეებში. სწორედ ამ თავალსაზრისით ყურადღება მიიპყრო საქართველოში კულტივირებულმა მარადმწვანე დეკორატიულმა

ნახევრადბუჩქოვანმა მცენარემ - იაპონურმა ფაცამ, *Fatsia japonica* (Thunb.) Dacne., რამაც ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე განაპირობა მისი ქიმიური შემადგენლობის, ტრიტერპენული ნაერთების სიღრმისეული შესწავლა [1,3,6] და შედეგად 1996 წელს, რევმატიული დაავადებების სამკურნალო ორიგინალური პრეპარატის „ფაციფლოგინი“-ს შემუშავება [2,4]. მიუხედავად ამისა, მისის, როგორც პერსპექტიული მცენარის კვლევა კვლავაც გრძელდება სამედიცინო პრაქტიკაში მისი ფართოდ გამოყენების მიზნით.

კვლევის მიზანს *F. japonica*-ს, იაპონური ფაციას ფოთლის ანატომიური აგებულების შესწავლა წარმოადგენდა, რათა კვლევის შედეგები საფუძვლად დაედოს ფუნდამენტური ცნობარების, სამეცნიერო ნაშრომების შედგენას.

F. japonica 2-3 მ სიმაღლის დაბალტანიანი ხეებია, მათი ღერო მარტივი, დაუტოტავი, წვერში დიდი ზომის გრძელყუნწიანი (30 სმ სიგრძის) ფოთლებითაა დაგვირგვინებული. ფოთლები ტყავისებრია, პრიალა, შიშველი, დიამეტრში 15-30 სმ-ს აღწევს, მოყვანილობით მომრგვალო, თათისებრ ღრმად განკვეთილი 5(7)-11 ნაკვთათ. თითოეული ნაკვთი კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმისაა, დაკბილული კიდეებით, ფუძესთან შევიწროებული, წვერისკენ წამახვილებული[5].

იაპონური ფაციას ყვავილები ორსქესიანია, პოლიგამური, 5(6) წვერიანი, პატარა ზომის თანაყვავილებით შემკული. ჯამის ფოთოლაკები თითქმის შეუმჩნეველია. გვირგვინის ფურცლები კვერცხისებრი, წაწვეტებული, უკან გადახრილი. მტვრიანები ძაფისებრი, ოვალური სამტვერებით. მცენარის ყვავილები გრძელყუნწიანია, მარტივ მომრგვალო ფორმის ქოლგებს ქმნის (2,5-3,5 სმ დიამეტრის), რომლებიც კენწრულ საგველა ყვავილედებადაა შეკრებილი. ნასკვი ხუთბუდიანია, სვეტი ხუთი, ძაფისებრი, ფუძიდანვე თავისუფალი; დინგი მცირე ზომისაა. ნაყოფი მრავალია ხუთბუდიანი, ხორცოვანი ეგზოკარპიუმით და ხრტილოვანი ენდოკარპიუმით. იაპონური ფაციას თესლი გვერდებშებრტყელებულია. მცენარე ყვავილობს IX-X, ხოლო ნაყოფი მწიფდება ზამთარში. სახეობა აწერილია იაპონიიდან, იგი მონოტიპური გვარის სახეობად მიიჩნევა [5].

F. japonica-ა ძირითადად სუბტროპიკულ ბიომში იზრდება და მისი გავრცელების მშობლიურ დიაპაზონს სამხრეთ კორეა და იაპონია წარმოადგენს. სახეობა გამოირჩევა სწრაფი ზრდის ტემპით; დეკორატიული მცენარეა და ფართოდაა გამოყენებული როგორც საორანჟერეო და ოთახის კულტურა[5].

მასალა და მეთოდика.

F. japonica-ას ფოთლის საკვლევი ნიმუში მოპოვებულ იქნა 2020 წელს. საანალიზო მცენარის ფოთლის ფირფიტის, ფოთლის მთავარი ძარღვის და ფოთლის ყუნწის (მეზოპეციოლი) ცენტრალური არეებიდან აღებული საპრეპარატო ნიმუშთა განივი, სიგრძივი და ზედაპირული ანათლები დამზადდა ცოცხალი დაუფიქსირებელი მასალიდან ბასრი სამართებლის საშუალებით, საკვლევი ანათლები შეიღება საფრანგის ხსნარში 24 სთ-ის განმავლობაში და მოთავსდა გლიცერინიან გარემოში სასაგნე მინაზე. კვლევის ობიექტთა

მიკროტექნიკური კვლევა წარმოებდა სინათლის Carl Zeiss, Jeneval-ის მიკროსკოპზე; ფოტოდოკუმენტალური მასალა დაფიქსირდა ციფრული ფოტოაპარატის (Canon Digital IXUS75) საშუალებით და გრაფიკულად დამუშავდა Adobe Photoshop CS5 -ის პროგრამაში.

კვლევის შედეგი

ფოთოლი. *F. japonica*-ას ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული, მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია (სურ. 1. A, B). ზედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები გამოკვეთილად სქელგარსიანია. უხვია მათში ქლოროპლასტების დიფერენცირება. იაპონური ფაცის ფოთლის ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედებში ბაგეთა განწყობა მათი ბაგეთშორისი ხვრელის მიმართულების გათვალისწინებით, როგორც ერთმანეთის, ასევე მთავარი ძარღვის მიმართ ქოტურია. ბაგის აპარატი რთულია ანიზოციტური; ე.ი. ოსპისებრი ფორმის ბაგის მკეტავი უჯრედების მერიდიანულ სიბრტყეში, გარშემო უწყსრიგოდაა განწყობილი სამი სატელიტური უჯრედი (სურ. 2. B, D). ბაგეთა მკეტავ უჯრედებში არსებული ქლორიპლასტების განწყობის სახე მსხვილნატეხიანია; ბაგეთშორისი ხვრელის ფორმა - თითისტარისებრია. ფოთლის ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედებში აღიბეჭდება მჟაუნმჟავა კალციუმის დრუზა კრისტალების არსებობა. ფოთლის ქვედა ეპიდერმისის კუტიკულარული მოზაიკა ტალღისებრია (სურ.1.C).

F. japonica-ას ფოთოლი შიშველია, მისი ფირფიტის ფორმა ბიფაცულური, რბილობის სტრუქტურა დორზოვენტალური, ხოლო ბაგეთა განწყობის გათვალისწინებით ჰიპოსტომატური აგებულების(სურ. 2.A). ბაგის აპარატი ეპიდერმული უჯრედების დონეზეა განწყობილი (სურ. 2.C). იაპონური ფაცის ფოთლის მფარავი ქსოვილი ერთრიგიანი და კუტინიზირებულია. მესრისებული პარენქიმა ორრიგიანია, ღრუბლისებური პარენქიმა წარმოდგენილია ტანგენტალურად გადაჭიმული, ფაშარად ურთიერთგანწყობილი უჯრედებით; ფოთლის რბილობი ამოვსებულია ქლოროპლასტებით (სურ. 2.B). ფოთლის მეზოფილში დიფერენცირებულია უკუ-კოლატერალური აღნაგობის გამტარი კონა, რომლის თავზეც, ე.ი. ფოთლის ვენტრალურ სიბრტყეში აღიბეჭდება სეკრეტორული სავალი. გამტარი კონა შემოსაზღვრულია სახამებლოვანი ხალთით. მერქნის ანასტომოზებში აისახება სპირალურად გარსგასქელებული გამტარი ჭურჭლები (სურ. 2.D). იაპონური ფაცის ფოთლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში შესამჩნევია მჟაუნმჟავა კალციუმის დრუზა კრისტალების დიფერენცირება(სურ. 2. B).


ფოთლის მთავარი ძარღვი. იაპონური ფაცის ფოთლის ნაკვთის მთავარი ძარღვის მფარავი ქსოვილი კუტინიზირებულია; ძარღვის განივ ჭრილზე აღიბეჭდება ვენტრალურ და დორზალურ სიბრტყეში არსებული თაღები. ადაქსიალურ მხარეს არსებული თაღი კუთხოვანია, აბაქსიალურ მხარეს კი გლუვი (სურ. 3. A). ფოთლის მფარავ ქსოვილს ფირფიტოვანი კოლენქიმის მასიური არეები ემიჯნება. კოლენქიმაში სეკრეტორული სავალებია დიფერენცირებული გარსშემომფენი უჯრედებით შემოსაზღვრული(სურ. 3. B, C). მთავარი ძარღვის ვენტრალურ სიბრტყეში კოლენქიმას საასიმილაციო ქსოვილი მოსდევს, რომელთა უჯრედებიც ამოვსებულია ქლოროპლასტებით. მთავარი ძარღვის ძირითადი ქსოვილი პოლიგონალური, თხელგარსიანი, მჭიდრო სტრუქტურის მქონე უჯრედებითაა

წარმოდგენილი, რომელთა შორისაც ასევე დიდი რაოდენობით სეკრეტორული სავალეზია განწყობილი.

მთავარ ძარღვში არსებული გამტარი სისტემა სპეციფიურია, ძარღვის ტანგენტალურ განაკვეთზე აღიბეჭდება ჭურჭელ-ბოჭკოვანი, ღია-კოლატერალური ტიპის გამტარი კონები განლაგებული არასწორი და არასიმეტრიული ორმხრივი რკალისებრი კონფიგურაციით. განსაკუთრებითი არასიმეტრიულობით აღიბეჭდება ვენტრალურ სიბრტყეში არსებული გამტარი კონები, რომელთა მერქანის, ლაფნისა და სკლერენქიმული უჯრედების მიმართულება არაერთგვაროვანია და მიმართულია სხვადასხვა მხარეს(სურ. 3. D). სკლერენქიმული უჯრედების სანათურები თხელგარსიანია, სანათურთა შიდა გარსის მოხაზულობა კუთხოვანი. ლაფანში წარმოდგენილია სეკრეტორული სავალეზი. მერქანში დიფერენცირებულია მერქნის სხვადასხვა კალიბრის სანათურები, შიდა გარსის კუთხოვანი მოხაზულობით. სანათურთა განწყობა სიგრძეზე მწკრივისებრია. მერქანში კამბიუმის საზღვართან მერქნის ლიბრიფორმის უჯრედების ბადა დიფერენცირებული. მერქნის გამტარი ჭურჭლების გარშემო პარენქიმული უჯრედებია წარმოდგენილი (სურ.3.E).

ფოთლის ყუნწი (მეზოპეციოლი). ფოთლის ტანგენტალურ განაკვეთზე აისახება სფეროსებრი მოხაზულობის ყუნწის კონფიგურაცია. ყუნწის მფარავი ქსოვილი კუტინიზირებულია, ეპიდერმისი ერთრიგაანი, ეპიდერმისის სქელგარსიან უჯრედებს ზედა პერიკლინარული კედლის გარსი განსაკუთრებულად გასქელებულია. ყუნწის მფარავ ქსოვილში ბაგის აპარატის განწყობა შეინიშნება (სურ.4. B). მფარავ ქსოვილს ფირფიტოვანი კოლენქიმის მასიური სარტყელი ემიჯნება, რომლის ერთიანობასაც, მცირე მონაკვეთზე, ქლორენქიმის უჯრედები არღვევენ, როგორც კოლენქიმის ასევე ქლორენქიმის უჯრედებს შორის ფიქსირდება სეკრეტორული სავალეზის დიფერენცირება (სურ. 4. C). ყუნწის ქლორენქიმულ შრეში გამოკვეთილია მჟაუნმჟავა კალციუმის დრუზა კრისტალებით მოცული ან ცარიელი იდიობლასტური უჯრედები. ქერქის პარენქიმაში აისახება თხელგარსიანი, ფაშარად ერთმანეთის მიმართ განწყობილი სხვადასხვა ზომის უჯრედები. ფოთლის ყუნწის ცენტრალურ ცილინდრში დიფერენცირებულია ჭურჭელ-ბოჭკოვანი, ღია-კოლატერალური სახის გამტარი კონებისგან შემდგარი თაღებისებრი მოხაზული სარტყელი. კონებს შორის არსებულ მცირე არეალში პარენქიმული და სკლერენქიმული უჯრედებია განლაგებული. მთლიანად ცენტრალური ცილინდრი შემოსაზღვრულია ერთი წყება შემომდგენი ქსოვილით. სკლერენქიმული უჯრედების სანათურები თხელგარსიანია, მათი შიდა გარსის მოხაზულობა კუთხოვანი, ლაფანში სეკრეტორული სავალეზია განწყობილი (სურ. 4. E), აქტიურია კამბიუმის ქსოვილი, რომელიც მერქნის ლიბრიფორმს ემიჯნება. მერქნის გამტარ ჭურჭელთა სანათურები დიდკალიბრიანია, მათი განწყობა სიგრძეზე მწკრივისებრი. გამტარ ჭურჭელთა შიდა გარსი ოვალური მოხაზულობის, კუთხოვანგარსიანია. მერქანში პარენქიმული უჯრედებია დიფერენცირებული. ყუნწის პერიმედულარულ არეში ასევე სეკრეტორული სავალეზია განლაგებული. გულგულში დიდი ზომის, თხელგარსიანი პოლიგონალური პარენქიმა ისახება (სურ. 4. F). ფოთლის ყუნწის სიგრძეზე ანათანზე აღიბეჭდება მერქნის


გამტარი ჭურჭლების გარსის უპირატესად სპირალური, ხოლო ნაკლები ინტენსიობით, რგოლური და ბადისებრი გასქელება(სურ. 4. G, H).



სურათი 1. *F. japonica*-ას ფოთლის მფარავი ქსოვილის მიკროსტრუქტურა

A. ზედა და B. ქვედა ეპიდერმისის სტრუქტურის პანორამა; C. ქვედა ეპიდერმისის კუტიკულარული მოზაიკის ხედი; D. ბაგის მკეტავი უჯრედები


1. არადაგვირისტებული, მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი ფუძემდებარე უჯრედები; 2. ბაგი მკეტავი უჯრედები; 3. ბაგეთშორისი ხვრელი; 4. სატელიტური უჯრედები; 5. მსხვილნატეხიანი ქლოროპლასტები; 6. ტალღისებრი კუტიკულარული მოზაიკა



სურათი 2. *F. japonica*-ას ფოთლის მიკროსტრუქტურა

A. ფოთლის რბილობის ხედი; B. ღრუბლისებურ პარენქიმაში დიფერენცირებული მქაუნძევა კალციუმის დრუზა; C. მფარავ ქსოვილში განწყობილი ბაგის აპარატი; D. მერქნის ანასტომოზი


1. ეპიდერმისი კუტიკულით; 2. ბაგის აპარატი; 3. მესრისებური და 4. ღრუბლისებური პარენქიმა 5. ქლოროფილის მარცვლები; 6. მქაუნძევა კალციუმის დრუზა კრისტალი; 7. სეკრეტორული სავალი; 8. მერქანი; 9. ლაფანი; 10. მერქნის სპირალურად გარსგასქელებული ანასტომოზი



სურათი 3. *F. japonica*-ას ფოთლის წაკვთის მთავარი ძარღვის მიკროსტრუქტურა

A. მთავარი ძარღვის სტრუქტურის პანორამა; B. ადაქსიალური და C. აბაქსიალური მხარის კოლენქიმური ქსოვილი; D. გამტარი სისტემის ხედი და E. ფრაგმენტი, ჭურჭელ-ბოჭკოვანი, ღია-კოლატერალური გამტარი კონა

1. ეპიდერმისი კუტიკულით; 2. ფირფიტოვანი კოლენქიმა; 3. სეკრეტორული სავალი; 4. შემომღენი ქსოვილი. 5. საასიმილაციო ქსოვილი; 6. სკლერენქიმული უჯრედები; 7. ლაფანი; 8. მერქნის ლიბრიფორმი; 9. გამტარი ჭურჭლები; 10. ძირითადი ქსოვილის პოლიგონალური უჯრედები



სურათი 4. *F. japonica*-ას ფოთლის ყუნწის მიკროსტრუქტურა (მეზოპეციოლი)

A. ყუნწის სტრუქტურის პანორამა; B.,C. ქერქის სტრუქტურული ელემენტები; D. ყუნწის სტრუქტურის ფრაგმენტი პერიფერიიდან ცენტრისაკენ; E. ღია-კოლატერალური გამტარი კონა; F. პოლიგონალური პარენქიმა; G. მერქნის გამტარე ჭურჭლები და H. სკლერენქიმული უჯრედები სიგრძივ განაკვეთზე.

1. კუტინიზირებული ეპიდერმისი; 2. ბაგის აპარატი; 3. ფირფიტოვანი კოლენქიმა; 4. ქლორენქიმა; 5. სეკრეტორული სავალი; 6. იდიობლასტური უჯრედი; 7. პოლიგონალური უჯრედები; 8. სკლერენქიმული ქსოვილი; 9. ლაფანი. 10 მერქნის ლიბრიფორმი; 11. მერქნის გამტარი ჭურჭლები. 12. სპირალურად, 13. რგოლურად და 14. ბადისებურად გარსგასქელებული გამტარი ჭურჭლები; 15. მჟაუნმჟავა კალციუმის დრუზა კრისტალები

დასკვნა

შესწავლილია საქართველოში ინტროდუცირებული *F. japonica*-ს ფოთლის შინაგანი აგებულების თავისებურებანი და დადგენილია მისი, როგორც ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მდიდარ საექსპერიმენტო ობიექტის მიკროსტრუქტურულ სადიაგნოსტიკო მახასიათებელთა შემდეგი ერთობლიობა ფარმაკოგნოსტულ ანალიზში ნედლეულის ნამდვილობის დადგენის მიზნით:

- *F. japonica*-ას ფოთოლი შიშველია, ბიფაცუალური ფორმის, დორზოვენტალური, ჰიპოსტომატური სტრუქტურის;
- ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული, მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია, ქვედა ეპიდერმისის კუტიკულარული მოზაიკა ტალღისებრი;
- ფოთოლში დიფერენცირებული ბაგის აპარატი ანიზოციტური ტიპისაა, ბაგეთშორისი ხვრელი თითისტარისებრი, ხოლო, ბაგეთა განწყობა ქაოტური;
- *F. japonica*-ას ფოთლის რბილობში უკუ-კოლატერალური აღნაგობის გამტარი კონა აღიბეჭდება;
- იაპონური ფაცის ფოთლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში შესამჩნევია მჟაუნმჟავა კალციუმის დრუზა კრისტალების და სეკრეტორული სავალების დიფერენცირება;
- *F. japonica*-ას ფოთლის ნაკვთის მთავარი ძარღვის ძირითადი ქსოვილი პოლიგონალურია, გამტარი სისტემა როგორც ძარღვში, ასევე ყუნწში ჭურჭლ-ბოჭკოვანი, ღია-კოლატერალური ტიპის, მხოლოდ მთავარ ძარღვში მათი განწყობა ასიმეტრულია, ხოლო ყუნწში სიმეტრიული;
- *F. japonica*-ას ფოთლის ნაკვთის მთავარი ძარღვის და ყუნწის მერქანში დიფერენცირებულია სიგრძეზე მწკრივისებ განწყობილი სანათურები;
- *F. japonica*-ას ფოთლის ყუნწის სიგრძივ ანათანზე აღიბეჭდება მერქნის გამტარი ჭურჭლების გარსის სპირალური, რგოლური და ბადისებრი გასქელება.

ლიტერატურა

1. T.Aoki "Structures end biosynthetic sequence of tritenpenoid saponins of *Fatsia japonica*"; Jurnal of science of the Hirosima university, series A, V.44, №1. JULY 1980, p. 199-214;
2. Xuewei Ye, Siran Yu et all. Quantitative determination glycosides in *Fatsia japonica* Dence. and Planch. Using high performance liquid chromatography. Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysys 88, 2014, p.472-476;
3. В.И. Гришкова и др "Тритерпеновые гликозиды *Fatsia japonica*", ХПС 2000, №5, ст.395-398;
4. З.С. Кемоклидзе, Г.Е. Деканосидзе, Э.П. Кемертелидзе – Биологически активные тритерпеновые гликозиды Фатсии Японской (*Fatsia japonica* (Thunb.) Dence. and Planch.),

культивируемой в Грузии; Журнал «Вопросы биологической, медицинской и фармацевтической химии», N 10, Т.21, 2018; ст. 77-80;

5. Флора СССР; Т.ХVI, Москва-Ленинград 1959г. ст.2-3;
6. Э.П. Кемертелидзе, Г.Е. Деканосидзе, А.И.Березнякова „Тритерпеновые гликозиды *Fatsia japonica*, культивируемой в Грузии и их фармакологические свойства“, Химико-фармацевтический журнал, Т. 35, №8, 2001 ст.24-27.

Features of the microstructure of the leaves of *Fatsia japonica* (Thunb.) Decne. et Planch. (*Araliaceae*)

Zurab Kemoklidze, Ketevan Mchedlidze*, Manana Churadze, Jemal Aneli

TSMU I. Kutateladze Institute of Pharmacochimistry

Abstract

The internal structure of leaf of the *F. japonica* that is introduced in Georgia as a source of biologically active substances, was studied, and its microstructural diagnostic signs were determined. *F. japonica* leaf glabrous, bilateral, dorsoventral, hypostomatic structure. The basal cells of the abaxial and adaxial epidermis of the leaf are non-stitched, curvilinear and curved-walled, the cuticular mosaic of the lower epidermis is wavy. The stomatal apparatus of the Japanese fatsia leaf is anisocytic, the stomatal gap is fusiform, and the location of the stomata is chaotic. A reverse-collateral conductive bundle is imprinted in the pulp of the leaf. In the structural units of all morphological organs of the plant leaf, differentiation of calcium oxalate druse crystals and secretory cells is noticeable. The tissue of the main vein of the leaf of *F. japonica* is polygonal, the conducting system both in the vein and in the petiole is of fibro-vascular, open-collateral type, but in the main vein bundles are asymmetrical, while in the petiole they are symmetrical and closely interconnected. The xylem of the main vein and petiole of *F. japonica* leaf's has differentiated bulbs arranged in longitudinal rows. Xylem conductive vessels with spiral, ring and mesh thickenings of the shell are observed lengthwise the petiole.

Keywords: *Fatsia japonica* (Thunb.) Decne.; leaf; petiole; anatomy; diagnostic signs.

მონაცემთა ცენტრის მომავალი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები

ყოჩიაშვილი ნუგზარ¹, ქართველიშვილი იოსები²

¹დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ²პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, . ORCID: 0000-0001-9890-4099

აბსტრაქტი

რატომ განიხილავს უფრო და უფრო დიდი და საშუალო ზომის ორგანიზაცია ახლა მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგის? აჭარბებს თუ არა IT აუტოსორსინგის დადებითი მხარეები? თუ ორგანიზაციებს სურთ მიიღონ ტენდენცია ფინანსური და ოპერაციული უპირატესობისთვის, რომელსაც სთავაზობს მონაცემთა ცენტრის მენეჯმენტის აუტოსორსინგი? სამწუხაროდ, მარტივი დიახ ან არა საკმარისი არ იქნება ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. Forbes-ის მიერ Fortune 500 კომპანიის ბოლო გამოკითხვის თანახმად, IT კომპანიების უმეტესობა ახლა უპირატესობას ანიჭებს IT აუტოსორსინგის, ვიდრე შიდა მონაცემთა ცენტრის ოპერაციებს, ამის მიზეზი არის უპირატესობები, რომლებსაც მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგი სთავაზობს. ეს მოიცავს მინიმალურ საოპერაციო ხარჯებს, ინფრასტრუქტურის უკეთ გამოყენებას, სერვერებზე წვდომას და გამოთვლა/შენახვის მოთხოვნით და ა.შ. სანამ გადაწყვეტთ თქვენი მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგს, ყურადღებით შეისწავლეთ თქვენი ვარიანტები, გაანალიზეთ თქვენი ბიზნესის პერსპექტივები და ჩაატარეთ თქვენი აქტივების, ბიუჯეტების და მოთხოვნების ფრთხილად შემოწმება. მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგის დადებითი და უარყოფითი მხარეების გულდასმით შეფასება და ის, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენს ბიზნესზე, არის ის, რაც უნდა გაითვალისწინოთ, სანამ გააფორმებთ აუტოსორსინგის კონტრაქტს.

მონაცემთა ცენტრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი ბიზნეს პროცესებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოთხოვნები ყოველთვის აღმავალი ტრაექტორიით იყო, COVID-19 პანდემიით შექმნილმა ვითარებამ ის კიდევ უფრო აიწია. ყველა სხვა სეგმენტის მსგავსად IT და მის გარშემო, მონაცემთა ცენტრის ტექნოლოგიები სწრაფად იცვლება, რათა მიაღწიოს მაღალ ოპტიმიზებულ და ეფექტურ სისტემას. ამიტომ, თქვენთვის, როგორც ბიზნესის მფლობელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია განახლებული იყოს თითოეული ამ ტექნოლოგიური ცვლილებისა და ტენდენციის შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ, ისინი აპირებენ შექმნან მონაცემთა ცენტრების მომავალი.

ტექნოლოგიის წინსვლა ხელს შეუწყობს მონაცემთა ცენტრის მთლიან მუშაობას. პროგნოზირებადი ანალიტიკის ხელსაწყოები დაეხმარება უსაფრთხოებისა და რეალურ დროში მონიტორინგის გუნდებს დროზე ადრე აღმოაჩინონ პოტენციური პრობლემები და მოაგვარონ ისინი, მანამ სანამ ისინი გავლენას მოახდენენ ოპერაციების შესრულებაზე. მონაცემთა ცენტრს AI-ს შეუძლია ხაზი გაუსვას სფეროებს, რომლებმაც შეიძლება უფრო ეფექტურად იმუშაონ, როგორცაა გაგრილება ან ენერჯის მოხმარება. ამრიგად, მონაცემთა ცენტრის კომპოზირებადობა ნიშნავს რესურსების შექმნას, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ მრავალ სხვადასხვა სისტემასთან. იმის ნაცვლად, რომ გამოყოფილი ან ვიწრო გამოყენების რესურსები უზრუნველყოფდეს მხოლოდ ერთ სერვისს, მონაცემთა ცენტრებმა უნდა გამოიყენონ რესურსების აუზები, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სხვადასხვა ტიპის სამუშაო დატვირთვის, როგორცაა შენახვის, ქსელის ან სერვერის ხელსაწყოების განთავსებაში. ანალოგიურად, კომპოზიტორული რესურსების დანერგვა ხელს უწყობს მონაცემთა ცენტრში ჩაკეტილი სიმძლავრის თავიდან აცილებას, შესაბამისად აუმჯობესებს ეფექტურობას და გამომუშავებას. უპირველეს ყოვლისა, ციფრული ტრანსფორმაცია საშუალებას მისცემს მონაცემთა ცენტრებს მიაწოდონ მომხმარებლებისთვის დამატებითი ღირებულება. დაეხმარება პროვაიდერებს აწარმოონ დაბალი ლატენცური დატვირთვები საბოლოო მომხმარებლებთან, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის ვირტუალიზაცია შექმნის უფრო საბიუჯეტო ვარიანტებს მრავალი დატვირთვისთვის. როდესაც კერძო და საჯარო ღრუბლები შერწყმულია უფრო მოქნილი და ძლიერი ჰიბრიდული ღრუბლოვანი დანერგვის შესაქმნელად, კომპანიები გამოიყენებენ ტექნოლოგიას, რათა მეტი გააკეთონ.

მონაცემთა ცენტრები: ინდუსტრიის მიმოხილვა

მონაცემთა ცენტრის სერვისების ბაზარი 2020 წელს 48,9 მილიარდ დოლარად შეფასდა. ვარაუდობენ, რომ 2026 წლისთვის ეს მაჩვენებელი 105,6 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება მონაცემთა ცენტრის სერვისების ბაზრის ანგარიშის მიხედვით, ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორია

ჩვენ ვხედავთ ტექნოლოგიების დიდ ზრდას, რომლებიც საჭიროებენ მონაცემთა ცენტრებს - მაგალითად, მზარდი მოთხოვნა ღრუბლოვან სერვისებზე, რომელთა პროვაიდერები ირჩევენ გარე მონაცემთა ცენტრებს. ეს არის ტენდენცია, რადგან შიდა მონაცემთა ცენტრები მოითხოვს ბევრად უფრო დიდ ინვესტიციებს, როგორც მათი მშენებლობისთვის, ასევე მათი შემდგომი შენარჩუნებისთვის.



ფიგურა 1

მონაცემთა ცენტრის ტენდენციები

ავტომატიზაცია

გლობალური პანდემიის ერთ-ერთი ეფექტი იყო ის, რომ მთელი სამუშაო პროცესები გადავიდა ონლაინ ფორმატზე. მიუხედავად იმისა, რომ ამის პარალელურად, ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილზე დაშვებული პერსონალის რაოდენობა. ერთ-ერთი გზა, რომლითაც მომავლის მონაცემთა ცენტრები გაუმკლავდებიან ასეთ საკითხებს, არის მუშაობის სრული ან ნაწილობრივი ავტომატიზაცია, AI (ხელოვნური ინტელექტი) და Robotic Process Automation (RPA) (პროგრამული ტექნოლოგია, რომელიც აადვილებს პროგრამული უზრუნველყოფის რობოტების შექმნას, დანერგვას და მართვას, რომლებიც ამსგავსებენ ადამიანის ქმედებებს ციფრულ სისტემებთან და პროგრამულ უზრუნველყოფასთან ურთიერთქმედებისას.) გადაწყვეტილებების ადაპტაციით.

კიდების გამოთვლა

Edge computing computing (განვითარებადი გამოთვლითი პარადიგმა, რომელიც ეხება ქსელებისა და მოწყობილობების მთელ რიგს მომხმარებლის ან მის მახლობლად.) დიდ როლს ითამაშებს მომავალი მონაცემთა ცენტრების განვითარებაში. რაც უფრო და უფრო მეტი ადამიანი იღებს ჭკვიან გადაწყვეტილებებს, არა მხოლოდ კომპანიებში, არამედ საკუთარ სახლებშიც, გაგრძელდება მოთხოვნა ზღვარზე გამოთვლით მოწყობილობებზე და ასევე გაიზრდება მოთხოვნა ზღვრულ გამოთვლით მოწყობილობებზე. ეს თავის მხრივ შეცვლის მონაცემთა ცენტრებს, რადგან გამოთვლითი სიმძლავრის დეცენტრალიზაცია პირდაპირ გავლენას მოახდენს მონაცემთა ცენტრის ტიპზე, რომელსაც მომავალში ვიხილავთ. statista.com-ის მიხედვით, ჭკვიანი სახლის გლობალური ბაზრის ღირებულება 2022 წლისთვის 53,45 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

ასევე გასათვალისწინებელია Edge Computing-ს შორის კავშირი 5g ქსელთან, როგორც კლასიკური მონაცემთა ცენტრების ალტერნატივა, რაც საშუალებას მისცემს უფრო სწრაფად განვითარდეს აპლიკაციები, რომლებიც დაკავშირებულია AI-თან ან IoT(აღწერს ფიზიკური ობიექტების ქსელს)-თან.

Edge computing საშუალებას იძლევა მონაცემები დამუშავდეს წყაროსთან უფრო ახლოს, რაც ამცირებს შეყოვნებას. ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევს მობილური მონაცემთა ცენტრების განვითარებას, რომლებიც ადვილად შეიძლება განთავსდეს, მაგალითად, დიდ სპორტულ ღონისძიებებთან, კონცერტებთან და ა.შ.

მდგრადობა

რამდენადაც ბიზნესები სულ უფრო და უფრო აცნობიერებენ კლიმატის ცვლილებას და მოუწოდებენ სწრაფად იმოქმედონ, მონაცემთა ცენტრებს ასევე სჭირდებათ მდგრადობის ინტეგრირება თავიანთ სტრატეგიებში.


Journal of Science 5-ის მიხედვით, მონაცემთა ცენტრები პასუხისმგებელი იყვნენ მსოფლიო ენერჯის მთლიანი მოხმარების 1%-ზე. თუმცა, მონაცემთა ცენტრების დატვირთვა 2010-დან 2020 წლამდე გაიზარდა 6-ჯერ, ხოლო ენერჯის მოხმარების დონე არ გაიზარდა ამ რიცხვების პროპორციულად. ეს მიუთითებს მონაცემთა ცენტრის ტექნოლოგიების მიღწევებზე CPU-ის ახალი ტექნოლოგიების სახით, ისევე როგორც უფრო ენერგოეფექტური შენახვის გადაწყვეტილებები, როგორცაა Non-Volatile Memory Express (NVMe) (NVM Express ან არასტაბილური მეხსიერების მასპინძლის კონტროლერის ინტერფეისის სპეციფიკაცია არის ღია, ლოგიკური მოწყობილობის ინტერფეისის სპეციფიკაცია კომპიუტერის არასტაბილურ მედიაზე წვდომისთვის, რომელიც ჩვეულებრივ მიმაგრებულია PCI Express ავტობუსით.).

თუმცა, მომავლის მონაცემთა ცენტრები კიდევ უფრო ეკოლოგიურად სუფთა იქნება. მონაცემთა შენახვის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ შენელებს, მაგრამ მონაცემთა ცენტრები გაფართოვდებიან და გააუმჯობესებენ მონაცემთა შეკუმშვის, დუბლირების და ეფექტურობის გაზრდის სხვა მეთოდებს. დამატებითი ფაქტორია ის, რომ თანამედროვე მონაცემთა ცენტრების გაგრილება ხორციელდება თხევადი ან თუნდაც ე.წ. პასიური სისტემებით. ჰაერის გაგრილება, რომელიც დღემდე გამოიყენება სერვერების კარგი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, უზარმაზარ რესურსს ხარჯავს. მეორეს მხრივ, თხევადი გაგრილება იძლევა ტემპერატურისა და ენერჯის მოხმარების სწრაფ შემცირებას და ხშირად იქმნება დახურულ ეკოლოგიურ ციკლად. პასიურად გაცივებული სისტემები უახლესი ტექნოლოგიით კომპონენტების თვალსაზრისით, რომლებიც მოიხმარენ მნიშვნელოვნად ნაკლებ ენერჯიას და მოითმენს მაღალ ტემპერატურას, მომავალში მნიშვნელოვნად გაბატონებული იქნება.

ასევე შექმნილია და განლაგებულია მომავალი მონაცემთა ცენტრები უკეთესი ეფექტურობისთვის. ამის კარგი მაგალითია Google, Facebook და Amazon, რომლებმაც იყიდეს მიწა შვედეთში მონაცემთა ცენტრების ასაშენებლად, რადგან უფრო გრილ რეგიონში ნაკლები რესურსია საჭირო სერვერების გაგრილებისთვის. მაკროსოფტი სულ უფრო უჩვეულო, მაგრამ ძალიან პერსპექტიულ გზას ადგას თავისი Project Natick-ით, რომელიც იკვლევს წყალქვეშა მონაცემთა ცენტრების განლაგების ვარიანტებს.

გარანტირებული მოქმედების დრო

ყველა აუთსორსინგის მონაცემთა ცენტრი რეგულირდება SLA-ებით (მომსახურების დონის ხელშეკრულება არის ვალდებულება მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის/სერვისის დონის ხელშეკრულებები). მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან ხელშეკრულებით დაიცვან SLA-ები და გამოიყენონ უახლესი ინფრასტრუქტურა და IT სისტემები. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ დაიცვან წინასწარ განსაზღვრული ხარისხის დონეები, ხოლო შემცირების დრო, რათა თავიდან აიცილონ ფინანსური ჯარიმები. შედეგად, მონაცემთა ცენტრის სერვისების აუთსორსინგი გარანტირებულია ყველაზე დაბალი შესაძლო შეფერხების დროს ელექტროენერჯის გათიშვის ან სხვადასხვა განაწილების ობიექტების გამო გამოწვეული შეფერხებების დროს.



ფიგურა 2

უფრო მაღალი მასშტაბურობა

ბიზნესის სისწრაფე შეიძლება დაირღვეს შიდა მონაცემთა ცენტრის შესაძლებლობების არასაკმარისი ან გადაჭარბებული გამოყენების გამო. თუმცა, მესამე მხარის აუთსორსინგით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ხარჯების ეფექტურობით, მასშტაბურობით და მოქნილობით, რესურსების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყოფის გარეშე, ფიქრის გარეშე.

უკეთესი მოქნილობა და სიჩქარე

ახალი მონაცემთა ცენტრის დაყენება ან თქვენი ამჟამინდელი ცენტრის განახლება შეიძლება იყოს როგორც შრომატევადი (2 წელზე მეტი) და ძვირი. მეორეს მხრივ, მონაცემთა ცენტრის სერვისების აუთსორსინგი გაათავისუფლებს თქვენს ბიზნესს ენერჯისა და კოსმოსური გამოწვევების შესახებ ფიქრისგან. თქვენ ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ უკეთესი მოქნილობით გაფართოების განხილვისას

უზარმაზარი ხარჯების დაზოგვა

მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგის ინვესტიცია შესანიშნავი გზაა თქვენი ქვედა ხაზის გასაზრდელად, დაზოგავთ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აღჭურვილობის შენარჩუნებასთან, IT შრომასთან, განახლებასთან, ფიზიკურ სივრცესთან და ზედნადებთან დაკავშირებულ ხარჯებზე. დღეს თქვენ გაქვთ შესაძლებლობა გადაიტანოთ მონაცემთა ცენტრის ოპერაციები ღრუბელში. ეს არა მხოლოდ შეამცირებს თქვენი საკუთრების ღირებულებას, არამედ მინიმუმამდე დააყენებს მომავალ აღჭურვილობაზე დანახარჯებს

გაუმჯობესებული შეყოვნება და დაკავშირება

მონაცემთა ცენტრის გაძლიერებული ფუნქციონირებისთვის, თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ აუტოსორსინგის პროვაიდერს შეუძლია უზრუნველყოს უკეთესი შეყოვნება და კავშირი, როდესაც საქმე ეხება ინტერნეტს და ქსელთან დაკავშირებულ სხვა ამოცანებს. დახვეწილ სერვის პროვაიდერს შეუძლია შემოგთავაზოთ ორივე მრავალჯერადი ოპერატორის შეთავაზებით. თქვენი საწარმო არა მხოლოდ მიიღებს საუკეთესო შეთავაზებას, არამედ თქვენ ასევე შეგიძლიათ აირჩიოთ ქსელის ოპერატორის ვარიანტების ფართო სპექტრიდან

გაიზარდა ბიზნეს ფოკუსი

მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგის მოდელში ახალი სისტემების აშენების ან IT ინფრასტრუქტურის განახლების ტვირთი გადადის სერვისის პროვაიდერზე. ეს თქვენს IT მენეჯერებს და CIO-ებს(ინფორმაციის მთავარი ოფიცერი) საშუალებას მისცემს, ყურადღება გადაიტანონ თქვენი ორგანიზაციის უმუშალო ბიზნეს მიზნების შესრულებაზე.

მონაცემთა ცენტრის აუტოსორსინგის უარყოფითი მხარეები

უსიამოვნო სიურპრიზების შესაძლებლობა

ვიდრე აუტოსორსინგს გააკეთებთ, უნდა გესმოდეთ, რას გადმოსცემს თქვენი კონტრაქტი და გაიგოთ ყველა დეტალი შიგნით. ვინაიდან მონაცემთა ცენტრის გაშვების ღირებულება და დაფარვა შეიძლება განსხვავდებოდეს სერვისის პროვაიდერიდან სერვისის პროვაიდერამდე, შეიძლება იყოს საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზები ღირებულების, პროგრამული უზრუნველყოფის მფლობელობის ან შეწყვეტის პერიოდის თვალსაზრისით, თუ კონტრაქტის ფარგლებში მკაფიოდ არ არის ნათქვამი.

მონაცემთა უსაფრთხოება

მონაცემთა უსაფრთხოების გარანტია არის ის, რაც თქვენ უნდა შეამოწმოთ სერვისის პროვაიდერთან ხელშეკრულების გაფორმებამდე. მონაცემთა უსაფრთხოების სათანადო მოცულობის გარეშე, თქვენ კრიტიკულ მონაცემებს შესაძლოა ემუქრებოდეს მავნე პროგრამები, ან კიდევ უფრო უარესი, კორპორატიული ქურდობა!

კონტროლის დაკარგვა

შიდა მონაცემთა ცენტრის ოპერაციებით, თქვენ გეცოდინებათ, რომ თქვენს სანდო პერსონალს შეუძლია მოგაწოდოთ მორგებული სისტემები, რომლებიც შეესაბამება თქვენს სპეციფიკურ საჭიროებებს. აუთოსინგის საშუალებით შეიძლება იგრძნოთ, რომ თქვენმა ბიზნესმა დაკარგა კონტროლი თქვენი მონაცემთა ცენტრის მენეჯმენტზე და ხშირად შეიძლება მოგიწიოთ კრიტიკული საკითხების გადაჭრა მხოლოდ ტელეფონით. გამყიდველის გონივრულად არჩევამ შეიძლება გაგათავისუფლოს ასეთი პრობლემების წინაშე

გამყიდველის ჩაკეტვა

როდესაც თქვენი ბიზნესი მთლიანად დამოკიდებულია სერვისის პროვაიდერზე, რომელიც ამუშავებს თქვენს მონაცემთა ცენტრს, თქვენ შეიძლება ვერ შეძლოთ რაიმე სხვა გამყიდველის გამოყენება ფულადი ზარალის გარეშე. ამიტომ, ყოველთვის გონივრულია უზრუნველყოთ, რომ თქვენი კონტრაქტი არ ავალდებულებს თქვენ ისარგებლოთ ერთი და იგივე გამყიდველით გაფართოებული დროით და ასევე, რომ მათ საკუთრებაში არსებულ სერვისებს ჰქონდეთ შესაფერისი ჩანაცვლება სხვაგან.

დასკვნა

პანდემიამ შეცვალა გლობალური ბიზნესის ლანდშაფტი. მასშტაბურობა და ზრდა გახდა გადამწყვეტი ფაქტორები თანამედროვე ბიზნესის სფეროში. მზარდი კონკურენციის პირობებში, მონაცემთა ცენტრები გახდა ბიზნესის სქემის განუყოფელი ნაწილი. ამის თქმით, კომპანიები ფრთხილად უნდა იყვნენ თავიანთი მონაცემთა ცენტრის პარტნიორების არჩევას. მონაცემები 21-ე საუკუნეში ბიზნესია და, შესაბამისად, თქვენი ბიზნესის უსაფრთხოება და კეთილდღეობა პირდაპირ დამოკიდებულია მომსახურების მიმწოდებელზე ან თქვენს მიერ არჩეულ კოლოკაციურ პარტნიორზე.

თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იცოდეთ ყველა უახლესი ტექნოლოგია, რომელიც გავლენას ახდენს თანამედროვე მონაცემთა ცენტრებზე. ეს დაგეხმარებათ შეაფასოთ მონაცემთა ცენტრი თქვენი ბიზნესის არჩევის წინ. ჩვენ შევადგინეთ ტექნოლოგიების ტენდენციების სია, რომელიც აყალიბებს მონაცემთა ცენტრების მომავალს. სია დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ როგორ იმოქმედებს ეს ტექნოლოგიები მონაცემთა ცენტრებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნუგზარ ყოჩიაშვილი, იოსებ ქართველიშვილი. მონაცემთა ცენტრის არქიტექტურის აგება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციები და თანამედროვე გამოწვევები - 2022“. თბილისი, 2022 წ.
- <https://www.thesagenext.com/blog/technology-trends-transforming-data-centers>

- <https://www.interxion.com/uk/blogs/data-centre-trends-2023#:~:text=Automation,gaining%20new%2C%20more%20profound%20insights.>

Abstract

Why are more and more large and mid-sized organizations now considering data center outsourcing? Are the pros of IT outsourcing overblown? Or do organizations want to embrace the trend for the financial and operational advantages that data center management outsourcing offers? Unfortunately, a simple yes or no will not be enough to answer the above questions. According to a recent survey of Fortune 500 companies by Forbes, most IT companies now prefer IT outsourcing over in-house data center operations due to the advantages that data center outsourcing offers. This includes minimal operational costs, better utilization of infrastructure, access to servers and compute/storage on demand, etc. Before you decide to outsource your data center, carefully research your options, analyze your business prospects, and conduct a careful examination of your assets, budgets, and requirements. Carefully evaluating the pros and cons of data center outsourcing and how it might affect your business is something you should consider before signing an outsourcing contract.

Data centers are critical to today's business scene. Although their demands have always been on an upward trajectory, the situation created by the COVID-19 pandemic has pushed it further. Like all other segments in and around IT, data center technologies are rapidly changing to achieve a highly optimized and efficient system. Therefore, it is very important for you as a business owner to stay up to date with each of these technological changes and trends. After all, they are going to create the future of data centers.

1. მოხდეს ქართულ კლინიკებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
2. გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა.

კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებული იქნა სააფთიაქო ქსელის მუშაობაზე, რომელიც შეეხება მედიკამენტების მიწოდებას საყოველთაო დაზღვევასთან დაკავშირებით. როგორც კვლევიდან ჩანს რესპოდენტების - 40% აღნიშნა, რომ სააფთიაქო ქსელის მუშაობა ნაწილობრივ გამართულია, სრულიად გამართულია ფიქრობს -16,7%, ხოლო გაუმართავია ფიქრობს -10%, რესპოდენტების 33,3% გაუჭირდა პასუხის გაცემა. საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ მედიკამენტების მიწოდების კუთხით არც თუ კარგი მდგომარეობაა.

კვლევაში მნიშვნელოვანია რესპოდენტთა ხედვები ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:

1. აუცილებელია კადრების გადამზადება
2. მნიშვნელოვანია მედიკამენტებზე ფასების დარეგულირება
3. აუცილებელია, გამკაცრდეს კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში
4. აუცილებელია მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა მედიკოსების მხრიდან

დასკვნა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 10 წლისაა. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, პროგრამის დაწყებიდან დღემდე, სამ მილიონ მოქალაქეს, 11 მილიონი სამედიცინო შემთხვევა, 7 მილიარდი ლარით დაუფინანსდა. უდავოა, რომ სახელმწიფომ ბევრი რამ გააკეთა ამ პროგრამის გაჯანსაღებისთვის, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩატარებული კვლევა ამაზე მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სრულად ვიზიარებთ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებებს და ვიძლევიტ გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება დარგის სპეციალისტებსა და ხელმძღვანელობას, დროულად გადაჭრან ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები, რაც დაგვაახლოვებს ევროპულ სტანდარტებს. ეს რეკომენდაციებია:

1. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება
2. ხელმისაწვდომი მედიკამენტები
3. კონტროლის გამკაცრება სამედიცინო დაწესებულებებში
4. საავადმყოფოში მომუშავე პერსონალის გადარჩევა/გადამზადება
5. განსაკუთრებული შეთავაზებები საჭიროების მიხედვით

ბიბლიოგრაფია

<https://nha.moh.gov.ge/ge/p/sayoveltaod>

<https://www.moh.gov.ge/ka/529>

<http://conferenceconomics.tsu.ge/?>

<http://conferenceconomics.tsu.ge/>

The current problems and the ways of development of the universal health care state program

Abstract

In the paper „The current problems and the ways of development of the universal health care state program”, there are indicated the role and the importance of this program, also the activities of involved institutions are mentioned. Health insurance is always current issue, without any doubt.

The universal health care state program is functioning in Georgia from 2013. Because of this year is 10th anniversary of this program, we decided this subject for our research. Besides, the popularity of the subject is due to the health insurance as special business activity of insurance.

Therefore, the government of Georgia has done a lot of things for the development of the program during the last 10 years, still there are problems which are obstacles for the development of the program:

1. personnel
2. The sophistication of the legislature
3. More involvement of pharmacies and the regulation of the prices of drugs
4. More control on the hospitals

The training of There are also shown the results of the survey and the statistics:

1. The trainings for workers
2. Affordable drugs

3. Restrictions of the control in hospitals
4. Shortlisting/training of workers in hospital
5. Special offers according to the needs

Taking all of these into consideration will decrease the problems of the program around the country.

There are also indicated the viewpoints and advice of the authors, which are seen from the scientists' point of view and using them practically will help the improvement of the certain domain.

Keywords: state program, health care, medical institutions.

წრთობის გავლენა პოლიკრისტალური ვანადიუმის დინამიურ მექანიკურ თვისებებზე

ირაკლი ტაბატაძე¹, ია ყურაშვილი¹, ინგა ჯანელიძე², გიორგი დარსაველიძე¹

¹სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შესწავლილია მაღალ ტემპერატურებზე წრთობის გავლენა პოლიკრისტალური ვანადიუმის გრებიტი რხევების მიღევის ლოგარითმული დეკრემენტის და ძვრის დინამიური მოდულის ცვლილებათა კანონზომიერებები ამპლიტუდური დეფორმაციის 10^{-5} - 10^{-3} ინტერვალში. განსაზღვრულია ამპლიტუდური დეფორმაციის კრიტიკული მნიშვნელობები, რომლებზედაც იწყება დისლოკაციების სეგმენტების მოწყვეტა დამაგრების სუსტი და ძლიერი ცენტრებიდან. ფიქსირებულ 700 და 900°C ტემპერატურებზე ხანმოკლე (20წთ) მოწვისა და შემდგომი წრთობით ოთახის ტემპერატურაზე მოსალოდნელია მინარევების კონცენტრაციის შემცირება დისლოკაციების გარემომცველ კოტრელის ატმოსფეროში. აღნიშნულ ცვლილებებს შეუძლიათ განაპირობონ დისლოკაციების ბლოკირების კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციისა და ძვრის დინამიური მოდულის შესამჩნევი შემცირება და რხევების ენერჯის შთანთქმის ინტენსივობის ძლიერი ზრდა რხევის ამპლიტუდების ფართო დიაპაზონში. ვანადიუმის სტრუქტურაში არსებული დისლოკაციების გარემომცველი კოტრელის ატმოსფეროს შედგენილობის კონცენტრაციულმა ცვლილებებმა განაპირობეს დრეკადობის ზღვრის სიმრავლეთა წარმოქმნა. მიღებული შედეგები ცხადყოფს მაღალი ტემპერატურებიდან წრთობით ვანადიუმის დისლოკაციური სტრუქტურის ძვრადობის ცვლილების შესაძლებლობებს, რაც წარმოადგენს მექანიკური თვისებების მართვის საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: ვანადიუმი, ძვრის მოდული, წრთობა, დრეკადობის ზღვარი, ამპლიტუდური დეფორმაცია.

შესავალი

მაღალი ტემპერატურებიდან წრთობით შესაძლებელია ვანადიუმის კრისტალურ მესერში არსებული დისლოკაციური სტრუქტურის დამახასიათებელი მინარევების ატმოსფეროების შედგენილობისა და კონფიგურაციის ცვლილებები. რაც მაღალია წრთობის ტემპერატურა, მით უფრო გაღარიბებულია ატმოსფერო ტექნოლოგიური O, C და N მინარევებისაგან და ამალეებულია ვაკანსიების კონცენტრაცია. ასეთ პირობებში ვანადიუმის სტრუქტურაში შესაძლებელია წარმოიქმნას სხვადასხვა დონის პოტენციალური ბარიერები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული ენერგეტიკული მახასიათებლებით განახორციელებენ დისლოკაციების ბლოკირებას გარეშე მექანიკური დატვირთვების პირობებში.

ვანადიუმის წვრილდისპერსული სტრუქტურისათვის, რომელიც ფორმირდება მდნარი მდგომარეობიდან სწრაფი წრთობით, ფიქსირებულია შინაგანი ხახუნის რთული შედგენილობის ტემპერატურული სპექტრი O, C და N –თან დაკავშირებული ურთიერთზედებული მაქსიმუმებით და ოთახის ტემპერატურის პირობებში ძვრის მოდულისა და შინაგანი ხახუნის ტემპერატურული დამოკიდებულებების ზიგზაგისებური ცვლილებები [1]. დისლოკაცია დამაგრების წერტილოვანი ცენტრების რთული სტრუქტურა შესაძლებელია შეიქმნას ასევე რადიაციული დასხივების პროცესებში. ასეთ პირობებში დისლოკაციური სტრუქტურა და მექანიკური თვისებების მოდიფიცირება შესწავლილია ნაშრომებში [2,3]. სტრუქტურული მახასიათებლების მოდიფიცირების შესაძლებლობები გამოკვლეულია Ti და Cr -ით ლეგირებული ვანადიუმის პოლიკრისტალურ ნიმუშებში [4].

ექსპერიმენტული მეთოდები

კვლევის ობიექტად შერჩეულია ინერტულ გაზებში (He, Ar) რკალური დნობით მიღებული ვანადიუმის სხმულები. კვლევისათვის საცდელი პროფილირებული ნიმუშები მომზადდა ალმასის დისკზე დაჭრისა და შემდგომი ხეხვისა და პოლირების სტანდარტული მეთოდით. ოპტიკური მიკროსკოპზე NMM-80RF/TRF მეტალოგრაფიული კვლევით დადგინდა, რომ პოლიკრისტალური სტრუქტურის მარცვლის ზომები იცვლებიან $0,5 - 5$ მკმ. ინტერვალში.

დინამიური ძვრის მოდული და გრეხითი რხევების მიღების ლოგარითმული დეკრემენტი განისაზღვრა ოთახის ტემპერატურაზე სიხშირის $0,5 - 5,0$ ჰც და ამპლიტუდური დეფორმაციის $10^{-5}-10^{-3}$ დიაპაზონებში. ძვრის მოდულის აბსოლუტური მნიშვნელობა შეფასებულია ეტალონთან (ელექტროლიტური ცირკონიუმი) შედარების მეთოდით [5].

$$G = G_0 \frac{f^2}{f_0^2},$$

სადაც G_0 და f_0 წარმოადგენენ ეტალონური ნიმუშის ძვრის მოდულსა და გრეხითი რხევის სიხშირეს. G და f არის საცდელი ნიმუშის ასეთივე მახასიათებლები.

რხევების სიხშირისა და მიღების ლოგარითმული დეკრემენტის განსაზღვრა სრულდებოდა დაბალი სიხშირული შინაგანი ხახუნის მზომ ლაბორატორიულ დანადგარზე ვაკუუმში $\sim 10^{-4}$ ტორი. ნიმუშების წრთობა განხორციელდა თხევად აზოტში გაცივებით ვაკუუმში $\sim 10^{-4}$ ტორი. წრთობის $1230^\circ C$ ტემპერატურაზე საცდელი ნიმუშები ყოვნიდებოდა 10 წთ-ის განმავლობაში.

ექსპერიმენტული შედეგები და განსჯა

პოლიკრისტალური ვანადიუმის მიკროსტრუქტურაში დისლოკაციების სიმკვრივე მაღალია როგორც მარცვლის შიდა, ასევე მარცვალთა შორის არსებულ სასაზღვრო ზონაში. ორივე ტიპის დისლოკაცია გარშემორტყმულია ტექნოლოგიური მინარევების კოტრელის ატმოსფეროებით. მათი უმთავრესი მდგენელებია O, C და N ელემენტების ატომები. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საცდელი ნიმუშების დინამიური მექანიკური მახასიათებლები, კერძოდ, ძვრის დინამიური მოდულის აბსოლუტური სიდიდე, საგრძნობლად განსხვავდება თანამდებრივად დეფექტებისგან თავისუფალი ვანადიუმის კრისტალის დამახასიათებელი ძვრის მოდულისაგან.

თერმული დამუშავებით (მაღალ ტემპერატურაზე მოწვა, წრთობა) შესაძლებელია ნიმუშის დისლოკაციური სტრუქტურის დამამუხრუჭებელი ატმოსფეროების შემადგენელი მინარევების პროცენტული შემცველობის ცვლილება და, შესაბამისად, დისლოკაციური სტრუქტურის ძვრადობის რეგულირება. ეს შესაძლებლობები ასახვას პოულობენ სტრუქტურულადმგრძნობიარე მექანიკური თვისებების მახასიათებლების ცვლილებებში. საწყის მდგომარეობაში საცდელი ნიმუშის გრეხითი რხევების დაბალ ამპლიტუდათა დიაპაზონში ($\sim 10^{-5}$) რხევის სიხშირის განსაზღვრით შეფასებული იქნა ძვრის მოდულის აბსოლუტური მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება მინარევებით ბლოკირებულ დისლოკაციურ სტრუქტურას. ამის შემდგომი გახურება 700°C - მდე, დაყოვნება 20წთ და წრთობა ოთახის ტემპერატურაზე განაპირობებენ საცდელი ნიმუშის ახალ სტრუქტურულ მდგომარეობას, რომელშიც დისლოკაციური სტრუქტურების გარემომცველი მინარევების ატმოსფეროები ნაწილობრივ გადარიბებულია O, C და N მინარევების ატომებისგან. მათი განსაზღვრული რაოდენობა დიფუზიით გადაინაცვლებს მყარ ხსნარში, შესაბამისად შესუსტდება ბმები ცალკეული მერხევი დისლოკაციური სეგმენტის. ეს გარემოება ექსპერიმენტულად გამოვლენილია ძვრის დინამიური მოდულის შემცირებაში (ცხრ. 1).

წრთობის გავლენა პოლიკრისტალური ვანადიუმის დინამიურ მექანიკურ მახასიათებლებზე
ცხრილი 1


ნიმუშის მდგომარეობა	პირველი კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაცია, 10^{-5}	მეორე კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაცია, 10^{-5}	ძვრის დინამიური მოდული, კგ/მმ ²	დრეკადობის ზღვარი კგ/მმ ²
საწყისი	85	—	8000	6,8
წრთობა 700°C	40	55	7600	3,04
წრთობა 950°C	25	45	7000	1,75

დაბალ სიხშირული პერიოდული ძაბვის ველში დისლოკაციის სეგმენტი გადალახავს მინარევების ლოკალიზებულ ველებს და გარეშე ძაბვის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, კვლავ

უბრუნდება წონასწორობის საწყის მდგომარეობას. წრთობით მცირდება დისლოკაციებზე არსებული ბმების ცენტრებს შორის მანძილი, რითაც მცირდება დისლოკაციური სეგმენტის მოძრაობის პოტენციალური ბარიერი. ასეთ პირობებში ძვრის დინამიური მოდული შემცირდება შედარებით ნაკლები სიდიდით.

წრთობის ტემპერატურის ამაღლებით 950°C -მდე კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გადადიან მყარ ხსნარში O, C და N ატომები. შესაბამისად იზრდება ცალკეულ დისლოკაციაზე ბმების ცენტრებს შორის მანძილი. ამით სუსტდება დისლოკაციური სეგმენტებისადმი მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერი და სეგმენტების გადაადგილება განხორციელდება შედარებით მეტ მანძილზე. ასეთ პირობებში დისლოკაციური სეგმენტების მოწყვეტა - დამაგრების პროცესი კვლავ შექცევადია ე.ი. არ ვლინდება მიკროპლასტიკური დეფორმაცია, ხოლო ატომთა შორის კავშირის ძალების პროპორციული ძვრის დინამიური მოდული განიცდის დამატებით შემცირებას.

საცდელი ნიმუშების წრთობის შედეგად ძვრის დინამიური მოდულის შემცირების მიზეზების გამოსაკვლევად შესწავლილია გრეხითი რხევების ამპლიტუდის ფართო დიაპაზონში რხევების მიღევის ლოგარითმული დეკრემენტისა და სიხშირის კვადრატის ცვლილებათა კანონზომიერებანი. რხევის ამპლიტუდის მცირე მნიშვნელობებზე რხევების მიღევის პროპორციული შინაგანი ხახუნის ინტენსივობა მინიმალურია და პრაქტიკულად დამოუკიდებელია ამპლიტუდის სიდიდისაგან (ნახ.1,1). მისი მეტად სუსტი მატება რხევათა მაღალ ამპლიტუდებზე განპირობებულია დისლოკაციური სეგმენტების შექცევადი რხევითი მოძრაობით კრისტალური მესრის მოცულობაში არსებული ვაკანსიებისა და ქაოსურად განაწილებული მინარევების ველში.



ნახ.1.წრთობი პოლიკრისტალური ვანადიუმის შინაგანი ხახუნის ინტენსივობის ამპლიტუდური დამოკიდებულება
1.საწყისი; 2-წრთობა, 700°C ; 3. წრთობა 950°C .


რხევის ამაღლებულ ამპლიტუდებზე აღწერილ ურთიერთქმედებაში მონაწილე წერტილოვანი დეფექტების კონცენტრაცია ასევე იზრდება, რაც განაპირობებს შინაგანი ხახუნის ფონის სუსტი ზრდის გამოვლინებას. ექსპერიმენტული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საწყის მდგომარეობაში დისლოკაციების მერხევი სეგმენტები მეტად ძლიერად არიან დამაგრებული წერტილოვანი დეფექტების (O, C და N) ატმოსფეროში.

700°C ტემპერატურაზე 20წთ დაყოვნებული ნიმუშის სტრუქტურაში ხორციელდება დისლოკაციებთან არსებული ატმოსფეროდან მინარევების ატომების განსაზღვრული რაოდენობით გადასვლა მყარ ხსნარში. ეს იწვევს დისლოკაციების მერხევი სეგმენტების სიგრძის ზრდას. შესაბამისად იზრდება გარეშე ძაბვის გავლენით მათი გადაადგილებით აღწერილი ფართობი და ენერჯის დანაკარგი ანუ შინაგანი ხახუნის ინტენსივობა. რომელიღაც ფიქსირებულ ამპლიტუდაზე დისლოკაციური სეგმენტი მოწყდება დამაგრების წერტილოვან ცენტრს და გადაადგილდება უფრო დიდ მანძილზე. ასეთ პირობებში მკვეთრად გაიზრდება რხევების ენერჯის შთანთქმის პროპორციული შინაგანი ხახუნის ინტენსივობა (ნახ1,2). ამპლიტუდის კიდევ უფრო მეტად გაზრდა ავლენს კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციის მეორე მნიშვნელობას, რომლის ზემოთ შინაგანი ხახუნის ინტენსივობა ანომალურად ძლიერად იზრდება. ლიტერატურის თანახმად [6]. მეორე კრიტიკული ამპლიტუდა დაკავშირებულია მასალის სტრუქტურაში ძლიერი დამამუხრუჭებელი ცენტრების არსებობასთან (მიკროფაზები, დისლოკაციების გადაკვეთაზე წარმოქმნილი კვანძები).

წრთობის ტემპერატურის გაზრდა 900°C -მდე კიდევ უფრო მეტად ზრდის შინაგანი ხახუნის ინტენსივობას რხევის ამპლიტუდის ფართო დიაპაზონში, საგრძნობლად ამცირებს ამპლიტუდური დეფორმაციის ორივე კრიტიკულ მნიშვნელობას და რაც მეტად არსებითია, ავლევს შინაგანი ხახუნის ჰისტერეზის რხევის ამპლიტუდის მნიშვნელობების შემცირების პირობებში (ნახ.1,3). შეიმჩნევა ასევე მინიმალურ ამპლიტუდებზე შინაგანი ხახუნის ინტენსივობის ნამატი ანუ მიკროპლასტიკური დეფორმაცია. ეს უკანასკნელი განპირობებულია დამაგრების ძლიერი ცენტრებიდან დისლოკაციური მერხევი სეგმენტის მოწყვეტით და შეუქცევადი გადაადგილებით კრისტალურ მესერში რამდენიმე ათეული ანგსტრემის რიგის მანძილზე [2]. აღნიშნული ხასიათის არადრეკადობის გამოვლინება უპირატესად გამოწვეულია მინარევების ატმოსფეროების გაღარიბებით და მერხევი დისლოკაციური სეგმენტების სიგრძის მკვეთრად გაზრდით. შექცეული ეფექტი ანუ მასალის განმტკიცება (მექანიკური მოდულის ამაღლება, კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციის ზრდა) დაიმზირება ნაწრთობი ნიმუშების თერმული მოწვეების შემდეგ ტემპერატურულ ინტერვალში(300 – 900°C). მოწვით მინარევების ატომების განსაზღვრული რაოდენობა მყარი ხსნარიდან გადაინაცვლებს დისლოკაციების ირგვლივ არსებულ ატმოსფეროში და იწვევს მერხევი სეგმენტების დამოკლებასა და ბლოკირების გაძლიერებას. ვანადიუმის კრისტალურ მესერში ატომთაშორისი მანძილების ცვლილება ვლინდება მექანიკური მოდულების, განსაკუთრებით ძვრის დინამიური მოდულის გაზრდით. სტრუქტურულად მგრძობიარე მექანიკური მოდულების სიდიდეებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დისლოკაციური სტრუქტურის მდგომარეობა (დისლოკაციების სიმკვრივე, კოტრელის ატმოსფეროს

გაჯერების ხარისხი), რომელიც შესაძლებელია იმართოს გარეშე ფაქტორებით (რადიაციული ზემოქმედება, თერმული დამუშავება, დეფორმაცია ფართო ტემპერატურულ ინტერვალში).

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ვანადიუმის დისლოკაციური სტრუქტურის მოდიფიცირებისათვის გამოყენებულია წრთობის მეთოდი. ძვრის დინამიური მოდულის სიდიდე გრეხითი რხევების მცირე ამპლიტუდებზე აღმოჩნდა შედარებით მაღალი ნიმუშის საწყის მდგომარეობაში. ის ამპლიტუდური დეფორმაციის ფართო ინტერვალში პრაქტიკულად უცვლელია. წრთობა ავლენს ძვრის მოდულის შემცირებას, რომლის წრფევად ცვალებადობის დახრილობა იზრდება კრიტიკული ამპლიტუდური დეფორმაციის ორივე მნიშვნელობებზე (ნახ.2).



ნახ.2. წრთობის გავლენა პოლიკრისტალური ვანადიუმის ძვრის დინამიურ მოდულზე
1.საწყისი; 2-წრთობა, 700°C; 3. წრთობა 950°C.

900°C ტემპერატურაზე წრთობის შემდეგ ვლინდება ძვრის დინამიური მოდულის ჰისტერეზისი, რომლის ბოლო ეტაპზე ფიქსირდება მოდული შემცირებული სიდიდით. წრთობის შედეგად შექმნილი დისლოკაცია - ატმოსფეროს ახალი მდგომარეობა განაპირობებს მიკროპლასტიკურ დეფორმაციასა და დისლოკაციების სტრუქტურაში კონფიგურაციული ცვლილებების შეუქცევადობას.

ექსპერიმენტულმა კვლევამ გამოავლინა მაღალ ტემპერატურებზე წრთობით პოლიკრისტალური ვანადიუმის დისლოკაციური სტრუქტურის შექცევადი ცვლილებები, განპირობებული დისლოკაციების გარემომცველი კოტრელის ატმოსფეროს კონცენტრაციული და კონფიგურაციული მოდიფიცირებით.

ლიტერატურა

1. О.Ш. Окросцваридзе, Г.Ш.Дарсавелидзе, Г.Ф. Тавадзе.Сообщения АН ГССР, т.109, N2, 1983,285 – 288.
2. Б.К.Кардашев, В.М. Чернов.ФТТ том 50, вып.5, 2008, 820 – 825
3. Л.С. Данелян, С.Н. Коршунов,А.Н. Мансуров.Вопросы атомной науки и техники. Серия Термоядерный синтез, вып.2,2011, 46 -52.
4. V.M. Chernov, B.K. Kardashev, L.M.Krjukova,L.J.Mamaev.J.Nuklear Materials,257,1998, 363 – 273
5. С.А.Головин ,А.Пушкар, Д.М. Металлургия,1987, 192с.
6. М.А. Криштал, С.А. Головин. Внутреннее трение и структура металлов.М.:Металлургия, 1976,376с.
7. М.С. Блантер, Ю.В. Пигузов, Г.М. Ашмарин. Метод внутреннего трения в металловедческих исследованиях.М.: Металлургия,1991,248с.

Effect of quenching on the dynamic mechanical properties of polycrystalline vanadium

I.Tabatadze¹, I.Kurashvili¹, I.Janelidze², G.Darsavelidze¹

¹ Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology

² Georgian Technical University

Abstract

The effect of quenching at high temperatures on the regularities of changes of the logarithmic decrement of the torsional oscillations damping and the dynamic shear modulus in the 10^{-5} - 10^{-3} interval of strain amplitude in polycrystalline vanadium has been studied. The critical values of the strain amplitude, at which the dislocations segments begin to breakaway from the weak and strong pinning centers have been determined. After short annealing (20 min.) at fixed temperatures of 700 and 900° C and subsequent quenching at room temperature a decrease of impurity concentration in Cottrell atmosphere around the dislocations is achieved. These changes led to a significant reduction of the critical strain amplitude of dislocations blocking and the dynamic shear modulus, and a strong increase in the intensity of energy absorption in a wide range of oscillations amplitudes. The concentration changes of the Cottrell atmosphere around the dislocations led to the formation of several values of elastic limits.

The obtained results reveal the possibilities of changing the mobility of the dislocation structure by quenching from high temperatures, which is the basis for controlling of the mechanical properties of vanadium.

Keywords: vanadium, shear modulus, quenching, elastic limit, strain amplitude.

The Spectrum of Diseases in Hospitalized Frequently ill Children

Irine Korinteli, Irma Korinteli

Tbilisi State Medical University, Child and Adolescence Medicine Department, Tbilisi, Georgia

BACKGROUND: Frequent illness in children is a very common problem in preschool and early childhood, and they are often referred to pediatricians. Especially respiratory diseases are the cause of frequent morbidity in children. Children with a history of recurrent or unusual infections present a diagnostic challenge/1/. Detection of etiology is very important for achieving appropriate diagnosis and treatment of these patients/6/.

Frequent childhood morbidity includes eight or more documented respiratory tract infections per year in preschool children and six or more in children over three years of age/4/; Remarkable morbidity with non-specific infectious agents; the presence of rare complications; and permanent laboratory changes /2/.

Recurrent infections in children are a cause for concern/3/. It is estimated that a total of 10–15% of children experience recurrent respiratory tract infections/4/. Recurrent respiratory tract infections are very common in children and a major challenge for pediatricians/5/.

Frequent morbidity in pediatric patients represents a heavy financial burden for public and private insurance systems /7/.

The majority of re hospitalized children are treated with antibiotics in the hospital, which increases the risk of antimicrobial resistance. /8/.

Frequent morbidity in children may be associated with an inborn error of immunity; therefore, timely diagnosis is crucial /6/.

Based on the above, it is appropriate to determine the spectrum of frequently hospitalized patients.

The aim of our study was to determine the spectrum of frequent illnesses in hospitalized pediatric patients.

METHODS: The study was retrospective and randomized. The data of pediatric patients hospitalized at Tbilisi State Medical University's G. Zhvania Pediatric Academic Clinic from December 2018 to December 2019 was studied. We randomly selected every third patient from the total number. Among them was separated the data of patients who were hospitalized two or more times during the past year and detected the spectrum of disease and length of stay in hospital. Microsoft Excel software was used for data processing.

RESULTS: From a total of 678 patients, 226 inpatients' medical data were randomly selected (every third). The age of selected patients was 1 month to 5 years; males were 118/52,2%/ and females were 108/47,7%/. Among them, all 47 /20.7%/ patients were re-hospitalized. 30/63.8%/ was hospitalized two times, and 17/36.1%/ had more than two hospitalization. Respiratory infections were most often reason for repeated referrals. 35/15,4%/ of cases; next place urinary tract infection: 12/5,5%/ of cases and coexisting conditions 14/6,1%/.

Information of re-hospitalized patients, based on diagnoses and coexisting conditions are included in Table N1.

Table N1. Information of re-hospitalized patients, based on diagnoses and coexisting conditions

N	diagnose	quantity	%/ from 226/
1.	Acute upper respiratory infection	4	1,7%
2.	Acute bronchitis	7	3,0%
3.	Acute bronchiolitis	11	4,8%
4.	Acute tonsillitis	5	2,2%
5.	pneumonia	8	3,5%
6.	urinary tract infection	12	5,5%
7.	Coexisting Conditions	14	6,1%

The majority of re-hospitalized patients (29/61,7%) were treated in the intensive care unit.

The length of stay in the clinic of the majority of re-hospitalized patients (32/68,0%) was 7-9 days. Co-existing diseases were identified with acute bronchiolitis, pneumonia, and urinary tract infections, in particular

- Atrial septal defect: 6/54,5% of cases; re hospitalization with bronchiolitis
- Ventricular septal defect: 3/37,5% of cases; re hospitalization with pneumonia
- Congenital vesico-uretero-renal reflux (5/41.6%) cases re hospitalization with urinary tract infection.

DISCUSSION: We studied the spectrum of disease in frequently hospitalized children. According to our data, 1/5 of patients admitted to pediatric clinics during one year were re- hospitalized.

Among re-hospitalized patients, two times more hospitalizations are noteworthy. The most frequent reason for repeated hospitalization is respiratory infections. Our data is the same as that of another authors /3,4,5/.

A significant number of re-hospitalized patients are treated in intensive care unit. For repeatedly hospitalized patients, the duration of treatment in the clinic is prolonged.

A high rate of repeat referrals may indicate some gaps in the healthcare system and has a negative impact on the economic development of the country.

CONCLUSIONS: A frequency of two or more hospitalizations within one year is noteworthy. Recurrent respiratory tract infections are the most common cause of morbidity. In the case of repeated infections, the length of stay in the hospital is prolonged. The high frequency of repeated referrals indicates the existence of a likely immunodeficiency condition in the children's population. It is recommended to produce more clinical research in this direction, and it is very important to select a group of children who may have primary immunodeficiency

KEY WORDS: Children; Recurrent infections; Spectrum of diseases

REFERENCES:

1. Ballou M .Approach to the patient with recurrent infections./Clin Rev Allergy Immunol. 2008;34(2):129.
2. Seidel MG, Kindle G, Gathmann B... The European Society for Immunodeficiencies (ESID) registry working definitions for the clinical diagnosis of inborn errors of immunity. J Allergy Clin Immunol Pract 2019; 7: 1763–1770.
3. Hernandez-Trujillo VP Approach to Children with Recurrent Infections. Immunol Allergy Clin North Am. 2015;35(4):625. Epub 2015 Sep 4.
4. Gerard Pasternak, Aleksandra Lewandowicz-Uszyńska, Barbara Królak-Olejniak. Recurrent respiratory tract infections in children/Pol Merkur Lekarski. 2020 Aug 22;49(286):260-266.
5. E Nazzari 1, S Torretta, L Pignataro, P Marchisio, S Esposito. Role of biofilm in children with recurrent upper respiratory tract infections/Eur J Clin Microbiol Infect Dis. 2015 Mar;34(3):421-9.
6. S Yousefzadegan , M Tavakol , H Abolhassani , A Nadjafi, S Mansouri , R Yazdani, G Azizi, B Negahdari, N Rezaei, A Aghamohammadi.. Systematic investigation for underlying causes of recurrent infections in children: surveillance of primary immunodeficiency/ Eur Ann Allergy Clin Immunol. 2018 Mar;50(2):72-80.
7. Taha Ahmed, Xu Huiping, Ahmed Roaa... Medical and economic burden of delirium on hospitalization outcomes of acute respiratory failure: A retrospective national cohort, Medicine 102(2): p e32652, January 13, 2023
8. Yingfen Hsia, Brian R Lee, Ann Versporten... Use of the WHO Access, Watch, and Reserve classification to define patterns of hospital antibiotic use (AWaRe): an analysis of paediatric survey data from 56 countries, The Lancet Global Health, Volume 7, Issue 7, July 2019, Pages e861-e871.

ჰოსპიტალიზირებულ პედიატრიულ პაციენტებში ხშირად მოავადე ბავშვების დაავადებების სპექტრი

ირინე კორინთელი, ირმა კორინთელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი

აბსტრაქტი

აქტუალობა: ბავშვთა ასაკში ხშირი ჰოსპიტალიზაცია სასუნთქი სისტემის ინფექციებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას თანამედროვე მედიცინისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განისაზღვროს დაავადებების სპექტრი, რომელიც არის ხშირი ჰოსპიტალიზაციის მიზეზი.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ჰოსპიტალიზირებულ პედიატრიულ პაციენტებში ხშირი დაავადებების სპექტრის დადგენა.

კვლევის მეთოდები: კვლევა არის რეტროსპექტული და რანდომიზებული. შესწავლილი იყო თსსუ გ.ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით ჰოსპიტალიზებული პედიატრიული პაციენტების მონაცემთა ბაზა. გამოვყავით ორ ან მეტი ჰოსპიტალიზებული პაციენტების მონაცემები და მათგან რანდომულად შერჩეულ ყოველ მესამე პაციენტის ჰოსპიტალიზაციის დიაგნოზი იყო შესწავლილი სტატისტიკურად.

შედეგები: სულ 678 პაციენტიდან შეირჩა 226 სტაციონარული სამედიცინო მონაცემი. მათ შორის 47 /20,7%/ პაციენტი ჰოსპიტალიზირებული იყო ორჯერ ან მეტჯერ ერთი წლის განმავლობაში. რესპირატორული ინფექციები იყო ყველაზე ხშირად განმეორებითი მიმართვის მიზეზი (35/15,4%), შემდეგ საშარდე გზების ინფექციები (12/5,3%). განმეორებით ჰოსპიტალიზებული პაციენტების უმრავლესობა (29/61,7%) მკურნალობდა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. განმეორებით ჰოსპიტალიზებული პაციენტებიდან (32/68,0%) დაყოვნდა 7-9 დღე.

დასკვნა: განმეორებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები კლინიკურ პრაქტიკაში არის საყურადღებო. ჰოსპიტალიზაციის მიზეზი უმეტესად არის სასუნთქი გზების ინფექცია. განმეორებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებში მაღალია ინტენსიური თერაპიაში მკურნალობის სიხშირე და სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობა.

საკვანძო სიტყვები: ბავშვები, ხშირი ავადობა, დაავადებების სპექტრი.

ამფიცეზინის ლიპოსომური და პოლიმერული ნანონაწილაკების ტექნოლოგია ალიოზა ბაკურიძე¹, ირაკლი ნადირაძე², ნოდარ ჩიგოჯიძე³

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი; ²საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა გიდმედი; ³საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამფიცეზინის ლიპოსომები მივიღეთ ლიპიდური ფენის ჰიდრატაციით. ლიპოსომების მომზადებისათვის ავიღეთ ამფიცეზინი, სოიოს ლეციტინი (Lipoid, გერმანია), ქოლესტერინი (Sigma-Aldrich, იაპონია), შემდეგი მოლარული თანაფარდობით: 1:50:10 და გავხსენით ქლოროფორმში. მიღებული ხსნარი გადავიტანეთ მრგვალდირიან კოლბში და გამხსნელი ავართქლეთ გაიშვიათების პირობებში 50°C ტემპერატურაზე. წარმოიქმნა ნახევრად გამჭვირვალე ფირფიტა, რომლის შრობა ქლოროფორმის სრულ მოცილებამდე განვახორციელეთ ასევე გაიშვიათების პირობებში. ფირფიტის ჰიდრატაცია მოვახდინეთ მასზე გამოხდილი წყალის დამატებით, შედეგად წარმოიქმნა მრავალფენიანი ლიპოსომა ამფიცეზინის კონცენტრაციით 5მგ/მლ-ში. ლიპოსომური მასა დავამუშავეთ ულტრა სონიკატორით (1400 ბრ/წთ-ში) და გავფილტრეთ 0,2მკმ დიამეტრის ფორების მქონე მემბრანაში (Whatman, დიდი ბრიტანეთი).

კრიოპროტექტორის სახით შევარჩიეთ საქაროზა იზომალტი (ქიმიურად სუფთა, დიდი ბრიტანეთი).

ლიპოსომების ზომების განსაზღვრა ვაწარმოეთ ელექტრონული ემისიური მიკროსკოპის გამოყენებით.


მომზადებული ნიმუშების ხარისხზე ვმსჯელობდით ვეზიკულების ზომებით და ძეტა-პოტენციალით.

შედეგები. კრიოპროტექტორის ლიპოსომური ფორმების შემადგენლობაში შეტანის სტადიის მიხედვით გაანალიზდა 3 ტექნოლოგიური სქემა. შედეგები მოყვანილია N1 ცხრილში.

ამფიცეზინის ლიპოსომური ფორმის მიღების ტექნოლოგიების შედარებითი ანალიზი

მახასიათებლები		ტექნოლოგია		
		1	2	3
კრიოპროტექტორის შეტანის სტადია		ლიპიდური ფირფიტის ჰიდრატაცია	ლიპიდური ფირფიტა ჰიდრატაციის შემდეგ	სონიკატორით დამუშავებისა და გაფილტვრის შემდეგ
მრავალფენიანი ლიპოსომების ხარისხის მაჩვენებლები	ვეზიკულების ზომები, ნმ	210±10	315±17	460±20
	ζ პოტენციალი, მვ	-(21,4±1,0)	-(25,2±1,3)	-(22,9±1,6)
ერთფენიანი ლიპოსომების ხარისხის მაჩვენებლები	ვეზიკულების ზომები, ნმ	145±8	1860±12	174±18
	ζ პოტენციალი, მვ	-(17,9±1,4)	-(20,0±1,5)	-(19,1±1,3)

N1 ცხრილიდან ჩანს, რომ კრიოპროტექტორის შეტანა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლიპოსომების ხარისხის მაჩვენებლებზე. ოპტიმალური შედეგები მიღებულია, როდესაც კრიოპროტექტორი შეგვაქვს ლიპიდური ფირფიტის ჰიდრატაციის სტადიაზე. ამ შემთხვევაში მრავალფენიანი და ერთფენიანი ლიპოსომების ზომები შეადგენს 190 და 163 ნმ-ს შესაბამისად.



სურათი N1. ერთფენიანი ლიპოსომების მიკროსკოპული სურათები

საბოლოო პროდუქტზე ელექტრონული ემისიური მიკროსკოპით გადაღებული სურათები (სურ. N1) მოწმობენ, ლიპოსომური ნანონაწილაკების ფორმირებას. ნაწილაკები არის გლუვი ზედაპირის მქონე, სფეროს ან ელიპსური ფორმის, ამასთან, არ ფიქსირდება ნაწილაკების აგრეგაცია. აღსანიშნავია, რომ მიკროსკოპული შედეგები თანხვედრაშია ნანოსაიზარით მიღებულ შედეგებთან, კერძოდ, ნაწილაკების ზომა 140-210 ნმ-ის ფარგლებშია. ცალკეული, შედარებით დიდი ზომის ნაწილაკების არსებობა, განპირობებულია მიკროსკოპისთვის ნიმუშების მომზადების სპეციფიკით, რაც მოიცავს ნიმუშზე მაღალი სიჩქარით ელექტრონული ნაკადის ზემოქმედებას ვაკუუმის ქვეშ და ცალკე ნანონაწილაკების შემოგარსვას. ყოველივე ეს კი განაპირობებს ნაწილაკების კოალესცენციას.

კვლევის შემდეგ ეტაპზე მოვამზადეთ ამფიცეზინის პოლიმერული ნანონაწილაკები. ტექნოლოგიური პროცესი შედგება 4 თანმიმდევრული სტადიისაგან:

1. პოლირძისმჟავას ხსნარის მომზადება

125 მგ პოლირძისმჟავას ათავსებენ 100მლ მოცულობის კოლბში, ამატებენ 25 მლ აცეტონს და ხსნიან მაგნიტურ შემრევზე შერევით, ოთახის ტემპერატურაზე.

2. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების (ზან) ხსნარის მომზადება

200 მლ მოცულობის კოლბში გადააქვთ 125მგ პოლოქსამერ 188 (ეთილენოქსიდის თანაპოლიმერი პროპილენგლიკოლთან), ამატებენ 50 მლ გამოხდილ წყალს და ხსნიან მაგნიტურ შემრევზე შერევით, ოთახის ტემპერატურაზე.

3. ნანონაწილაკების შემცველი სუსპენზიის მიღება

მაგნიტურ შემრევზე შერევის პირობებში (100 ბრ/წთ) პოლირძისმჟავას აცეტონიან ხსნარში ახდენენ 5მგ ამფიცეზინის დისპერგირებას. მიღებულ აცეტონიან ხსნარს შერევის პირობებში წვრილი ნაკადის სახით ამატებენ პოლოქსამერ 188-ის წყლიან ხსნარს.

4. ნანონაწილაკების შემცველი სუსპენზიის დისპერგირება

ნანონაწილაკების შემცველ სუსპენზიას ამუშავებენ ულტრა სონიკატორით (1400 ბრ/წთ-ში).

კრიოპროტექტორის სახით შევარჩიეთ საქაროზა (ქიმიურად სუფთა, თურქეთი).

ნანონაწილაკების ზომების განსაზღვრა ვაწარმოეთ ელექტრონული ემისიური მიკროსკოპის გამოყენებით.


მომზადებული ნიმუშების ხარისხზე ვმსჯელობდით პოლიმერული ნანონაწილაკების ზომებით და ძეტა-პოტენციალით.

შედეგები. კრიოპროტექტორის (საქაროზას) პოლიმერულ მასაში შეტანის სტადიის მიხედვით გაანალიზდა 4 ტექნოლოგიური სქემა. შედეგები მოყვანილია N2 ცხრილში.

ცხრილი N2

ამფიცეზინის პოლიმერული ნანონაწილაკების მიღების ტექნოლოგიების შედარებითი ანალიზი

მახასიათებლები		ტექნოლოგია			
		1	2	3	4
კრიოპროტექტორის შეტანის სტადია		პოლირძისმქ ავას ხსნარის მომზადება	ზან-ის ხსნარის მომზადება	ნანონაწილაკების შემცველი სუსპენზიის მიღება	ნანონაწილაკების შემცველი სუსპენზიის დისპერგირება
პოლიმერული ნანონაწილაკის ხარისხის მაჩვენებლები	ნანონაწილაკების ზომები, ნმ	230±16	136±12	255±20	346±24
	ζ პოტენციალი, მვ	-(7,6±1,4)	-(4,6±1,2)	-(8,3±1,6)	-(12,4±1,8)
პოლიმერული ნანონაწილაკის ხარისხის მაჩვენებლები კრიოპროტექტორის შეტანის შემდეგ	ნანონაწილაკების ზომები, ნმ	210±9	125±7	235±10	290±15
	ζ პოტენციალი, მვ	-(6,5±1,5)	-(4,0±1,0)	-(7,1±1,2)	-(8,7±1,5)



სურათი N2. პოლიმერული ნანონაწილაკის მიკროსკოპული სურათი

მიკროსკოპული სურათი (სურ. N2) ადასტურებს ნანონაწილაკების ფორმირებას. ნაწილაკები არის გლუვი ზედაპირის მქონე, ოთხკუთხა ფორმის, ამასთან, არ ფიქსირდება ნაწილაკების აგრეგაცია. აღსანიშნავია, რომ ნაწილაკების ზომა 200-230 ნმ-ის ფარგლებშია.

ლიტერატურა:

Dmitreva M., Shprak Z., Orlova O., Ignatyeva E., Lantsova A., Nikolaeva L., Krasniuk I. Selection of the composition of a liposomal dosage form of a Russian somatostatin analogue with antitumor activity. International journal of applied pharmaceutics. 2020:12(6):65-68

შედულებითი ნაკერის სიმტკიცის პარამეტრების კვლევა

ნინო დოლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

პროფესორი

ORCID: 0000-0003-0142-7463

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ულტრაბგერით შედულებითი ნაკერის სიმტკიცის პარამეტრების კვლევა ხელოვნური ბეწვის მაგალითზე. საფეიქრო ნედლეულის ბაზის ცვლილების დამახასიათებელ ტენდენციას, მსოფლიოს ყველა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში, წარმოადგენს ქიმიური ბოჭკოების წარმოებისა და მოხმარების განუხრელი ზრდა, რასაც განაპირობებს ქიმიური ბოჭკოების მთელი რიგი უპირატესობები, კერძოდ, ქიმიური ბოჭკოების მნიშვნელოვანი თვისებები. ნედლეულის ბაზის სიიაფე და ხელმისაწვდომობა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ახალი, ქიმიური ბოჭკოს შემცველი საფეიქრო მასალების გამოყენებამ ტრადიციული ძაფის მეთოდით ტანსაცმლის დამზადების დროს წარმოქმნა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილი გახდა ქიმიური ბოჭკოს შემცველი ქსოვილისაგან სამკერვალო ნაწარმის დამზადება შეერთების შედულებითი მეთოდების გამოყენებით, რომელიც ემყარება ამ მასალების თერმოპლასტიურობის თვისებას. წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში ხელოვნური ბეწვის ულტრაბგერითი შედულებითი ნაკერის სიმტკიცის, ნაკერის მიმდებარე უბნის სტრუქტურის ცვლილებისა და შედულებითი ნაკერის სიმტკიცის შემცირების მიზეზების კვლევა განხორციელდა რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ ხელოვნური ბეწვის შედულებითი ნაკერის სიმტკიცის შემცირების მიზეზს წარმოადგენს ნაკერის მიმდებარე ზონის არათანაბარი სტრუქტურა, შედულებითი ნაკერიდან ძირითად მასალაზე მკვეთრი გადასვლა. აღნიშნულის აღმოფხვრა შესაძლებელია ულტრაბგერითი შედულებისათვის გამოყენებული მოწყობილობების მუშა ინსტრუმენტების კონსტრუქციის სრულყოფით.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ბეწვი, შედულება, შედულებითი ნაკერი, ნაკერის სიმტკიცე, დესტრუქცია.

საფეიქრო ნედლეულის ბაზის ცვლილების დამახასიათებელ ტენდენციას, მისოფლიოს ყველა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში, წარმოადგენს ქიმიური ბოჭკოების წარმოებისა და მოხმარების განუხრელი ზრდა ბუნებრივი და სინთეტიკური ნედლეულის ბაზაზე. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ქიმიური ბოჭკოების მთელი რიგი უპირატესობები, კერძოდ, ქიმიური ბოჭკოების მნიშვნელოვანი თვისებები, ნედლეულის ბაზის სიიაფე და ხელმისაწვდომობა. ქიმიური ბოჭკოების გამოყენება დადებითად აისახება ნაწარმის ტექნიკურ- ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მცირდება ნაწარმის თვითღირებულება მისთვის ახალი, ძალზედ მნიშვნელოვანი თვისებების მინიჭების ხარჯზე, რაც შეუძლებელია ბუნებრივი ბოჭკოების გამოყენების დროს.

მომავალში ქიმიური ბოჭკოების ხვედრითი წილი საფეიქრო მასალების საერთო მოცულობაში კიდევ უფრო გაიზრდება. ქიმიური ბოჭკოების წარმოების ტექნოლოგიის ცვლილებით და საწყისი პოლიმერის მოდიფიცირებით, შესაძლებელი იქნება მათი თვისებების რეგულირება და მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვადასხვა სახის ქსოვილებზე. საფეიქრო მასალების ასორტიმენტი კიდევ უფრო გაფართოვდება ქიმიური ბოჭკოების რაციონალური შერევით ბუნებრივ ბოჭკოებთან, რის შედეგადაც შესაძლებელია ბუნებრივი მასალების მნიშვნელოვანი თვისებების გამოყენება და ამასთან ქსოვილებისათვის ქიმიური ბოჭკოებისათვის დამახასიათებელი ლამაზი გარეგნული სახისა და ფორმადგრადობის მინიჭება.

მიუხედავად ქიმიური ბოჭკოების მთელი რიგი მნიშვნელოვანი თვისებებისა, ახალი, ქიმიური ბოჭკოს შემცველი საფეიქრო მასალების ტანსაცმლის დამზადებამ ტრადიციული, ძაფის, მეთოდით წარმოქმნა მთელი რიგი პრობლემები. როგორც ცნობილია თანამედროვე, მაღალ სიჩქარეზე მომუშავე საკერავი მანქანების ნემსი მუშაობის დროს ცხელდება $250^{\circ}-300^{\circ}\text{C}$., ქიმიური ბოჭკო ხასიათდება ლღობის დაბალი ტემპერატურით, $150-200^{\circ}\text{C}$ საზღვრებში, რის გამოც, გახურებულ ნემსთან შეხებით ის ლღვება. ნალღობი ავსებს ნემსის ყუნწს და იწვევს: 1. ძაფის გაწყვეტას, რის გამოც აუცილებელი ხდება ნემსის შეცვლა და ძაფის ხელახალი აგება; 2. უარესდება ნაკერის ხარისხი, ის ხდება უხეში და მსხვრევადი. აუცილებელი ხდება სამკერვალო მანქანის სიჩქარის შემცირება, რაც მოწყობილობის და ს შრომის ნაყოფიერების შემცირებას იწვევს. ამასთან ერთად, აუცილებელია, ტანსაცმლის დამზადებისათვის გამოყენებული ქსოვილის ბოჭკოს ქიმიური შემადგენლობის იდენტური საკერავი ძაფის გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს ნაკერის დანაოჭებას, რაც იწვევს მისი ხარისხის გაუარესებას. აღნიშნული უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია ქიმიური ბოჭკოს შემცველი ქსოვილისაგან სამკერვალო ნაწარმის დასამზადებლად, შეერთების შედეგებითი მეთოდის გამოყენება, რომელიც ემყარება ამ მასალების თერმოპლასტიურობის თვისებას. შედეგებითი შეერთების მეთოდებიდან (მაღალი სიხშირის დენით, თერმოკონტაქტური, ულტრაბგერითი და სხვა) ტანსაცმლის საწარმოო დამზადებისთვის შედარებით უფრო მისაღები აღმოჩნდა ულტრაბგერითი შედეგების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ შედეგებითი ნაკერი, რომლის სიმტკიცის მაჩვენებელი აკმაყოფილებს ტანსაცმელში გამოყენებული ნაკერებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს [1, 6].

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში განხილულია ხელოვნური ბეწვის ულტრაბგერითი შედუღებითი ნაკერის სიმტკიცის, მიმდებარე უბნის სტრუქტურის ცვლილებისა და ნაკერის სიმტკიცის შემცირების მიზეზების კვლევა.

მოსახლეობის გაზრდილმა მოთხოვნილებამ ბუნებრივი ბეწვის ტანსაცმელზე განაპირობა ახალი, ხელოვნური ბეწვის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივის იმიტაციას, ხასიათდება მთელი რიგი დადებითი თვისებებით და მიღებულია სხვადასხვა სახის სტრუქტურისა და თვისებების ქიმიური ბოჭკოებისაგან. ტრიკოტაჟული ხელოვნური ბეწვი შედგება ორი სხვადასხვა სტრუქტურის, თვისებებისა და დანიშნულების კომპონენტისაგან - ფუძე და ხაო. ხელოვნური ბეწვის ხარისხს განსაზღვრავს ხაო. ამ უკანასკნელზე არის დამოკიდებული ბეწვის გარეგნული სახე და მისი მსგავსება ნატურალურთან.

ულტრაბგერითი შედუღებითი ნაკერის მიმდებარე უბნის სტრუქტურის ცვლილების კვლევა და შესაბამისად შედუღებითი ნაკერის სიმტკიცის შემცირების მიზეზების შესწავლა განხორციელდა ტრიკოტაჟული ხელოვნური ბეწვის მაგალითზე, რომლის ფუძეს წარმოადგენს ბამბის ძაფის კულირული სადა ხლართი, ხოლო ხაოს - პოლიაკრილონიტრილის ბოჭკო. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ხელოვნური ბეწვის ულტრაბგერითი შედუღების პროცესის ტექნოლოგიის დამუშავების მიზანს წარმოადგენს ისეთი სიმტკიცის შედუღებითი ნაკერის მიღება, რომელიც აკმაყოფილებს ტანსაცმელში გამოყენებული ნაკერების სიმტკიცისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. როგორც ცნობილია, ულტრაბგერითი შედუღებითი ნაკერის სიმტკიცე 20-30 % -ით ნაკლებია შესადუღებელი მასალის სიმტკიცეზე. ამასთან, შედუღებითი ნაკერი ხასიათდება გაზრდილი სიხისტით ძაფით ნაკერებთან შედარებით. აღნიშნულის გამო შედუღებითი ნაკერების გამოყენება ტანსაცმელის იმ უბნებში, რომლებიც განიცდიან მრავალჯერად გაჭიმვას და იმყოფებიან დიდი დატვირთვის ქვეშ, შეზღუდულია [2, 3]. როგორც ცნობილია, ტანსაცმლის დეტალების შედუღებითი შეერთების მეთოდი ემყარება მასალების თერმოპლასტიურობის თვისებას, რის დროსაც პოლიმერული მასალები გადადიან ბლანტდენად მდგომარეობაში იცვლება მოლიკულის ფორმა და მისი მდებარეობა. შედუღებითი ნაკერის გაცივების შემდეგ ადგილი აქვს შედუღებითი ნაკერის ზონის და თვით ნაკერის სტრუქტურის ცვლილებას, რაც იწვევს ამ უბნების სიმტკიცის შემცირებას. პოლიმერის თვისებებიდან გამომდინარე (ლღობის ტემპერატურა, კრისტალიზაციის ხარისხი ორიენტაცია და სხვა) თითოეული ზემოაღნიშნული ვლინდება მეტად ან ნაკლებად. შედუღებითი ნაკერისა და მიმდებარე ზონის თვისებების ცვლილებაზე გავლენას ახდენს შესადუღებელი მასალის სტრუქტურა და თვისებები [4, 5].

ულტრაბგერით შედუღების დროს მნიშვნელოვანია საწყისი მასალის სტრუქტურის შენარჩუნება. წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში, ხელოვნური ბეწვის სტრუქტურის ცვლილება ულტრაბგერის ზემოქმედების შედეგად, შესწავლილი იქნა რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. როგორც ცნობილია, პოლიაკრილონიტრილის ბოჭკო ხასიათდება ორიენტაციის მაღალი ხარისხით. შედუღების დროს მიმდინარე თბური პროცესების ზეგავლენით, მოლეკულათაშორისი ძალები ირღვევა და მოლეკულა იცვლის თავის კონფიგურაციას. ნაკერის გაგრილებას პოლიაკრილონიტრილის

შედულების შემდეგ თან ახლავს პოლიმერის რეკრისტალიზაცია, რაც უარყოფითად მოქმედებს შედულებითი ნაკერის საექსპლუატაციო თვისებებზე ხელოვნური ბეწვის რენდგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგად განსაზღვრული იქნა პოლიაკრილონიტრილის ბოჭკოს შედულებითი ნაკერის ფიზიკური სტრუქტურის ძირითადი პარამეტრები: კრისტალიზაციის ხარისხი და დეზორიენტაციის კუთხე. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ულტრაბგერის ზემოქმედების შედეგად პოლიაკრილონიტრილის კრისტალური უბნის ორიენტაცია მკვეთრად იცვლება, ამასთან იცვლება პოლიაკრილონიტრილის შედულებითი ნაკერის დეზორიენტაციის კუთხე და უტოლდება $\Phi = 27,3^\circ$, მაშინ როცა საწყისი პოლიაკრილონიტრილის ბოჭკოსათვის ის შეადგენდა $\Phi = 15,40^\circ$, რაც მიუთითებს კრისტალების დეზორიენტაციის პროცესზე და ტექსტურის წარმოქმნაზე. აღნიშნული პროცესს თან ახლავს პოლიმერული ჯაჭვის რელაქსაცია და და შიგა დამაბულობის წარმოქმნა. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა აგრეთვე, რომ ულტრაბგერითი შედულების დროს მკვეთრად იცვლება პოლიმერის კრისტალური და ამორფული უბნების თანაფარდობა. თუ საწყისი მასალის, პოლიაკრილონიტრილის ბოჭკოს, კრისტალიზაციის ხარისხი შეადგენდა 48 %, შედულებით ნაკერში ის 22% - მდე მცირდება, რაც უდაოდ აისახება პოლიმერული ბოჭკოს ფიზიკურ სტრუქტურაზე და შედულებითი ნაკერის სიმტკიცეზე.

ამრიგად, ხელოვნური ბეწვის შედულებითი ნაკერის გამოკვლევამ რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდით დაადასტურა, რომ ულტრაბგერის ზემოქმედების შედეგად ადგილი აქვს პოლიაკრილონიტრილის ბოჭკოს ფიზიკური სტრუქტურის ცვლილებას, კერძოდ იცვლება პოლიმერის კრისტალური და ამორფული უბნების თანაფარდობა. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ხელოვნური ბეწვის შედულებითი ნაკერის სიმტკიცის შემცირების მიზეზს წარმოადგენს ნაკერის მიმდებარე უბნის სტრუქტურის უთანაბრობა, შედულებითი ნაკერიდან ძირითად მასალაზე მკვეთრი გადასვლა. აღნიშნულის აღმოფხვრა შესაძლებელია ულტრაბგერითი შედულებისათვის გამოყენებული მოწყობილობების მუშა ინსტრუმენტების კონსტრუქციის სრულყოფით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Долидзе Н. А. Исследование возможности применения удьразвучковой сварки при изготовлении дежды из искусственного меха (2013). Известия национальной академии Грузии, серия химическая .Тбилиси. Грузия.
2. Долидзе Н.А., Угрехелидзе И.И. Сравнительный анализ прочностных показателей сварных и ниточных швов искусственного меха (2015). VIII международная конференция- Сварка и родственные технологии. Киев.Ук.
3. Долидзе Н.А. Исследование способов повышения прочности сварного шва искусственного меха (2022). Сборник материалов международной конференций - дизайн, технологии и инновации в текстильной и легкой промышленности.Гянджа. Азербайджан.

4. Дolidze Н.А. Исследование процесса деструкций текстильных материалов при ультразвуковой сварке. (2016). Научное исследование в современном мире. Калифорния, США
5. Дolidze Н.А. Исследование зависимости прочности сварного шва искусственного меха от величины молекулярной массы и молекулярно-массового распределению (2015). Материалы международной научно-практической конференций обучение и применение» .Гянджа. Азербайджан .
6. И Турсунова З. Н., Очилов Ш. Б. Изучение сварных соединений в швейном производстве (2016). Молодой учёный №7. М.

Study of weld seam strength parameters

Nino Dolidze

Akaki Tsereteli State University

Faculty of Engineering and Technology

Professor

Abstract

In the scientific work, the study of the strength parameters of an ultrasonic weld on the example of artificial fur is considered. A characteristic trend in the change in the raw material base of the textile industry in all developed industrial countries of the world is the steady growth in the production and consumption of chemical fibers. This is due to a number of advantages of chemical fibers, in particular, the cheapness and availability of the raw material base, and the important properties of chemical fibers. Despite the foregoing, the use of new, chemical fiber-containing textile materials in the production of clothing by the traditional filament method has caused a number of problems, to eliminate which it has become expedient to use welding methods for the manufacture of garments. products from fabrics containing chemical fibers, which are based on the thermoplasticity of these materials. In this scientific article, the strength of an ultrasonic weld of artificial fur, changes in the structure of the area surrounding the weld, and the reasons for the decrease in the strength of the weld were studied by X-ray diffraction analysis. The results of the study showed that the reason for the decrease in the strength of the artificial fur weld is the uneven structure of the area surrounding the weld, a sharp transition from the weld to the base material. This can be eliminated by improving the design of the working bodies of the apparatus used for ultrasonic welding.

Keywords: artificial fur; welding; welding seam; seam strength; destruction

გვარი დიყის (*Heracleum*) სახეობების ქიმიური შემადგენლობა და ბიოლოგიური აქტივობა

მარიამ ნერსეზაშვილი*, დალი ბერაშვილი, მალხაზ ჯოხაძე, სოფიო გოქაძე, ანა ბოჭაძე

ფარმაცოგნოზისა და ფარმაცევტული ბოტანიკის მიმართულება,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

m.nersezhashvili@tsmu.edu,  0000-0002-7825-3986

d.berashvili@tsmu.edu,  0000-0003-0887-3810

აბსტრაქტი: დიყი - *Heracleum* ქოლგოსანთა ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გვარია. ამ გვარის 120-ზე მეტი სახეობიდან კავკასიაში გავრცელებულია 25, ხოლო საქართველოში - 23, მათ შორის 5 ენდემია [1]. ლიტერატურის თანახმად დიყის სახეობების მხოლოდ 1/6-ია შესწავლილი ფიტოქიმიურად. მისი სახეობები არომატული ნივთიერებების შემცველი მცენარეებია და განიხილება, როგორც ფუროკუმარინების და ეთერზეთების მნიშვნელოვანი წყარო [2]. აღნიშნული გვარის მცენარეები ოდითგანვე ცნობილია ტრადიციული მედიცინისთვის და გამოიყენება როგორც სამკურნალო, ისე საკვები დანიშნულებით (უმეტესად სანელებლების სახით) [3]. დიყის სახეობებს ახასიათებს ბიოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრი, როგორცაა ანტიმიკრობული, ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტივირუსული, ანტიდიაბეტური, ანტისიმსივნიური და სხვა.

საძიებო სიტყვები: დიყი, ფუროკუმარინები, ეთერზეთები, ანთების საწინააღმდეგო, ციტოტოქსიკური, ფიტოდერმატიტი, ანტიმიკრობული

1. შესავალი

გვარი დიყის სახეობები მაღალი, ორ- და მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, დიდი ზომის დანაკვეთილი და მთლიანი ფოთლებით. ყვავილები თეთრი, მომწვანო-ყვითელი ან ვარდისფერი, რთულ ქოლგა ყვავილედად შეკრებილი. იზრდება უმეტესად ტყისა და სუბალპურ სარტყელში. საქართველოს სუბალპურ მაღალბალახულში ფართოდაა გავრცელებული სოსნოვსკის დიყი (ხევსურის დიყი, *Heracleum sosnowskyi* Manden.) და მანტეგაცის დიყი (*Heracleum mantegazzianum* Sommier & Levier). ხორკლიანი დიყის (*Heracleum asperum* M.Bieb) და თეთრი დიყის (*Heracleum leskovii* Grossh.) ნორჩ ყლორტებს მთის მოსახლეობა საჭმელად იყენებს.

ტრადიციული მედიცინისთვის ცნობილია დიყის მრავალი სახეობა, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება (ცხრილი #1). *H. persicum*, *H. aphondylium*, *H. candicans*, უმეტესად გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი, მონელების პროცესის

ხელშემწყობი, ანტიეპიკურული და ანტიეპილეფსიური საშუალება [3]. კანის ტომის წევრები *H. candolleianum*-ის ყველა ორგანოს მონახარშს მოიხმარენ ნერვული დაავადებების სამკურნალოდ, ასევე ანთებითი პროცესების დროს. ხოლო ფესვების მონახარშს იყენებენ ანტი-ართრიტულ და მატონიზირებელ საშუალებად [4].

H. persicum კარგად არის ცნობილი ირანული მედიცინისთვის. მისი ნაყოფები და ღეროები ადგილობრივების მიერ გამოიყენება სანელებლებად, ასევე საკვებ დანამატად [5], [6]. ტრადიციულ მედიცინაში მას იყენებენ, როგორც დიურეზულ, მეტეორიზმის საწინააღმდეგო, ჭიის დამდენ, ანალგეზიურ, ანტიეპილეფსიურ და მადისმომგვრელ საშუალებად [3], [7], [8]. გარდა ამისა, გააჩნია დადასტურებული ანტიოქსიდანტური, ანტისიმსივნური, ანტიკოაგულაციური, ანტიდიაბეტური და ანტიმიკრობული მოქმედება [5]. აღმოსავლეთ აზერბაიჯანის მოსახლეობა მის თესლებსა და ფოთლებს იყენებს გულმმარვის საწინააღმდეგოდ [9]. *H. moellendorffii* კორეელების მიერ გამოიყენება საკვებად [10]. მის ფოთლებს გააჩნია დეტოქსიკაციური, ანტიოქსიდანტური და ანტიმელანოგენური მოქმედება, ხოლო ფესვები ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენებოდა როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება ართრიტის სამკურნალოდ [10].

ცხრილი №1. დიყის ზოგიერთი სახეობის ეთნობოტანიკური დანიშნულება [3]

დიყის სახეობები	გამოყენება ტრადიციულ მედიცინაში
<i>H. persicum</i>	სანელებელი, ანტიეპილეფსიური, ტკივილგამაყუჩებელი, მონელების გასაუმჯობესებელი, მატეორიზმის საწინააღმდეგო, ანტიკონვულსანტი [11]-[17]
<i>H. dissectum</i>	საკვები, ანტიჰიპერტენზიული საშუალება [18]
<i>H. candicans</i>	სანელებელი, აფროდიზიაკი, მატონიზირებელი, მონელების გასაუმჯობესებელი, ანტიპირეტული, ქავილის საწინააღმდეგო, კანისა და მენსტრუალური პრობლემების დროს გამოსაყენებელი [19]-[23]
<i>H. nepalense</i>	სუნთქის სტიმულატორი, აფროდიზიაკი, დიარეის საწინააღმდეგო, მატონიზირებელი, წნევის მარეგულირებელი [24]-[26]
<i>H. spondylium</i>	საკვები, ანტიჰიპერტენზიული, დიარეისა და დიზინტერიის საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი, ჭრილობის შემახორცებელი, მონელების გასაუმჯობესებელი, აფროდიზიაკი, დისპეპსიური მოვლენების და მენსტრუალური პრობლემების დროს გამოსაყენებელი [26]-[30]
<i>H. moellendorffii</i>	საკვები, ართრიტის, არითმიის და ფსორიაზის სამკურნალოდ [31], [32]
<i>H. maxim</i>	საკვები, ინფექციური და რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ [33]
<i>H. platytenium</i>	საკვები, გასტრიტის, ენტერიტისა და ეპილეფსიის სამკურნალოდ [34]

<i>H. afghanicum</i>	სანელებელი, ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწვევი [35]
<i>H. siamicum</i>	სანელებელი, არომატიზატორი, მეტეორიზმის საწინააღმდეგო მოქმედება [36]
<i>H. sprengelianum</i>	მზისგან მიღებული დამწვრობის, კანის დაავადებების და გარეგანი სიმსივნური წარმონაქმნების დროს გამოსაყენებელი [37]
<i>H. rapula</i>	ნახველის დამარბილებელი, ანალგეზიური, ანტირევმატიული, ტრაქეიტის და გაციების საწინააღმდეგო, სისხლის მიმოქცევის მოწესრიგება [38], [39]
<i>H. candolleianum</i>	ნერვული დაავადებების დროს გამოსაყენებელი, ანთების საწინააღმდეგო, აფროდიზიაკი [2], [4]
<i>H. wallichii</i>	დიარეის საწინააღმდეგო, მატონიზირებელი, აფროდიზიაკი [40]
<i>H. yunnngningense</i>	ანტიპირეტული, ანალგეზიური, დიაფორეტული [41]
<i>H. laciniatum</i>	სედაციური, მაჰიპნოზებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედება [42]
<i>H. mantegazzianum</i>	საკვებ-საკაზმი [43]
<i>H. rawianum</i>	არომატიზატორი [44]
<i>H. rigens</i>	გულის, საშარდე გზების დაავადებების, ხველის, ჰიპერაციდოზის სამკურნალო, ჭრილობის შემახორცებელი, ღებინების, დიარეის, ყაზოზობის, თავის ტკივილის, გასტრიტის, მოუნელებლობის დროს გამოსაყენებელი [45]

დიყის ერთერთი სახეობა - *H. candicans* აქტიურად გამოიყენება, ჩინურ და ტიბეტურ ტრადიციულ მედიცინაში, ჰეპატოპროტექტორული დანიშნულებით. ღვიძლი მნიშვნელოვანი ჰომეოსტაზური ორგანოა, რომელიც წამლებისა და ქიმიური ნივთიერებების განეიტრალებაზეა პასუხისმგებელი. ღვიძლის დაზიანება შესაძლებელია გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის ალკოჰოლით და სხვადასხვა ტოქსინებით. ღვიძლის დაზიანების პროგრესირების შემთხვევაში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ჰეპატიტი, ციროზი, სიმსივნე [46], [47]. მავნე ნივთიერებების განეიტრალების ეტაპზე წარმოქმნილმა შუალედურმა პროდუქტებმა, თავისუფალმა რადიკალებმა და სხვა ქიმიურად აქტიურმა ნაერთებმა შესაძლებელია გამოიწვიოს, მეტაბოლური პროცესების დარღვევა [48]. ჟანგბადის აქტიური ფორმების ჭარბი რაოდენობით პროდუცირება, განაპირობებს ოქსიდაციურ სტრესს, რის შედეგადაც ვითარდება დეგენერაციული და პათოლოგიური დაავადებები [49]–[51]. თავისუფალი რადიკალების განეიტრალება და ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული მავნე ზეგავლენის შემცირება, სხვა ნივთიერებებთან ერთად, განპირობებულია კუმარინებისა და აქროლადი ეთერზეთების შემცველობით. ასევე გააჩნია დადასტურებული ანალგეზიური,

ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ჰეპატოპროტექტორული და კარდიოვასკულური დაავადებების პრევენციის უნარი [52], [53].

2. გვარი - დიყის სახეობების ფიტოქიმიური დახასიათება

ლიტერატურის თანახმად დიყის სახეობების მხოლოდ 1/6-ია შესწავლილი ფიტოქიმიურად [3]. ცნობილია, რომ ყველა სახეობაში აღმოჩენილია მარტივი კუმარინები, ფუროკუმარინები (ცხრილი №2), ეთერზეთები (ცხრილი №3), შეიცავს აგრეთვე, ფლავონოიდებს, ფენოლკარბონმჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ანტრაქინონებს და ზოგ შემთხვევაში ალკალოიდებსაც [62].

ცხრილი №2. გვარი დიყის სხვადასხვა სახეობაში იდენტიფიცირებული კუმარინები

სახეობა	ნედლეული	კუმარინები
<i>Heracleum sosnowskyi</i>	ნაყოფები	ანგელიცინი; ბერგაპტენი; მეთოქსალენი; იმპერატორინი [62]
<i>Heracleum persicum</i>	ფესვები	ქსანტოტოქსინი; პიმპინელინი; იზოპიმპინელინი; სფონდინი; ბერგაპტენი; იზობერგაპტენი; [62]
<i>Heracleum maximum</i>	უცნობი	ბერგაპტენი; იზობერგაპტენი; ანგელიცინი; სფონდინი; პიმპინელინი; იზოპიმპინელინი; იზოპენტენილოქსიიზო ბერგაპტენი; 6-იზოპენტენილოქსიიზობერგაპტენი [62]
<i>Heracleum lacianitum</i>	უცნობი	სფონდინი [62]
<i>Heracleum candicans</i>	ფესვები	ქსანტოტოქსინი; იზოფედენოლ ც; კანდიბირინ ბ-ე; კანდიტორინ ა; კანდიტორინ ბ; კანდიტორინ ც-ე; კანდიტეტარინ ა; კანდიტეტარინ ბ; კანდინოზიდ ა; კანდინოზიდ ბ; კანდინოზიდ ც; კანდინოზიდ დ; კანდინოლ ა; კანდინოლ ბ; კანდინოლ ც; კანდიბირინ ფ-ჰ; ჰერაკლენოლი; ბერგაპტენი; ანგელიცინი; იმპერატორინი; ჰერაკლენინი; ქსანტოტოქსოლი; ფსორალენი; იზოფსორალენი; 8-გერანოქსიფსორალენი; სფონდინი; ისოჰერაკლენინი; კანდიკანინი; (+)-მარმეზინი [62]
<i>Heracleum mantegazzianum</i>	ფესვები	პიმპინელინი; იმპერატორინი; ფელოპტერინი; ანგელიცინი; ქსანტოტოქსინი; ბერგაპტენი; იზობერგაპტენი; იზოპიმპინე ლინი; [62]
<i>Heracleum rapula</i>	მიწის ქვედა ნაწილები	ოსთოლი; ქსანტოტოქსინი; იზოიმპერატორინი; იზოფელოპტერინი; ფელოპტერინი; რაპულტორინ ა; დიმეთილსუბეროზინი; 8-ჰიდროქსიბერგაპტენი; ქსანტოტოქსოლი; 8-ჰიდროქსიბერგაპტოლი; გლუკოზილპსორალენი; მარმეზინი; 30-ჰიდროქსიმარმეზინი; ჰერაკლენოლი; მოელენდორფილინი რივულობირინ ა; რივულობირინ ბ; 8-გერანილოქსიფსორალენი; ჰერაკლენინი; იმპერატორინი; რ-ჰერაკლენოლი; ო-

		იზოპროპილიდენჰერაკლენოლი; ბერგაპტენი; სფონდინი; იზოპიმინელინი; იზობერგაპტენი; პიმინელინი [62]
<i>Heracleum rawanium</i>	მიწის ზედა ნაწილები	ანგელიცინი; ალობერგაპტენი; სფონდინი [62]
<i>Heracleum rigens</i>	უცნობი	5-(3-მეთილ-ბუთ-2-ენილოქსი)7-მეთოქსიკუმარინი; იზოპიმინელინი; 8-ჰიდროქსიფუროკუმარინი; 5-მეთოქსიფუროკუმარინი [62]
<i>Heracleum leskowi</i>	ნაყოფები	უმბელიფერონი; ქსანტოტოქსინი; ანგელიცინი; იზოპიმინელინი; ბერგაპტენი; იმპერატორინი; იზოიმპერატორინი [62]
<i>Heracleum nepalense</i>	უცნობი	სფონდინი; ბერგაპტენი; პიმინელინი; იზოპიმინელინი [62]
<i>Heracleum platytenium</i>	მიწის ზედა ნაწილები	ფსორალენი; ბერგაპტენი; ქსანტოტოქსინი; პიმინელინი; იზოპიმინელინი; სფონდინი; ბიკანგელიცინი; ჰერაკლენოლი; აპტერინი; სტიგმასტეროლი [62]
<i>Heracleum pastinacifolium</i>	ფესვები	უმბელიფერონი; ბერგაპტენი; იზობერგაპტენი; სფონდინი; პიმინელინი; იზოპიმინელინი; ქსანტოტოქსინი; ალობერგაპტენი; ოსთოლი [62]
<i>Heracleum grandiflorum</i>	მიწის ზედა ნაწილები	უმბელიფერონი; სკოპოლეტინი; იზოპიმინელინი; ბერგაპტენი [62]
<i>Heracleum transcaasicum</i>	ნაყოფები	ფურომეთოქსიჰერაკლინი [62]
<i>Heracleum sphondylium</i>	თესლები	ბერგაპტენი; n-პენტაკოზანი; n-ჰექტაკოზანი; n-ოქტაკოზანი; n-ნონაკოზანი; n-ტრიაკონტანი; n-ჰენტრიაკონტანი [62]
<i>Heracleum dissectum</i> Ledeb.	ფესვები	(9R,10R)-9,10-დიჰიდრო-10-ჰიდროქსი-9-მეთოქსი-ბერგაპტენი (დისექტუმოლი); ტერტ-0-მეთილჰერაკლენოლი; იზოფსორალენი; 5-6-დიჰიდროპირანოზოპირონი; რივულობრინ C; კანდინოლ C; რივულობრინ D; ტერტ-0-β-D-გლუკოპირანოზილ-ჰერაკლენოლი [63]
<i>Heracleum verticillatum</i>	ნაყოფები, ფესვები, ფოთლები	ბერგაპტენი; პიმინელინი; იზოპიმინელინი; სფონდინი; ქსანტოტოქსინი; იზობერგაპტენი; იმპერატორინი [64]
<i>Heracleum sibiricum</i>	ნაყოფები, ფესვები, ფოთლები	ბერგაპტენი; პიმინელინი; იზოპიმინელინი; სფონდინი; ქსანტოტოქსინი; იმპერატორინი; ჰერაკლენინი; იზობერგაპტენი; ბიანკაგელიკოლი [64]; ფელოპტერინი; ბიანკაგელიცინი

<i>Heracleum angustisectum</i>	ნაყოფები, ფესვები, ფოთლები	ბერგაპტენი; ქსანტოტოქსინი; ბიანკაგელიკოლი [64]	პიმპინელინი; იზოპიმპინელინი; იზობერგაპტენი; ჰერაკლენინი;	სფონდინი;
<i>Heracleum ternatum</i>	ნაყოფები, ფესვები, ფოთლები	ბერგაპტენი; ქსანტოტოქსინი; ბიანკაგელიკოლი [64]	პიმპინელინი; იზოპიმპინელინი; იზობერგაპტენი; ჰერაკლენინი;	სფონდინი;

დიყის სხვადასხვა სახეობაში ძირითადად დადგენილია ფუროკუმარინები: ფელოპტერინი, ბერგაპტენი, ბიაკანგელიკოლი, ქსანტოტოქსინი, იზოპიმპინელინი, იმპერატორინი. თითოეული მათგანი ხასიათდება ფართო სპექტრის ბიოლოგიური აქტივობით, როგორცაა: ანტიბაქტერიული, ანტიმიკრობული, ანტიოქსიდანტური, ფუნგიციდური, ანთების, სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება [65]. გამოიყენება ვიტლიგოს, ალოპეციის და ფსორიაზის სამკურნალოდ [65], [66].

H. candolleianum-ის ნაყოფებსა და ფესვებში აღმოჩენილია ფუროკუმარინები და მონოტერპენოიდები [4], ფესურებში კი ეთეროვანი ზეთები, დადგენილია ეთერზეთის ქიმიური შემადგენლობაც [5]. ეთერზეთები გამოყოფილია დიყის სხვა სახეობებიდანაც, როგორცაა: *H. persicum* [6], [7], *H. dissectum* Ledeb [8], *H. sphondylium* [9], *H. crenatifolium* Boiss [10], [11].

დიყის მრავალი სახეობის აქროლად ფრაქციაში დადგენილია - მონოტერპენული ჰიდროკარბონები (ლიმონენი-ციმენი; g-ტერპენი; α- და β-პირენი); დაჟანგული მონოტერპენები (ლინალოლი; იზობორნილაცეტატი; n-ოქტანოლი, ტერპინენ-1-ოლი-4), სესქვიტერპენები (კარიოფილენის ოქსიდი) და სხვა. ლიტერატურის მონაცემებით სხვადასხვა სახეობის ოქტილესტერები, განსაკუთრებით n-ოქტილაცეტატი, მიიჩნევა დიყის სახეობების ეთერზეთების ძირითად შემადგენელ კომპონენტებად (ცხრილი №3) [2].

ცხრილი №3. გვარი დიყის სხვადასხვა სახეობის ეთერზეთის ქიმიური შემადგენლობა

სახეობა	ნედლეული	ეთერზეთის კომპონენტები
<i>Heracleum lehmannianum</i>	მიწის ზედა ნაწილები	α-ფელანდრენი (10.5%), 1-ბუთანოლი (9.0%), δ-კადინენი (6.2%), α-კადინოლი (5.7%), τ-მუროლოლი (3.1%), α-მუროლენი (2.6%) 4-ტერპინეოლი (2.4%) ; [73]
<i>Heracleum candolleianum</i>	თესლები	α-ციმენი (5.08%); m-მენტა-6,7-დიენ,(r)-(+)- (2.07%); Γ-ტერპინე ნი (2.64%); ოქტანოლი (11.78%); ანთრანილის მჟავა,1,5-დი მეთილ-1-ვინილ-4-ჰექსენილესტერი(1.05%); p-მენტა-1,8-დიენ -6-ოლი (0.43%); (-)-ალკანფორი (1.06%); ენდო-ბორნეოლი (1.63%); p-ცი მენ-8-ოლი (0.40%); p-მენტ-1-ენ-8-ოლი (0.37%); ჰექსანოის მჟავა, ბუთილესტერი (2.08%); n-ოქტილ აცეტატი (2.57%); (-)-ბორნილაცეტატი (8.81%); კარვაკროლი (3.83%); ტრანს-მეთილცინამატი(22.38%);n-ჰექსილჰექსანოატი(21.74%); ევგენოლმეთილესტერი (0.97%); კადინა-1(10),4-დიენი (0.84%);

ჰექსანოის მჟავა, ოქტილესტერი (8.87%); 2-ოქტენოლ,2-ბუთილი- (0.40%); ბიციკლო[5.3.0]დეკან,2-(1-მეთილვინილ)-8-მეთილი (0.93%) [2]

Heracleum persicum	ნაყოფები	<p>პროპანოის მჟავა, 2-მეთილ-1-მეთილეთილ ესტერი (0,27%); იზოპროპილ ბუტირატი (0.09%); ბუთანოის მჟავა, 2-მეთილ-1-მეთილეთილ ესტერი (0.84%); ბუთანოის მჟავა, 3-მეთილ-1-მეთილ ესტერი (0.72%); 1R-α-პინენი (0.27%); პროპანოის მჟავა, 2-მეთილ-ჰექსილ ესტერი (6.05%); 2-ბუთანოის მჟავა, 3-მეთილ, 1-მეთილ ესტერი (0.14%); β-პინენი (0.19%); ბუთანოის მჟავა, ბუტილ ესტერი (1.61%); ოქტანალი (0.13%); ძმარმჟავა, ჰექსილესტერი (0.71%); D-ლიმონენი (2.06%); ოქტანალი (0.51%); პროპანოის მჟავა, ჰექსილ ესტერი (0.36%); ლინალოლი (0.51); ბუთანოის მჟავა, ჰექსილ ესტერი=ჰექსილ ბუტირატი (35.24%); ოქტილ აცეტატი (8.42%); ბუთანოის მჟავა, 2-მეთილ-ჰექსილ ესტერი=ჰექსილ 2-მეთილბუტირატი (8.14%); პულეგონი (0.52%); პროპანოის მჟავა, ოქტილ ესტერი (0.46%); ანეთოლი (0.60%); ციკლოჰექსან, ეთენილი (0.96%); პროპანოის მჟავა, 2-მეთილ-ოქტილ ესტერი=ოქტილ იზობუტი რატი (9.23%); 3-მეთილ-3-ციკლოჰექსენ-1-ონი (0.25%); 2,4-ოქტადიენი (1.23%); ბუთანოის მჟავა, ოქტილ ესტერი (5.01%); ტრანს-3-ჰექსენოის მჟავა (0.47%); ბუთანოის მჟავა, 2-მეთილ-ოქტილ ესტერი=ოქტილ 2-მეთილბუტირატი (11.65%); გერმა კრენი D (0.18%); β-ბისაბოლენი (0.27%); გერმაკრენი B (0.47%); ჰექსანოის მჟავა, ოქტილ ესტერი (0.21%); ბუთანოის მჟავა, 3-მეთილ-, 3,7-დიმეთილ-2,6-ოქტადიენილ ესტერი, (Z)- (0.19%); ოქტანოის მჟავა, ტეტრადეცილ ესტერი (0.29%); ესტრაგოლი (0.43%) [74]</p>
H. sphondylium	ნაყოფები და მიწის ქვედა ნაწილები	<p>β-პინენი (6.0%); მირცენი (1.8%); დეჰიდრო-1,8-ცინეოლი (0.8%); ოქტანალი (1.8%); ლიმონენი (0.9%); (Z)-β-ოციმენი (28.9%); (E)-β-ოციმენი 0.9%); 2-მეთილ-4-მეთილპენტილ ბუთანოატი (0.7%); (2E)-დეკენალი (0.5%); 2-მეთილდოდეკანი (0.6%); α-ტრანს-ბერგა მოტენი (3.2%); (E)-β-ფარნეზენი (0.9%); ბიციკლოგერმაკრენი (2.1%); იზოდაუცენი (1.3%); β-ბიზაბო ლენი (2.8%); (Z)-γ-ბისა ბოლენი (5.0%); (E)-γ-ბისაბოლენი (2.1%); (E)-α-ბისაბოლენი (1.7%); სპატულენოლი (1.3%); ტრანს -სესქვისაბინენ ჰიდრატი (1.3%); (E)-სესქვილაგანდულოლი (2.5%); იზოსპატულენოლი (0.9%); ნეო-ინტერმედეოლი (1.8%); β-ბისაბოლოლი (1.4%); 1,13-ტეტრადეკადიენი (2.3%); ჰექსა დეკანოის მჟავა (3.3%); (Z)-ფალკარინოლი (1.8%); ფალკარინო ლის იზომერი (1.5%); ფალკარინდიოლი (2.3%) [75]</p>

		ლიმონენი (2.3%); (Z)- β -ოციმენი (15.6%); (E)- β -ოციმენი (0.3%); (4Z)-2-მეთილ-4-დეკენი (0.2%); 2-მეთილდეკენი (0.3%); ტერპინოლენი (1.1%); (E)-4-ანდეკენი (0.3%); ნონანალი (0.3%); ტრანს-საბინოლი (0.6%); პინოკარვონი (0.2%); α -ტერპინეოლი (0.5%); მირტენალი (0.2%); (2E)-დეკენალი (0.7%); (2E,4E)-დეკადიენალი (0.3%); α -ტერპინილ აცეტატი (0.4%); მეთილ ევგენოლი (0.5%) [75]
<i>H. pyrenaicum</i> subsp. <i>pollinianum</i>	მიწის ქვედა ნაწილები	ფალკარინდიოლი (1.0%); (Z)-9-ოქტადეკანოის მჟავას იზომერი (1.2%); (Z)-ფალკარინოლი (1.0%); ჰექსადენოის მჟავა (0.7%); ჰექსადეკანოილი (0.4%); 1,13-ტეტრადეკადიენი (0.4%); აპიოლი (0.5%); ტეტრადეკანოლი (0.3%); (E)- β -ფარნეზენი (0.6%); 4-ეპი-ცის-დიჰიდროაგაროფურანი (1.2%); ბორნილ იზოვალერატი; იზოდაუცენი (0.7%); β -ბისაბოლენი (0.8%); მირისტაცინი; (E)-ნეროლიდოლი; სპატულენოლი; კესანე; ელემიცინი; (Z)-სესქვილაგანდულოლი; დოდეცილ აცეტატი; (E)-სესქვილაგანდულოლი; პინოკარვონი; ტრანს- ρ -მენტ-2-ენ-1-ოლი; 4,8-ეპოქსი- ρ -მენტ-1-ენი; ტერ პინენ-4-ოლი; ρ -ციმენ-8-ოლი; α -ტერპინეოლი; მირტენოლი; მირტენალი; მეთილ ხავიკოლი; (2E)-დეკენალი; ბორნილაცეტატი; α -ტერპინილ აცეტატი; მეთილ ევგენოლი; ჰეპტანალი; α -თუჯენი; α -პინენი; კამფენი; საბინენი; β -პინენი; მირცენი; ოქტანალი; α -ტერპინენი; ρ -ციმენი; ლიმონენი; (Z)- β -ოციმენი; γ -ტერპინენი; ოქტანოლი; ტერპინოლენი; ცის- ρ -მენტ-2-ენ-1-ოლი [75]
<i>H. pyrenaicum</i> subsp. <i>orsinii</i>	მიწის ქვედა ნაწილები	2-მეთილოქტანი; ჰექსანოლი; ნონანი; ჰეპტანი; α -პინენი; კამფენი; β -პინენი; მირცენი; ოქტანალი; ლიმონენი; (Z)- β -ოციმენი; (4Z)-2-მეთილ-4-დეკენი; ცის- ρ -მენტ-2-ენ-1-ოლი; 2-მეთილდეკანი; ტერპინოლენი; ტრანს-საბინოლი; 4,8-ეპოქსი- ρ -მენტ-1-ენი; ტერპინენ-4-ოლი; α -ტერპინეოლი; მირტენალი; მეთილხავიკოლი; (2E)-დეკენალი; ბორნილიზობუტანოატი; (2E,4E)-დეკადიენალი; 4-ეპი-ცის-დიჰიდროაგაროფურანი; მეთილევგენოლი; ბორნილიზოვალერატი; β -ბისაბოლენი; კესანე; (E)- γ -ბისაბოლენი; (E)-ნეროლიდოლი; სპატულენოლი; (E)-სესქვილაგანდულოლი; ინტერმედიოლი; ჰექსადეკანოის მჟავა; (Z)-ფალკარინოლი; ფალკარინდიოლი [75]
<i>H. verticillatum</i>	მიწის ქვედა ნაწილები	4-ნონენი+3-ნონენი; ჰეპტანალი; 2-ნონენი; α -პინენი; β -პინენი; მირცენი; ოქტანალი; ლიმონენი; (Z)- β -ოციმენი; (E)- β -ოციმენი; ტერპინოლენი; ნონანალი; 2-მეთილბუთილ იზოვალერატი; ციკლოოქტანონი; ნოპინონი; ტრანს-საბინოლი; 4,8-ეპოქსი- ρ -მენტ-1-ენი; 2-მეთოქსი-3-(1-მეთილპროპილ)პირაზინი; 1,8-მენტადიენ-4-ოლი; 1-მეთილბუთილ-3-მეთილ-2-ბუთენოატი; ρ -ციმენ-8-ოლი; α -ტერპინეოლი; მირტენოლი; მირტენალი; კარვონი; დაუცენი; ტრანს-კარვილაცეტატი; ციკლოსატივენი; α -

ილანგენი; α -ტრანს-ბერგამოტენი; (E)- β -ფარნეზენი; ar-კურ კუმენი; იზოდაუცენი; β -ბისაბოლენი; β -სელინენი; ვალენცენი; ბიციკლოგერმაკრენი; γ -კადინენი; 7-ეპი- α -სელინენი; β -სესქვი ფელანდრენი; (E)- γ -ბისაბოლენი; სპატულენოლი; 1,10-დი-ეპი - კუმენოლი; ინტერმედოლი; α -ბისაბოლოლი; ჰექსადეკანოის მჟავა; (Z)-ფალკარინოლი; (Z)-9-ოქტადეკენ-1-ოლი; პიმპინე ლინი; ფალკარინოლის იზომერი; ფალკარინდიოლი [75]

H. austriacum მიწის ქვედა ნაწილები ჰეპტანალი; 2-პენტილფურანი; ოქტანალი; (2E)-ოქტენ-1-ალი; ნონანალი; (2E)-ნონენ-1-ალი; (2E)-დეკენალი; (2E,4Z)-დეკადიენალი; (2E,4E)-დეკადიენალი; β -სესქვიფელანდრენი; დეკსადეკანოის მჟავა; (Z)-ფალკარინოლი; γ -პალმიტოლაქტონი; (Z,Z) - 9,12-ოქტადეკანოდიენოის მჟავა [75]

H. orphanidis მიწის ქვედა ნაწილები ნონანი; ჰეპტანალი; ოქტანალი; ლიმონენი; β -ფელანდრენი; (Z)- β -ოციმენი; (E)- β -ოციმენი; ოქტანოლი; ტერპინოლენი; (E)-4-ანდეკენი; ანდეკანი; ნონანალი; (2E)-ნონენ-1-ალი; p-ციმენ-8-ოლი; (2E)-დეკენალი; (2E,4E)-დეკადიენალი; β -ელემენი; β -ბისაბოლენი; სპატულენოლი; ტეტრადეკანოლი; ჰექსადეკანოლი; (Z)-ფალკარინოლი; (Z)-9-ოქტადეკენ-1-ოლი; (E)-9-ოქტადეკენ-1-ოლი; პიმპინელინი [75]

ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, კვლევების უმრავლესობა ფოკუსირდება დიყის სახეობებში კუმარინების, ფუროკუმარინების, მათი გლიკოზიდებისა და ეთერზეთების შესწავლაზე. თუმცა გარდა აღნიშნული ნივთიერებებისა, დიყის სახეობებში დადგენილია ფლავონოიდების შემცველობაც. მაგალითად, *Heracleum pastinaca*-ს შემადგენლობაში აღმოჩენილია ფლავონოიდური გლიკოზიდები: ქვერცეტინ 3-O- β -გლუკოპირანოზიდი (იზოქვერცეტინი), ქვერცეტინ 3-O- α -რამნო პირანოზილ-(1 \rightarrow 6)- β -გლუკოპირანოზიდი (რუტინი), კემფეროლ 3-O- α -რამნოპირა ნოზიდი (აფზელინი), კემფეროლ 3-O- β -გლუკოპირანოზიდი (ასტრაგალინი), იზორამნეტინ 3-O- β -გლუკო პირანოზიდი, კემფეროლ 3-O-რუტინოზიდი (ნიკოტიფლორინი), იზორამნეტინ 3-O-რუტინოზიდი (ნარცისოზიდი) [76]. ხოლო *H. montanum*, *H. persicum* და *H. sphondilium* -ის მიწის ზედა და მიწის ქვედა ნაწილებში აღმოჩენილია ქვერცეტინი [62].

3. გვარი - დიყის სახეობების ფარმაცოლოგიური დახასიათება

დიყის სახეობებში აღმოჩენილი ბუნებრივი ნივთიერებების უმრავლესობა ამჟღავნებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. ანთებითი პროცესების სამკურნალოდ მრავალი სინთეზური პრეპარატია შემუშავებული, თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ სინთეზური სამკურნალო საშუალებების ხანგრძლივი გამოყენება იწვევს სხვადასხვა სახის გვერდით ეფექტებს, როგორცაა კუჭის წყლული, სისხლდენა, კარდიოლოგიური პათოლოგიები, თირკმლისა და თირკმელზედა ჯირკვლის დისფუნქცია, ბრონქოსპაზმი [77]. აქედან გამომდინარე, ახალი, ეფექტური და უსაფრთხო ანთების საწინააღმდეგო საშუალებების

მოძიება კრიტიკულად მნიშვნელოვანია [78]. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც უძველესი დროიდან გამოიყენება ანთებითი პროცესების სამკურნალოდ მიიჩნევა ახალი თაობის პრეპარატების შესაქმნელად საუკეთესო ალტერნატივად [78].

იმუნური უჯრედები - მაკროფაგები გამოყოფენ სხვადასხვა ტიპის ანთების საწინააღმდეგო მედიატორებს, როგორცაა აზოტის ოქსიდი (NO), პროსტაგლანდინ E2 (PGE2), ინდუქციური აზოტის ოქსიდი (iNOS) და ციკლოოქსიგენაზა-2 (COX-2), ასევე ანთების საწინააღმდეგო ციტოკინებს - ინტერლეიკინი-1 β (IL-1 β), ინტერლეიკინი-6 (IL-6), და სიმსივნის ნეკროზულ ფაქტორ- α -ს (TNF- α) [79]. მაკროფაგების მიერ შესაბამისი ციტოკინების სეკრეცია ორგანიზმს იცავს საზიანო გარემო-ფაქტორებისგან, თუმცა ციტოკინების გადაჭარბებული რაოდენობა იწვევს ქრონიკულ ანთებით დაავადებებს, როგორცაა ათეროსკლეროზი, ართრიტი, კარდიოვასკულარული დაავადებები და სხვა [80], [81]. *H. moellendorffii*-ის ფესვები აინჰიბირებს ანთების საწინააღმდეგო მედიატორებისა და ციტოკინების ექსპრესიას [82]. აქედან გამომდინარე, *H. moellendorffii*-ს ფესვები შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების ერთ-ერთი პოტენციური წყარო. გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ ფალკარინოლი (მოლეკულური ფორმულა: C₁₇H₂₄O, მასა: 244.378) ამჟღავნებს ანთების საწინააღმდეგო ეფექტს, ხოლო *H. moellendorffii*-ს ფესვებში ისევე, როგორც დიყის მრავალ სხვა სახეობაში, დადგენილია აღნიშნული ნივთიერების შემცველობა [83], [84].

H. nepalense-დან გამოყოფილი ბერგაპტენის ანთების საწინააღმდეგო აქტივობა შეისწავლეს ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეური უჯრედების (ჰსმუ) გამოყენებით. დადგინდა, რომ ბერგაპტენი აინჰიბირებს TNF- α და IL-6-ის პროდუცირებას, რომლებიც მონაწილეობს ანთებითი პროცესების განვითარებაში [25]. აქედან გამომდინარე, ბერგაპტენი შესაძლებელია მივიჩნიოთ აღნიშნული დაავადების სამკურნალო ერთ-ერთ ეფექტურ ნივთიერებად.

საკვერცხის პოლიციტური სინდრომი (სპს) ქალებში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ენდოკრინული დარღვევაა. შესაბამისად, მედიკამენტების არა სასურველი გვერდითი ეფექტებიდან გამომდინარე, ბუნებრივი ანტიოქსიდანტებისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება, სპს-ის მქონე ქალებში, მეტაბოლიზმის, ჰიპერინსულინემიის და ჰიპერლიპიდემიის დასარეგულირებლად უფროდაუფრო აქტუალური ხდება [85]. აღნიშნული სინდრომის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის დისფუნქცია, საკვერცხეების დისფუნქცია და ინსულინის მომატებული დონე [86]. სპს ხასიათდება გონადოტროპული ჰორმონების, მათ შორის მალუთეინიზებული და ფოლიკულომასტიმულელებელი ჰორმონების გადაჭარბებული სეკრეციით, ასევე საკვერცხის სტეროიდების მომატებული გამოყოფით, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ინსულინ-რეზისტენტობასთან [87]. ინსულინი ასტიმულირებს ანდროგენების სინთეზს და ზრდის მალუთეინიზებული ჰორმონის ფუნქციას. სპს-ით დაავადებულ პაციენტებში საკვერცხეები გამოყოფს ტესტოსტერონ ანდროსტენდიონს და დიჰიდროეპიანდროსტერონს [86], [87]. *H. persicum*-ის წყალ-სპირტიანი ექსტრაქტი პლაზმაში ცვლის სასქესო ჰორმონების დონეს, აინჰიბირებს ფოლიკულოგენეზს და გავლენას ახდენს ქალების სექსუალობაზე [88]. *H. persicum*-ის ფუროკუმარინები: სფონდინი, ქსანტოტოქსინი

და პიმპინელინი, თრგუნავს აზოტის ოქსიდის სინთეზს, რითიც ამცირებს მალუთეინიზებული ჰორმონის დონეს და ესტრადიოლის წარმოქმნას. ესტრადიოლის წარმოქმნის შემცირება კი ხელს უწყობს ჯანსაღ რეპროდუქციას [12], [88]. ჰაჯ ჰოსეინის თანახმად, *H. persicum* ჩაი დადებითად მოქმედებს სპს-ით დაავადებული ქალების ჰორმონებზე. მნიშვნელოვნად ამცირებს (უზმოზე) ინსულინის და დიჰიდროეპიანდროსტერონ სულფატის დონეს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინსულინ-რეზისტენტობის ჰომეოსტატიკური მოდელის შეფასების (HOMA-IR) ინდექსს. გარდა ამისა, *H. persicum* ამცირებს ანდროგენების, განსაკუთრებით თირკმელზედა ჯირკვლის ანდროგენების დონეს. კიდევ ერთი კვლევის თანახმად, *H. persicum* ამცირებს მალუთეინიზებული ჰორმონის, ესტრადიოლის და ტესტოსტერონის დონეს, ამავე დროს ზრდის ფოლიკულ-მასტიმულელები ჰორმონის კონცენტრაციას სპს-ით დაავადებულ ვირთაგვებში [89]. ალკანის და მისი კოლეგების აღმოჩენის თანახმად *H. persicum*-ის ექსტრაქტი ამცირებს პლაზმაში გლუკოზისა და ჰემოგლობინის დონეს (HbA1c) დიაბეტის მქონე პაციენტებში და ზრდის ინსულინისა და c-პეპტიდის დონეს [90]. *H. persicum* ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ანტი-დიაბეტური, ანტიბაქტერიული საშუალება [42]. სავარაუდოა, რომ *H. persicum*-ის ექსტრაქტი პლაზმაში ამცირებს ტესტოსტერონის კონცენტრაციას, სხეულისა და სათესლე ჯირკვლების წონას, რითიც ხელს უწყობს მამაკაცებში სქესობრივ დისფუნქციას [12].

რამდენიმე სტატია ადასტურებს დიყის ზოგიერთი სახეობის ექსტრაქტების ინჰიბიტორულ აქტივობას ალცჰაიმერისა და ტიპი 2 დიაბეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ჰორმონებზე. კერძოდ, *H. persicum*-ის ნაყოფების მეთანოლიანი ექსტრაქტის მიერ α -ამილაზას ინჰიბირების მაჩვენებელია IC50 307 მკგ/მლ, ხოლო მიწის ზედა ნაწილების ჰექსანიანი ექსტრაქტის დიაბეტის საწინააღმდეგო აქტივობა $78.5 \pm 3.9\%$ [91], [92]. *H. crenatifolium*-სგან მიღებული ფუროკუმარინების ჯამი ამჟღავნებს $68.8 \pm 0.76\%$ -იან აქტივობას აცეტილქოლინესთერაზას მიმართ [93].

ვალასეკის კვლევებით *H. mantegazzianum*-დან გამოყოფილი კუმარინები: პიმპინელინი, იმპერატორინილ ფელოპტერინი, ამჟღავნებს მნიშვნელოვან ანტიმიკრობულ აქტივობას გრამ-დადებითი ბაქტერიებისა და სოკოს წინააღმდეგ [94]. კიდევ ერთი კვლევის თანახმად, *H. persicum* და *H. mantegazzianum*-ის წყლიან ექსტრაქტებს გააჩნია ანტიბაქტერიული მოქმედება ადამიანისა და თევზის პათოგენებისა და არაპათოგენების მიმართ [95]. *H. persicum* და *H. mantegazzianum*-ის ექსტრაქტები აქტიური იყო გრამ-დადებითი ბაქტერიების, განსაკუთრებით: *Bacillus megaterium*, *Micrococcus sp.*, *Pseudomonas sp.*, და *Staphylococcus aureus* წინააღმდეგ [94]. *H. persicum*-ის ნაყოფებს გააჩნია პოტენციური სოკოს საწინააღმდეგო აქტივობა [15]. აღნიშნული სახეობის წყალ-სპირტიანი ექსტრაქტი შეისწავლეს სოკოს 46 პათოგენური შტამის წინააღმდეგ. საუკეთესო აქტივობა დაფიქსირდა *C. albicans*-ის წინააღმდეგ - ინჰიბირებული ზონის დიამეტრით 12 - 21 მმ, MIC 0.625-დან 20-მდე მკგ/მკლ. ეთანოლიანმა გამონაწვლილმა კიდევ უფრო უკეთესი ანტიფუნგალური აქტივობა გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ ამავე კვლევის თანახმად, *H. platytenium*-დან მიღებულმა ეთერზეთებმა საერთოდ არ გამოავლინა ანტიბაქტერიული აქტივობა [96], აჩვენა მნიშვნელოვანი ინჰიბიტორული ეფექტი კანდიდას ზოგიერთი შტამის (*C. albicans* და *C.*

glabrata) წინააღმდეგ. მიღებულ შედეგს ავტორები ხსნიან ეთერზეთებში ოქტანოლის მაღალი შემცველობით, რომელსაც კანდიდას საწინააღმდეგო მკვეთრად გამოხატული აქტივობა ახასიათებს. *H. persicum*-ის მეთანოლიანი გამონაწვლილი შეისწავლეს ბაქტერიული და სოკოვანი შტამების წინააღმდეგ [97]. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ *H. persicum*-ის ექსტრაქტი ინჰიბირებას უწევს ზოგიერთ პათოგენურ ბაქტერიას. *H. mantegazzianum* ნაყოფების გამონაწვლილი აქტიურია *S. aureus*-ის (MIC 0.5 მგ/მლ, MBC 1 და 4 მგ/მლ) წინააღმდეგ, ასევე საშუალო აქტივობა გააჩნია *E. coli*-ის და *C. albicans* წინააღმდეგ [98].

H. dissectum (სინონიმი *H. sphondylium* subsp. *montanum* (Schleich. ex Gaudin) Briq.) გავრცელებულია ჩინეთში, უმეტესად ჰეილონჯიანის და ჯილინის პროვინციებში და ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოროკენების (ეთნიკური ჯგუფი) მიერ აქტიურად გამოიყენება, როგორც ბოსტნეული [67]. გარდა საკვები დანიშნულებისა, ოროკენები *H. Dissectum*-ს (სინონიმი-*Heracleum sphondylium* subsp. *montanum* (Schleich. ex Gaudin) Briq.) იყენებს ჰიპერტენზიის, ჰიპერლიპიდემიის, დიაბეტის და სხვ. დაავადებების სამკურნალოდ. აღნიშნული მცენარის ფესვებიდან მიღებულმა კუმარინებმა გამოავლინა ციტოტოქსიკური აქტივობა ადამიანის ღვიძლის სიმსივნის HepG2 უჯრედების მიმართ. მისი ქიმიური კომპონენტებიდან ყველაზე მაღალი ციტოტოქსიკური აქტივობა (IC_{50} 57.6 ± 1.1 მმოლ, დადებითი კონტროლის IC_{50} – 35.4 ± 2.9 მმოლ) გამოავლინა კუმარინმა - კანდინოლ C, ხოლო დანარჩენი ნივთიერებების IC_{50} აღემატებოდა 100 მმოლ-ს [63].

H. sphondylium subsp. *ternatum* -დან მიღებული ეთერზეთები შეისწავლეს, ადამიანის ოთხი სხვადასხვა ტიპის სიმსივნურ უჯრედზე: მკერდის ადენოკარცინომის უჯრედები (MDA-MB 231), გლიობლასტომა (7986), ავთვისებიანი მელანომა (A375) და მსხვილი ნაწლავის კარცინომა (HCT 116), დადგინდა, რომ ეთერზეთები ამჟღავნებს საშუალო ციტოტოქსიკურ მოქმედებას მხოლოდ A375 და HCT 116 სიმსივნური უჯრედების მიმართ [30]. *H. pastinacifolium* და *H. transcausicum* ამჟღავნებს ძლიერ ციტოტოქსიკურ მოქმედებას საშვილოსნოს ყელის ადენოკარცინომული (Hela), სწორი ნაწლავის ადენოკარცინომული (LS180) და B ლიმფომური (Raji) სიმსივნური უჯრედების წინააღმდეგ [99]. *H. rechingeri* აქტიურია მხოლოდ LS180 კარცინომული უჯრედების მიმართ, ხოლო *H. persicum* საერთოდ არ ამჟღავნებს ციტოტოქსიკურობას. აღნიშნულ ბიოლოგიურ აქტივობას, სავარაუდოდ, განაპირობებს *H. pastinacifolium* და *H. transcausicum*-ის ეთერზეთების ძირითადი კომპონენტები, მირისტიცინი და ელემიცინი. *H. sibiricum*-ის აპოპტოზური აქტივობა შეამოწმეს ადამიანის რამდენიმე ტიპის სიმსივნურ უჯრედზე. ყველაზე მაღალი აქტივობა გამოავლნდა T უჯრედოვანი ლეიკემიის (C-8166) წინააღმდეგ. ხოლო *H. humile*-ს ექსტრაქტი ციტოტოქსიკურია მკერდის კიბოს (MDA-MB-231 უჯრედები) წინააღმდეგ [100]. *H. persicum*-ის ფარმაკოლოგიური აქტივობის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მისი ნაყოფებიდან მიღებულ ეთერზეთებს გააჩნია დოზადადმო კიდებული ციტოტოქსიკური მოქმედება (IC_{50} 12.08) საკვერცხის კიბოს უჯრედების (OVCAR-3) მიმართ. გარდა ამისა, აღნიშნული ეთერზეთი ამჟღავნებს ინჰიბიტორულ აქტივობას გრამ-უარყოფითი ბაქტერიების - *Pseudomonas aeruginosa* და *Salmonella paratyphi-A* სეროტიპი (MIC < 62.50 μ გ/მლ) მიმართ [74]. ბუნებრივი ანტიბიოტიკური საშუალებების ძიება არ კარგავს აქტუალობას თანამედროვე მედიცინისა და ფარმაცისათვის [101]–[103].

არაერთი კლინიკური შემთხვევის საფუძველზე დადასტურებულია დიყის სახეობების ფოტოალერგიული თვისება, რომელიც დაკავშირებულია მცენარის ყველა ნაწილში მარტივი და ფუროკუმარინების შემცველობასთან. მცენარესთან კონტაქტისას, მზის ულტრაიისფერი სხივებისა და ფუროკუმარინების ურთიერთქმედებით, ვითარდება ფიტოფოტოდერმატიტი, დერმატიტის არაიმუნური ფორმა [68]. ფუროკუმარინები აღმოჩნდა მცენარის ბუსესებში [69], რომელიც ფარავს მის ფოთლებსა და ღეროს. ეპითელური შრის მეშვეობით ფუროკუმარინებს შეუძლია კანში შეღწევა, ხოლო ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ფურანის რგოლი წარმოქმნის ჟანგბადის აქტიურ მოლეკულებს, რომლებიც ურთიერთქმედებს დნმ-ის პირიმინინის ფუძესთან, რაც საბოლოოდ განაპირობებს უჯრედის სიკვდილს [70]. ამ რეაქციის შედეგად, საშუალოდ 18-24 საათში კანი ამრევდება, ვითარდება დიდი ზომის ბუბტუკები, ერთემა და დამწვრობის სხვა სიმპტომები [71]. ყველაზე ხშირად ზიანდება კანის დაუცველი ადგილები - სახე, მკლავები და ქვედა კიდურები. კუმარინების ალერგიული თვისება ძლიერდება მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებით, მაღალი ტემპერატურითა და ტენიანობით, ასევე დიყის ყვავილობისა და სიმწიფის პერიოდში. ასეთ დროს ალერგიული რეაქცია შესაძლებელია განპირობებული იყოს მცენარის სიახლოვეს ყოფნითაც. ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით დიყთან პირდაპირი კონტაქტის შემთხვევაში არსებობს ძლიერი ქიმიური დამწვრობის მიღების საშიშროება, ფილტვების დაზიანებისა და კონიუქტივიტის განვითარების მაღალი რისკი, ხოლო თვალის პირდაპირი კონტაქტისას სიბრმავე [54].

ველურად მოზარდი დიყის ენდემური სახეობები ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიასა და დაღესტნის მთისწინეთში [57], [58]. კავკასიაში მოზარდი ხევსურის დიყი 1-1.5 მეტრი სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. სქელი ღრუ ღეროთი, პატარა თეთრი ან ვარდიფერი ყვავილები ქმნიან დიდ ქოლგებს [54].

ხევსურის დიყი 1772 წელს აღმოაჩინეს, 1944 წელს კი, საქართველოში მოზარდი ხევსურის დიყი, ი.პ. მანდენოვამ აღწერა როგორც ცალკე სახეობა [54]. ხევსურის დიყის საერთაშორისო დასახელება - *Heracleum sosnowskyi* მომდინარეობს კავკასიის ფლორის მკვლევარი ბოტანიკოსის, პროფესორი დ.ი. სოსნოვსკის გვარიდან, ხოლო *Heracleum* - ანტიკური გმირის ჰერაკლეს (Heracles), იგივე ჰერკულესის (Hercules) სახელიდან [55]. ქოლგოსანთა ოჯახის ამ გვარს დასახელება მიანიჭა კარლ ლინეუსმა 1753 წელს „ზევსის შვილის“ საპატივსაცემოდ. თეოფრასტე (ძვ.წ. 370) კი დიყს მოიხსენიებდა როგორც „ჰერკულესის პანაცეა“ [56].

საქართველოში, ხევსურის დიყი გავრცელებულია კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიებზე [59]. განხორციელდა მისი ინტროდუცია ბულგარეთში, რუსეთის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ - ევროპულ ნაწილში, პოლონეთში, უკრაინაში, სახალინსა და დასავლეთ ციმბირში [55].

კავკასიის ენდემური სახეობა - ხევსურული დიყის (*Heracleum sosnowskyi*) შემადგენლობაში აღმოჩენილია ფუროკუმარინები: ანგელიცინი, ბერგაპტენი, მეთოქსალენი, იმპერატორინი, იზოიმიპერატორინი, მარმეზინი, (+)-ოქსიპეუცედანიინი, პანგელინი, ასევე არაბინოგალაქტინი და პექტინური პოლისაქარიდები. [26], [60], [61]. მრავალი სტატია ეძღვნება ხევსურის დიყის ფიტოტოქსიურ კვლევას და მისგან თავდაცვის მეთოდებს,

გავრცელებისა და გარემოზე ზეგავლენის კვლევას, თუმცა ბიოლოგიური აქტივობა თითქმის შეუსწავლელია.

4. დასკვნა

ხალხური და ტრადიციული მედიცინის გამოცდილება და თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ადასტურებს გვარი დიყის სახეობების, სხვადასხვა ვეგეტაციური ორგანოების ექსტრაქტების, მათგან მიღებული ეთერზეთებისა და ინდივიდური ნივთიერებების (კუმარინები, ფუროკუმარინები), ბიოლოგიური აქტივობის ფართო სპექტრს, როგორცაა ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ანტიოქსიდანტური, ანტიჰოლინესთერაზული, ციტოტოქსიკური, ანტიკარცენოგენური და ა.შ. ამიტომ, აქტუალურია გვარი დიყის საქართველოში გავრცელებული, განსაკუთრებით, ენდემური სახეობების ფიტოქიმიური და ბიოლოგიური კვლევა სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. კავკასიის ენდემური სახეობა - ხევსურული დიყი (*Heracleum sosnowskyi* ცნობილია ფუროკუმარინების შემცველობით. მრავალი სტატია ეძღვნება ხევსურის დიყის ფიტოტოქსიურ ანალიზს და მისგან თავდაცვის მეთოდებს, გავრცელებისა და გარემოზე ზეგავლენის კვლევას, თუმცა ბიოლოგიური აქტივობა თითქმის შეუსწავლელია.

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

პროექტი [PHDF-22-4838] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] Kuchukhidze, R. Gagnidze, T. Gviniashvili, and M. Jokhadze, *Endemic Flowering Plants of Georgian Flora*. Tbilisi, 2018.
- [2] D. N. Purushothaman and S. Ravi, "GC-MS analysis of essential oil obtained from *Heracleum candolleanum* (Wight et Arn)," *J. Pharm. Res.*, vol. 6, no. 1, pp. 155-157, Jan. 2013, doi: 10.1016/j.jopr.2012.11.032.
- [3] M. B. Bahadori, L. Dinparast, and G. Zengin, "The Genus *Heracleum*: A Comprehensive Review on Its Phytochemistry, Pharmacology, and Ethnobotanical Values as a Useful Herb: The genus *Heracleum* ...," *Compr. Rev. Food Sci. Food Saf.*, vol. 15, no. 6, pp. 1018-1039, Nov. 2016, doi: 10.1111/1541-4337.12222.
- [4] A. J. John, V. P. Karunakaran, V. George, and M. G. Sethuraman, "Chemical Composition of Leaf and Fruit Oils of *Heracleum candolleanum*," *J. Essent. Oil Res.*, vol. 19, no. 4, pp. 358-359, Jul. 2007, doi: 10.1080/10412905.2007.9699304.
- [5] maryam rezapoor, "Optimization of Effective Parameters in Essential Oil Extraction of *Heracleum persicum* Desf. Ex Fischer Seed Using Response Surface Methodology," *Eco-Phytochem. J. Med. Plants*, vol. 7, no. 4, pp. 49-63, 2020.

- [6] F. Mojab, A. Rustaiyan, and A. R. Jasbi, "Essential oils of *Heracleum persicum* Desf. ex Fischer leaves," *Daru*, vol. 10, pp. 6–8, Jul. 2002.
- [7] N. shariatifar, T. Mostaghim, A. Afshar, I. Mohammadpourfard, M. Sayadi, and M. Rezaei, "Antibacterial Properties of Essential Oil of *Heracleum persicum* (Golpar) and Foodborne Pathogens," *Int. J. Enteric Pathog.*, vol. 5, no. 2, pp. 41–44, May 2017, doi: 10.15171/ijep.2017.10.
- [8] F. Saeidi, H. Azhdari-Zarmehri, B. Alimohammadi, and E. Erami, "The effect of hydroalcoholic extract of *Heracleum Persicum* on pentylenetetrazol _induced seizure in mice," *J. Zanjan Univ. Med. Sci. Health Serv.*, vol. 21, pp. 45–55, Jan. 2013.
- [9] M. Sabzi Nojadeh, M. Amani, and M. Younessi Hamzekhanlu, "Medicinal uses of rangeland plants by indigenous communities in the Qaradagh region (Case study: Ahar county, East Azerbaijan province)," *J. Environ. Sci. Stud.*, vol. 6, no. 1, pp. 3370–3382, 2021.
- [10] M. Alam, B.-J. Seo, P. Zhao, and S.-H. Lee, "Anti-Melanogenic Activities of *Heracleum moellendorffii* via ERK1/2-Mediated MITF Downregulation," *Int. J. Mol. Sci.*, vol. 17, no. 11, p. 1844, Nov. 2016, doi: 10.3390/ijms17111844.
- [11] M. Sayyah, S. Moaied, and M. Kamalinejad, "Anticonvulsant activity of *Heracleum persicum* seed," *J. Ethnopharmacol.*, vol. 98, no. 1–2, pp. 209–211, Apr. 2005, doi: 10.1016/j.jep.2004.12.026.
- [12] V. Hajhashemi, S. E. Sajjadi, and M. Heshmati, "Anti-inflammatory and analgesic properties of *Heracleum persicum* essential oil and hydroalcoholic extract in animal models," *J. Ethnopharmacol.*, vol. 124, no. 3, pp. 475–480, Jul. 2009, doi: 10.1016/j.jep.2009.05.012.
- [13] A. Naeini, H. Shokri, and A. R. Khosravi, "Immunostimulatory Effects of Aqueous Extract of *Heracleum persicum* Desf. on Mouse Peritoneal Macrophages," *Jundishapur J. Microbiol.*, Jul. 2013, doi: 10.5812/jjm.5373.
- [14] T. Radjabian, A. Salimi, N. Rahmani, A. Shokravi, and V. Mozaffarian, "Essential Oil Composition of Some Wild Populations of *Heracleum persicum* Desf. Ex Fischer Growing in Iran," *J. Essent. Oil Bear. Plants*, vol. 16, no. 6, pp. 841–849, Nov. 2013, doi: 10.1080/0972060X.2013.862078.
- [15] B. Sadeghi Nejad, M. Rajabi, A. Zarei Mamoudabadi, and M. Zarrin, "In Vitro Anti-Candida Activity of the Hydroalcoholic Extracts of *Heracleum persicum* Fruit Against Pathogenic Candida Species," *Jundishapur J. Microbiol.*, vol. 7, no. 1, Jan. 2014, doi: 10.5812/jjm.8703.
- [16] T. Radjabian, A. Salimi, and N. Rahmani, "Essential-Oil Composition of the Fruits of Six *Heracleum* L. Species from Iran: Chemotaxonomic Significance," *Chem. Biodivers.*, vol. 11, no. 12, pp. 1945–1953, Dec. 2014, doi: 10.1002/cbdv.201400085.
- [17] Y. Dadjo *et al.*, "Effects of Supplementation with *Heracleum persicum* Fruit Extract on Serum Lipids in Patients Undergoing Coronary Angiography: A Pilot Trial: EFFECT OF HERACLEUM

PERSICUM ON SERUM LIPIDS," *Phytother. Res.*, vol. 29, no. 1, pp. 141–143, Jan. 2015, doi: 10.1002/ptr.5214.

[18] Y. Gao, Y. Liu, Z. Wang, and H. Zhang, "Chemical constituents of *Heracleum dissectum* and their cytotoxic activity," *Phytochem. Lett.*, vol. 10, pp. 276–280, Dec. 2014, doi: 10.1016/j.phytol.2014.10.008.

[19] S. Rastogi, M. M. Pandey, and A. K. S. Rawat, "Determination of Heraclenin and Heraclenol in *Heracleum candicans* D.C. by TLC," *Chromatographia*, vol. 66, no. 7–8, pp. 631–634, Sep. 2007, doi: 10.1365/s10337-007-0357-9.

[20] K. G. Tkachenko, "Essential oils from leaves of several *Heracleum* species growing in Leningrad Oblast," *Chem. Nat. Compd.*, vol. 46, no. 2, pp. 319–321, May 2010, doi: 10.1007/s10600-010-9603-8.

[21] A. Inoue, M. Shibano, M. Taniguchi, K. Baba, and N.-H. Wang, "Four novel furanocoumarin glucosides, candinosides A, B, C and D, from *Heracleum candicans* Wall," *J. Nat. Med.*, vol. 65, no. 1, pp. 116–121, Jan. 2011, doi: 10.1007/s11418-010-0470-1.

[22] A. K. S. Rawat, A. P. Singh, D. P. Singh, M. M. Pandey, R. Govindarajan, and S. Srivastava, "Separation and Identification of Furocoumarin in Fruits of *Heracleum candicans* DC. by HPTLC," *J. Chem.*, vol. 2013, pp. 1–4, 2013, doi: 10.1155/2013/915762.

[23] R. S. Chauhan, M. C. Nautiyal, A. Tava, and R. Cecotti, "Essential oil composition from leaves of *Heracleum candicans* Wall.: a sustainable method for extraction," *J. Essent. Oil Res.*, vol. 26, no. 2, pp. 130–132, Mar. 2014, doi: 10.1080/10412905.2013.868330.

[24] S. Dash, L. K. Nath, and S. Bhise, "Antioxidant and antimicrobial activities of *Heracleum nepalense* D Don root," *Trop. J. Pharm. Res.*, vol. 4, no. 1, pp. 341–347, Jul. 2007, doi: 10.4314/tjpr.v4i1.14618.

[25] S. K. Bose, S. Dewanjee, R. Sahu, and S. P. Dey, "Effect of bergapten from *Heracleum nepalense* root on production of proinflammatory cytokines," *Nat. Prod. Res.*, vol. 25, no. 15, pp. 1444–1449, Sep. 2011, doi: 10.1080/14786410902800665.

[26] E. G. Shakhmatov, P. V. Toukach, S. P. Kuznetsov, and E. N. Makarova, "Structural characteristics of water-soluble polysaccharides from *Heracleum sosnowskyi* Manden," *Carbohydr. Polym.*, vol. 102, pp. 521–528, Feb. 2014, doi: 10.1016/j.carbpol.2013.12.001.

[27] T. Ozek, B. Demirci, and K. H. C. Baser, "[No title found]," *Chem. Nat. Compd.*, vol. 38, no. 1, pp. 48–50, 2002, doi: 10.1023/A:1015777614626.

[28] A. Ergene, P. Güler, S. Tan, S. Mirici, E. Hamzaoglu, and A. Duran, "Antibacterial and antifungal activity of *Heracleum sphondylium* subsp. *artvinense*," *Afr. J. Biotechnol.*, vol. 5, pp. 1087–1089, May 2006.

- [29] F. Senejoux *et al.*, "Vasorelaxant effects and mechanisms of action of *Heracleum sphondylium* L. (Apiaceae) in rat thoracic aorta," *J. Ethnopharmacol.*, vol. 147, no. 2, pp. 536–539, May 2013, doi: 10.1016/j.jep.2013.03.030.
- [30] F. Maggi *et al.*, "Composition and biological activities of hogweed [*Heracleum sphondylium* L. subsp. *ternatum* (Velen.) Brummitt] essential oil and its main components octyl acetate and octyl butyrate," *Nat. Prod. Res.*, vol. 28, no. 17, pp. 1354–1363, Sep. 2014, doi: 10.1080/14786419.2014.904311.
- [31] A. Bogucka-Kocka and T. Krzaczek, "The furanocoumarins in the roots of *Heracleum sibiricum* L.," *Acta Pol. Pharm.*, vol. 60, no. 5, pp. 391–393, 2003.
- [32] W. Li, L. Chen, C. Wu, and J. Xin, "Analysis of the Essential Oil from Seed of *Heracleum moellendorffii* Hance Cultivated in Northeast China," *Asian J. Chem.*, vol. 25, no. 8, pp. 4701–4702, 2013, doi: 10.14233/ajchem.2013.13945.
- [33] T. O'Neill, J. A. Johnson, D. Webster, and C. A. Gray, "The Canadian medicinal plant *Heracleum maximum* contains antimycobacterial diynes and furanocoumarins," *J. Ethnopharmacol.*, vol. 147, no. 1, pp. 232–237, May 2013, doi: 10.1016/j.jep.2013.03.009.
- [34] D. DiNcel, "Anticholinesterase furocoumarins from *Heracleum platytaenium*, an endemic species to Idea mountains," *Turk. J. Chem.*, 2013, doi: 10.3906/kim-1303-55.
- [35] A. G. Karimi and M. Ito, "Sedative effect of vapor inhalation of essential oil from *Heracleum afghanicum* Kitamura seeds," *J. Essent. Oil Res.*, vol. 24, no. 6, pp. 571–577, Dec. 2012, doi: 10.1080/10412905.2012.728085.
- [36] T. Kuljanabhadgavad, N. Sriubolmas, and N. Ruangrunsi, "Chemical composition, antibacterial and antifungal activities of essential oil from *Heracleum Siamicum* Craib," *Pharm. Chem. J.*, vol. 45, no. 3, p. 178, Jun. 2011, doi: 10.1007/s11094-011-0587-x.
- [37] S. Karuppusamy and G. Muthuraja, "Chemical Composition and Antioxidant Activity of *Heracleum sprengelianum* (Wight and Arnott) Essential Oils Growing Wild in Peninsular India," *Iran. J. Pharm. Res. IJPR*, vol. 10, no. 4, pp. 769–775, 2011.
- [38] W. Xiao, S. Li, X. Niu, Y. Zhao, and H. Sun, "Rapulasides A and B: two novel intermolecular rearranged biiridoid glucosides from the roots of *Heracleum rapula*," *Tetrahedron Lett.*, vol. 46, no. 34, pp. 5743–5746, Aug. 2005, doi: 10.1016/j.tetlet.2005.06.094.
- [39] C. Zhang, Y. Liu, Y. Q. Xiao, and L. Li, "A new trimeric furanocoumarin from *Heracleum rapula*," *Chin. Chem. Lett.*, vol. 20, no. 9, pp. 1088–1090, Sep. 2009, doi: 10.1016/j.ccllet.2009.05.005.
- [40] S. K. Bose, S. Dewanjee, and S. C. Mandal, "Antibacterial activity of methanol extract of roots of *Heracleum nepalense* D Don. on bacteria causing diarrhoea," *Orient. Pharm. Exp. Med.*, vol. 7, no. 3, pp. 286–289, Sep. 2007, doi: 10.3742/OPEM.2007.7.3.286.

- [41] M. Taniguchi, O. Yokota, M. Shibano, N.-H. Wang, and K. Baba, "Four Coumarins from *Heracleum yunnngingense*," *Chem. Pharm. Bull. (Tokyo)*, vol. 53, no. 6, pp. 701–704, 2005, doi: 10.1248/cpb.53.701.
- [42] L.-L. Yang *et al.*, "Effects of sphondin, isolated from *Heracleum laciniatum*, on IL-1 β -induced cyclooxygenase-2 expression in human pulmonary epithelial cells," *Life Sci.*, vol. 72, no. 2, pp. 199–213, Nov. 2002, doi: 10.1016/S0024-3205(02)02173-2.
- [43] K. Glowniak, T. Mroczek, A. Zabza, and T. Cierpicki, "Isolation And Structure Elucidation Of 5,7-disubstituted Simple Coumarins In The Fruits Of *Heracleum Mantegazzianum*," *Pharm. Biol.*, vol. 38, no. 4, pp. 308–312, Oct. 2000, doi: 10.1076/1388-0209(200009)3841-AFT308.
- [44] F. Mahmoodi, H. Valizadeh, Z. Hosseinzade, and M. B. Bahadori, "Furocoumarins from *Heracleum rawianum* in Iran," *Iran. Chem. Commun.*, vol. 3, pp. 1–6, Jan. 2015.
- [45] D. Lingaraju and M. S. Sudarshana, "Antimicrobial activity and phytochemical screening of roots of *Heracleum rigenswall* Ex DC," *Int. J. Pharma Bio Sci.*, vol. 67, pp. 288–294, Apr. 2014.
- [46] M. Ghabril, N. Chalasani, and E. Björnsson, "Drug-induced liver injury: a clinical update:," *Curr. Opin. Gastroenterol.*, vol. 26, no. 3, pp. 222–226, May 2010, doi: 10.1097/MOG.0b013e3283383c7c.
- [47] N. A. Osna, T. M. Donohue, and K. K. Kharbanda, "Alcoholic Liver Disease: Pathogenesis and Current Management," *Alcohol Res. Curr. Rev.*, vol. 38, no. 2, pp. 147–161, 2017.
- [48] X. Gu and J. E. Manautou, "Molecular mechanisms underlying chemical liver injury," *Expert Rev. Mol. Med.*, vol. 14, p. e4, Feb. 2012, doi: 10.1017/S1462399411002110.
- [49] T. Kietzmann and A. Görlach, "Reactive oxygen species in the control of hypoxia-inducible factor-mediated gene expression," *Semin. Cell Dev. Biol.*, vol. 16, no. 4–5, pp. 474–486, Aug. 2005, doi: 10.1016/j.semcdb.2005.03.010.
- [50] M. Ayaz *et al.*, "Phenolic contents, antioxidant and anticholinesterase potentials of crude extract, subsequent fractions and crude saponins from *Polygonum hydropiper* L.," *BMC Complement. Altern. Med.*, vol. 14, no. 1, p. 145, Dec. 2014, doi: 10.1186/1472-6882-14-145.
- [51] H. Cichoż-Lach and A. Michalak, "Oxidative stress as a crucial factor in liver diseases," *World J. Gastroenterol.*, vol. 20, no. 25, pp. 8082–8091, Jul. 2014, doi: 10.3748/wjg.v20.i25.8082.
- [52] L. Zhou and J. Zeng, "Research advances on chemical constituents and pharmacological effects of *angelica pubescens*," *Modern Chin Med*, vol. 21, no. 12, pp. 1739–1748, 2019.
- [53] J. Li *et al.*, "Hepatoprotective Effects of *Heracleum candicans* Against Carbon Tetrachloride-Induced Acute Liver Injury in Rats," *Dose-Response*, vol. 19, no. 3, p. 155932582110295, Jul. 2021, doi: 10.1177/15593258211029510.

- [54] O. Jakubowicz, C. Żaba, G. Nowak, S. Jarmuda, R. Żaba, and J. Marcinkowski, "Heracleum Sosnowskyi Manden," *Ann. Agric. Environ. Med.*, vol. 19, no. 2, pp. 327–328, Jun. 2012.
- [55] "Plants of the World Online. Facilitated by the Royal Botanic Gardens, Kew." Jan. 26, 2023. [Online]. Available: <http://www.plantsoftheworldonline.org>
- [56] Iliana Ilieva, "Names of botanical genera inspired by mythology," *GSC Biol. Pharm. Sci.*, vol. 14, no. 3, pp. 008–018, Mar. 2021, doi: 10.30574/gscbps.2021.14.3.0050.
- [57] Z. Dajdok and P. Pawlaczyk, Eds., *Inwazyjne gatunki roślin ekosystemów mokradłowych Polski*. Świebodzin: Wydawnictwo Klubu Przyrodników, 2009.
- [58] R. Wojtkowiak, H. Kawalec, and A. P. Dubowski, "Heracleum Sosnowskyi Mandel L.," *J. Res. Appl. Agric. Eng. Pol.*, vol. 53, no. 4, pp. 137–142, 2009.
- [59] GBIF.Org User, "Occurrence Download." The Global Biodiversity Information Facility, 2023. doi: 10.15468/DL.KNDH4E.
- [60] M. Mishyna, N. Laman, V. Prokhorov, and Y. Fujii, "Angelicin as the principal allelochemical in *Heracleum sosnowskyi* fruit," *Nat. Prod. Commun.*, vol. 10, no. 5, pp. 767–770, May 2015.
- [61] A. Jakubska-Busse, M. Śliwiński, and M. Kobyłka, "Identification of bioactive components of essential oils in *Heracleum sosnowskyi* and *Heracleum mantegazzianum* (Apiaceae)," *Arch. Biol. Sci.*, vol. 65, no. 3, pp. 877–883, 2013, doi: 10.2298/ABS1303877J.
- [62] "Plants of the Genus *Heracleum* as a Source of Coumarin and Furanocoumarin," *J. Chem. Rev.*, vol. 1, no. 2, pp. 78–98, Apr. 2019, doi: 10.33945/SAMI/JCR.2019.1.7898.
- [63] C. Zhang *et al.*, "A new coumarin isolated from the roots of *Heracleum dissectum* Ledeb," *Nat. Prod. Res.*, pp. 1–6, Aug. 2020, doi: 10.1080/14786419.2020.1810033.
- [64] G. Ozek *et al.*, "Furanocoumarin Content, Antioxidant Activity, and Inhibitory Potential of *Heracleum verticillatum*, *Heracleum sibiricum*, *Heracleum angustisectum*, and *Heracleum ternatum* Extracts against Enzymes Involved in Alzheimer's Disease and Type II Diabetes," *Chem. Biodivers.*, vol. 16, no. 4, Apr. 2019, doi: 10.1002/cbdv.201800672.
- [65] J. Trott, W. Gerber, S. Hammes, and H. Ockenfels, "The effectiveness of PUVA treatment in severe psoriasis is significantly increased by additional UV 308-nm excimer laser sessions," *Eur J Dermatol*, vol. 18, no. 1, pp. 55–60, Feb. 2008, doi: 10.1684/ejd.2008.0311.
- [66] A. Bhatnagar, A. Kanwar, D. Parsad, and D. De, "Psoralen and ultraviolet A and narrow-band ultraviolet B in inducing stability in vitiligo, assessed by vitiligo disease activity score: an open prospective comparative study," *J. Eur. Acad. Dermatol. Venereol.*, vol. 21, no. 10, pp. 1381–1385, Nov. 2007, doi: 10.1111/j.1468-3083.2007.02283.x.

- [67] J. Wang, X. Zhang, N. Gao, and Y. Wang, "Polyphenolic content and antioxidant capacity of whole plants and different parts of *Heracleum dissectum*," *Food Sci.*, vol. 40, pp. 54–59, 2019.
- [68] K. Flanagan, "Botanical Briefs: Phytophotodermatitis Caused by Giant Hogweed (*Heracleum mantegazzianum*)," *Cutis*, vol. 108, no. 5, Nov. 2021, doi: 10.12788/cutis.0389.
- [69] E. Pira, C. Romano, F. Sulotto, I. Pavan, and E. Monaco, "*Heracleum mantegazzianum* growth phases and furocoumarin content," *Contact Dermatitis*, vol. 21, no. 5, pp. 300–303, Nov. 1989, doi: 10.1111/j.1600-0536.1989.tb04747.x.
- [70] J. W. Downs, K. L. Cumpston, and M. J. Feldman, "Giant Hogweed phytophotodermatitis," *Clin. Toxicol.*, vol. 57, no. 9, pp. 822–823, Sep. 2019, doi: 10.1080/15563650.2018.1559327.
- [71] K. Pfurtscheller and M. Trop, "Phototoxic Plant Burns: Report of a Case and Review of Topical Wound Treatment in Children," *Pediatr. Dermatol.*, vol. 31, no. 6, pp. e156–e159, Nov. 2014, doi: 10.1111/pde.12396.
